




იოსებ გვარიშვილი – მათემატიკის აკადემიური დოკტორი. დამთავრა იქ. ჯააბახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1974). სამუცონერო ხარისხი მიზნებით 1981 წელს სსრკ მეცნიერებითა აკადემიის კატეგორიის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1974-1991 წლებში მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერ-მუშავედ. 1991-1995 წლებში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პროექტი მოაღვიურა და თავმჯდომარის მიუვალების შემსრულებელი (1993-1994) 1995-2005 წლებში მუშაობდა კერძო კვლევითი ორგანიზაცია შეს „კონინგტურის კვლევის ცენტრის“ დორიტონის და 2005 წლიდან საქართველოში განმორცველებული სხვადასხვა ინიციატურული პროექტების კონსულტანტი სოციალურ-ეკონომიკურ სკოლიშვილი. 2006 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ინსტუტუტ ტექნიკორმას მეცნიერ-მუშავი.

წიგნში „ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი“ ავტორის მიერ განხილული საქართველოს ინოვაციურ შესაძლებლობების შეფასების საკითხმი. სპეციალურად შემუშავებული სტატისტიკური ინსტრუმენტების მეცნიერობის განმორცველებული საქართველოს ინიციატური შესაძლებლობების შედარება ერთ-ერთ კონკრეტური აზის რეკორდის ქვეყნებით, გამოვლინილი საქართველოს რეკორდების ინიციატური შესაძლებლობებით მართველობის დონე და სანრმოთია კლასტერიზაციის პროცესის თავისებურებები. წიგნი განკუთვნილია საქართველოს ინიციატური განვითარების პრობლემიკით დანართებულ სპეციალისტებისთვის.

## იოსებ გვარიშვილი

# ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი


R&D-FUNDS (%GDP, 2001-2005 AVERAGE)




ECAI SUB-INDICATORS: GEORGIA VS. ECA-CLS3 AVERAGES, 2010



GRIS INDICATOR'S DISTRIBUTION BY REGIONS (GEORGIA, 2010)




RESEARCHERS PER 1MLN INHABITANTS, 2005



DATA SOURCE: GEOSTAT, WDI ETC  
DATA COLLECTION RANGE:

1995  
2010



Cover design by:  
Alberto Hernández [hereigo.co.uk]

ISBN 978-9941-442-66-7  
  
9 789941 442667

იონებ გოგოპი

ინოვაციური საქართველო:  
მიმღენარე სტატუსი

თბილისი 2013

## იოსებ გოგოძე

ინფარკტი საქართველო: მიმდინარე სტატუსი  
თბილისი, 2013, 160 გვ

წიგნში ავტორის მიერ განხილულია საქართველოს ინფარკტი შესაძლებლობების შეფასების საკითხები. სპეციალურად შემუშავებული სტატისტიკური ინსტრუმენტების შეშვეობით განხორციელებულია საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების შედარება კოროპა-ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან, გამოვლენილია საქართველოს რეგიონების ინოვაციური შესაძლებლობების არაერთგვაროვნების დონე და საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესის თავისებურებები.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ინოვაციური განვითარების პრობლემატიკით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

რედაქტორები:

ნანა ასლამაზიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ნელი მახვილაძე

ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური  
დოქტორი

**რეკომენდებულია გამოსაცემად**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ინსტიტუტ ტექნიკორმის  
სამეცნიერო საბჭოს მიერ

© იოსებ გოგოძე, 2013

ესელა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვ.) არანირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს კლექტორუნები, თუ მექანიკური) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯებ კანონით.

## მადლობელი

წინამდებარე წიგნს საფუძვლად უდევს ჩემს მიერ 2007-2012 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექნიფორმში“ განხორციელებული კვლევითი სამუშაოების შედეგები. მადლობას ვუხდი „ტექნიფორმის“ ოანამშრომლებს, სამეცნიერო საბჭოს წევრებს და დირექტორს ნ. მახვილაძეს მუდმივი ოანადგომისთვის ამ სამუშაოების განხორციელებისას.

მადლობას ვუხდი აგრეთვე ასოციაციის „ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის“ (ეგსიგ) წევრებს, მის თავმჯდომარეს ო. შატბერაშვილს და ეგსიგ სემინარების მონაწილეებს წიგნში ასახულ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებული ნაყოფიერი დისკუსიებისა და განხილვებისთვის.

განსაკუთრებულად მადლობელი ვარ მ. ურიდიას და ო. ჩუბინიშვილის, რომლებმაც საშუალება მომეცა მეთანამშრომლა საქართველოს ინოვაციური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე პუბლიკაციის მომზადებისას.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი აგრეთვე წიგნის რედაქტორებს ნ. ასლამაზიშვილს და ნ. მახვილაძეს, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ტექსტის გაუმჯობესებაში. ყველა შესაძლო ხარვეზი ან უზუსტობა, რომელიც ტექსტშია შემორჩენილი, რასაკვირველია, უშუალოდ ჩემი პასუხისმგებლობის საგნად რჩება.

გამორჩეულად მადლობელი ვარ ალბერტო პერნანდესის (Alberto Hernández) წიგნის გარეკანის დიზაინისთვის და ჩემი ვაჟიშვილის, თემურაზ გოგოძის, ამ წიგნის მომზადებისას გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

ი. გოგოძე

## შინასიტყვაობა

საქართველოსთვის, მისი ეკონომიკის აღმავალი ტემპებით განვითარების აუცილებლობისა და მკვეთრად გამოხატული დასავლური მისწრაფებრიდან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია ინოვაციური განვითარების გზების ძიება.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ინოვაციური განვითარების საკითხებისადმი საზოგადოებრივმა ინტერესმა მნიშვნელოვნად იმატა, რეალური ქმედებები არ ცდება ზოგადი ხასიათის დისკუსიების დონეს. არავითარი რეალური მცდელობა რამდენადმე გააზრებული პოლიტიკის შემუშავებისა ეროვნული საინოვაციო სისტემის განსავითარებლად საქართველოში არ განხორციელებულა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. მით უმეტეს აღარაფერია სათქმელი იმ აბსოლუტურ აღმინისტრაციულ უუნარობაზე, რომელიც უკვე ოც წელზე მეტია ვლინდება საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის, კერძოდ კი მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – კვლევებისა და განვითარების სისტემის, მართვაში.

თანამედროვე პოლიტიკისთა და საჯარო მოხელეთა მნიშვნელოვანი ნაწილისგან მივიწყებული, მაგრამ ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი სისტემის რაციონალური მართვა გულისხმობს სულ ცოტა შემდეგი კომპონენტების არსებობას: მიმდინარე მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას, რეალისტური მიზნის დასახვას და არსებული რესურსების შეზღუდვების პირობებში დასახული მიზნისკენ მიმავალი გზის გამოვლენას.

წინამდებარე წიგნის ძირითადი მიზანია მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის მართვის ისეთ საკითხში, როგორიცაა საინოვაციო სისტემის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების დონეზე. თანმდევი

თქმები, რომელებიც წიგნში აისახა – საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა და საქართველოს კვლევებისა და განვითარების სისტემის რეტროსპექტული მიმოხილვაა.

წიგნში ნაჩვენებია, რომ მიუხედავად მონაცემთა შეზღუდული ხელმისაწვდომობისა, შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს საკმარისად ეფექტიანი ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას მისცემს გადაწყვეტილებათა მიმღებთ მოახდინონ საქართველოს საინოვაციო შესაძლებლობების პოზიციონირება ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონში, განახორციელონ საქართველოს რეგიონების ინოვაციური შესაძლებლობებისა და საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგი. აღნიშნული ინსტრუმენტები შემუშავებულია კომპოზიტური ინდიკატორების ტექნიკის გამოყენებით, რომელმაც ფართო გამოყენება პპოვა ევროგაერთიანების დისაბონის სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზისა და მონიტორინგის მიზნებისთვის.

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილ საქართველოს ინოვაციური სისტემის შესაძლებლობების ამსახავ ინსტრუმენტებს რასაკირველია არა აქვთ პრეტენზია „ერთადერთი შესაძლო“, „საუკეთესო“ ან სხვა ამგვარი ეპითეტებით შემკული იყვნენ. როგორც ნებისმიერ ინსტრუმენტს, მათაც მოუწევთ ევოლუციონირება გამომდინარე არსებული შესაძლებლობებიდან და იმ ამოცანებიდან, რომლებსაც ცხოვრება დააყენებს მომავალში. ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი შედეგები სასარგებლო და მასტიმულირებელი იქნება შემდგომი კვლევებისთვის.

# სარჩევი

<b>თავი I. საქართველოს კვლევებისა და განვითარების სისტემა XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე.....</b>	<b>11</b>
1.1. შესავალი ..... 1.2. რესურსების უზრუნველყოფა..... 1.3. საპატიოტო აქტივობის ანალიზი..... 1.4. მიმდინარე მდგომარეობის შეფასება საინოვაციო პროცესების მონაცემთა მიერ..... 1.5. დასკვნა.....	12 17 24 31 35
<b>თავი II. საინოვაციო პროცესების მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა.....</b>	<b>37</b>
2.1. შესავალი ..... 2.2. თანამედროვე ეკროპული პრაქტიკა მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში..... 2.3. სტატისტიკურ მონაცემთა მართვა ..... 2.4. საინოვაციო პროცესების მონიტორინგის ინდიკატორები..... 2.4.1. ევროპის ინოვაციური ტაბლო..... 2.4.2. ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლო..... 2.4.3. ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლო ..... 2.4.4. ევროპული კლასტერების ობსერვატორიის ინდიკატორები..... 2.4.5. საინფორმაციო სისტემა ERAWATCH ..... 2.4.6. სპეციალური გამოყლევები ინოვაციების სფეროში..... 2.5. საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის მოდერნიზაციის საკითხისათვის..... 2.6. დასკვნა.....	38 42 49 52 52 57 59 61 62 65 68 75
<b>თავი III. 0640გატორი ECAICL.....</b>	<b>77</b>
3.1. შესავალი ..... 3.2. მეთოდოლოგია და მონაცემთა დამუშავების პროცედურები.....	78 81

3.2.1. პირველადი ინდიკატორები.....	81
3.2.2. პირველადი მონაცემები და გამოტოვებულ მონაცემთა შექსების პროცედურა .....	82
3.2.3. ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის კონსტრუირება.....	84
3.3. ECAICI ინდიკატორის ტესტირება .....	87
3.4. საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების პოზიციონირება ECA რეგიონში.....	88
3.5. დასკვნა.....	99
<b>თავი IV. 06დიკატორი GRIS .....</b>	<b>101</b>
4.1. შესავალი .....	102
4.2. GRIS ინდიკატორის ფორმირება.....	104
4.2.1. რეგიონის საინოვაციო სისტემა .....	104
4.2.2. რეგიონები და პირველადი ინდიკატორები.....	106
4.2.3. GRIS-2010 ინდიკატორის კონსტრუირება.....	109
4.3. საქართველოს რეგიონების ინოვაციური შესაძლებლობების შეფასება .....	111
4.4. GRIS-2010 ინდიკატორის კავშირი რეგიონების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებთან.....	115
4.5. დასკვნა.....	118
<b>თავი V. საქართველოში საჭარბოთა კლასებისაცილებელი</b> <b>პროცესის შეზასხვის ინსტრუმენტები .....</b>	<b>120</b>
5.1. შესავალი .....	121
5.2. მონაცემები.....	122
5.3. მეთოდები.....	125
5.3.1. ზოგადი შენიშვნები.....	125
5.3.2. მოდიფიცირებული ECO-მეთოდიკა.....	126
5.3.3. კლასტერიზაციის ინდექსი .....	128
5.4. შედეგები .....	131
5.5. დასკვნა.....	138
<b>გოლოსისტებაობა.....</b>	<b>139</b>
<b>ლიტერატურა .....</b>	<b>141</b>

<b>მიზითადი შემოქლებები</b>	145
<b>დანართები</b>	147
დანართი A. ქვეყნების საკვლევი ერთობლიობა.....	148
დანართი B. ECAICI ინდიკატორის პირველად მონაცემთა დეფინიციები.....	149
დანართი C. კომპოზიტური ინდიკატორის კონსტრუირების წრფივი აგრეგირების სქემა .....	152
დანართი D. ECAICI-2010 ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების მნიშვნელობები.....	154
დანართი E. საქართველოს რეგიონები.....	156
დანართი F. GRIS ინდიკატორის პირველადი ინდიკატორები .....	157
<b>ცხრილების სამიერლი</b>	
<b>ცხრილი 1.</b> კორელაცია საპატენტო აქტივობის მაჩვნებლებს შორის 1991-2005 წწ.....	15
<b>ცხრილი 2.</b> საპატენტო აქტივობის ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები, 1991-2005 წწ .....	26
<b>ცხრილი 3.</b> ევროპული ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორები (EIS-2008) .....	54
<b>ცხრილი 4.</b> ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორები (RIS-2006).....	58
<b>ცხრილი 5.</b> ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორები (SIS-2006).....	60
<b>ცხრილი 6.</b> საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის მოდერნიზაციის ორგანიზაციები ასპექტები .....	72
<b>ცხრილი 7.</b> პირველადი ინდიკატორების და ქვეინდიკატორების წონები ECAICI ინდიკატორში .....	84
<b>ცხრილი 8.</b> ECAICI ინდიკატორის კავშირი სხვა ინოვაციურ ინდუქსებთან.....	86
<b>ცხრილი 9.</b> GRIS-2010 კომპოზიტური ინდიკატორის და მისი სუბინდიკატორების მნიშვნელობები.....	109

<b>ცხრილი 10.</b>	საქართველოს რეგიონების რანჟირება GRIS-2010 კომპოზიტური ინდიკატორის მიხედვით.....	110
<b>ცხრილი 11.</b>	„ვარსკვლავური“ კლასტერები საქართველოში, 2008 წ.....	132
<b>ცხრილი 12.</b>	კლასტერიზაციის ინდექსის 0.95-ზე მეტი მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კლასტერები საქართველოში, 2008 წ.....	134

## ნახატების საძიებელი

<b>ნახ. 1.</b>	მკვლევარები 1 მლნ მცხოვრებზე – ECA, 1996-2005 წწ....	17
<b>ნახ. 2.</b>	მკვლევარები 1 მლნ მცხოვრებზე – ყოფილი სსრკ ქვეყნები, 2005 წ.....	18
<b>ნახ. 3.</b>	R&D-ფონდები (%GDP) – ECA, 1996-2005 წწ.....	19
<b>ნახ. 4.</b>	R&D-ფონდები (%GDP, 2001-2005 წწ საშუალო) – ყოფილი სსრკ ქვეყნები.....	20
<b>ნახ. 5.</b>	R&D-ფონდები (\$PPP-2000 ერთ მკვლევარზე) – ECA, 1996-2005 .....	21
<b>ნახ. 6.</b>	R&D-ფონდები (\$PPP-2000 ერთ მკვლევარზე, 2001-2005 წ. საშუალო) – ყოფილი სსრკ ქვეყნები.....	23
<b>ნახ. 7.</b>	ECAICI და WEF TechRead ინდიკატორების შედარება 2009 წ.....	87
<b>ნახ. 8.</b>	კავშირი ერთ სულზე მშპ და ECAICI ინდიკატორებს შორის, 2009 წ.....	88
<b>ნახ. 9.</b>	ინოვაციური კლასტერები ECA რეგიონში .....	90
<b>ნახ. 10.</b>	ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების საშუალო მნიშვნელობები კლასტერების მიხედვით, 2010 წ.....	91
<b>ნახ. 11.</b>	ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების საშუალო მნიშვნელობების დინამიკა კლასტერების მიხედვით, 1996-2010 წწ.....	92
<b>ნახ. 12.</b>	ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების მნიშვნელობების დინამიკა საქართველოსთვის, 1996-2010 წწ.....	94
<b>ნახ. 13.</b>	საქართველოს შედარება მეზობელ ქვეყნებთან ECAICI ინდიკატორის პირველადი ქვეინდიკატორების მიხედვით .....	96

<b>ნახ. 14.</b>	ECAICI ინდიკატორის პირველადი ქვეინდიკატორების მიხედვით საქართველოს და CLS3-ის საშუალო მნიშვნელობების შედარება, 2010 წ.....	98
<b>ნახ. 15.</b>	საქართველოს რეგიონების კლასიფიკაცია GRIS-2010 ინდიკატორის მიხედვით .....	111
<b>ნახ. 16.</b>	საქართველოს RIS-ების არაერთგაროვნება .....	112
<b>ნახ. 17.</b>	GRIS-2010 კავშირი რეგიონების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებთან.....	116
<b>ნახ. 18.</b>	დასაქმებულთა რაოდენობისა და კლასტერიზაციის ტერიტორიული ინდექსის ურთიერთკავშირი.....	137
<b>ნახ. 19.</b>	დასაქმებულთა რაოდენობისა და კლასტერიზაციის დარგობრივი ინდექსის ურთიერთკავშირი .....	137
<b>ნახ. 20.</b>	ECA რეგიონის ქვეყნების რანჟირება ECAICI ინდიკატორის მიხედვით, 2010 წ.....	152

## თავი I.

საქართველოს  
კვლევებისა და  
განვითარების სისტემა  
XX-XXI საუკუნეთა  
მიჯნაზე

## 1.1. შესაგალი

წინამდებარე თავში ჩვენ მოკლედ მიმღიხილავთ კვლევების და განვითარების (R&D) სფეროში საქართველოს 1991-2005 წლების აქტივობის ამსახველ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და განვახორციელებთ მათ შედარებით ანალიზს ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონის (ECA) ქვეყნებთან. კურადღება გამახვილებული იქნება ძირითად მოკლე და გრძელვადიან ტენდენციებზე, რომლებითაც ხასიათდებოდა R&D სისტემების დინამიკა ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებში აღნიშნულ პერიოდში და მოვახდენთ საქართველოს პოზიციონირებას როგორც მთლიანად რეგიონის, ასევე ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებთან მიმართებაში.

ჩვენი ანალიზი ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზებიდან მოპოვებულ ინფორმაციას. ამ თავში გამოყენებული ინფორმაციის ძირითად ბირთვს შეადგენს შემდეგი მაჩვენებლები:

- რეზიდენტებზე გაცემული პატენტების ოდენობა (შემდგომში ResPat) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (WIPO) ასახული პატენტების მიხედვით. წყარო: WIPO;
- აშშ პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების ოფისში (USPTO) მიღებული პატენტების ოდენობა (შემდგომში USPat). წყარო: USPTO;
- ევროპის საპატენტო ოფისში (EPO) მიღებული პატენტების ოდენობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემთა ბაზის მიხედვით (შემდგომში EUPat). წყარო: OECD;
- პერსონალის რიცხოვნობა კვლევებსა და განვითარებაში გაეროს განათლების, მეცნიერებისა და

- კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მონაცემთა ბაზის მიხედვით. წყარო: UNESCO;
- მკვლევარების რაოდენობა. წყარო: UNESCO;
  - კვლევების და განვითარების ფონდები (% GDP). წყარო: UNESCO;
  - მოლიანი შიდა პროდუქტი (GDP) მსოფლიო ბანკის (WB) მონაცემთა ბაზის მიხედვით (2000 წლის საერთაშორისო აშშ დოლარებში). წყარო: WB;
  - შემოსავლის ჯგუფები ქვეყნებისთვის მსოფლიო ბანკის ოფიციალური კლასიფიკაციით. წყარო: WB;
  - რეზიდენტი მოსახლეობის რაოდენობა (შემდგომში Pop). წყარო: WB .

მონაცემთა წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნები ავლენენ არსებითად განსხვავებულ აქტივობას R&D სფეროში იმის მიხედვით, თუ შემოსავლების რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამ გარემოებისა და შერჩევის ზომის სიმცირის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაგვარულუფებინა ქვეყნები შემოსავლების დონის მიხედვით ორ კლასად – „მეტად შემოსავლიან“ და „ნაკლებად შემოსავლიან“ ქვეყნებად. ჩვენი კლასიფიკაცია ამსხვილებს WB კლასიფიკაციას<sup>1</sup> – „მეტად შემოსავლიან“ ქვეყნების ჯგუფში ჩვენს მიერ გაერთიანებულია ქვეყნები, რომლებიც WB კლასიფიკაციით მიეკუთვნებიან „მაღალ“ და „საშუალო მაღალ“ შემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფს; „ნაკლებად შემოსავლიან“ ქვეყნების ჯგუფში კი გაერთიანებულია ის ქვეყნები, რომლებიც WB კლასიფიკაციით შედიან „საშუალო

---

<sup>1</sup> მსოფლიო ბანკის ოფიციალური კლასიფიკაცია ეყრდნობა სპეციალურ მეთოდოლოგიას და აჯგუფებს ქვეყნებს ოთხ კლასად: „დაბალი“, „დაბალი საშუალო“, „მაღალი საშუალო“ და „მაღალი“ შემოსავლების ქვეყნებად. ქვეყნების მიკუთვნება ამა თუ იმ შემოსავლის კლასისთვის ხორციელდება ყოველწლიურად მსოფლიო ბანკის ფისკალური წლის დაწყების დღეს (1 ივნისი) და ფიქსირებულია მის დასრულებამდე.

დაბალ“ და „დაბალ“ შემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში. „ნაკლებადშემოსავლიანი“ (და შესაბამისად „მეტადშემოსავლიანი“) ქვეყნების ჯგუფი რამდენადმე იცვლის თავის შემადგენლობას საანალიზო პერიოდის (1991-2005) განმავლობაში, მაგრამ არსებითად იგი წარმოდგენილია ყოფილი „სოციალისტური ბლოკის“ ქვეყნებით.

ჩვენ აგრეთვე გავაანალიზებთ რამდენადაა დამოკიდებული R&D სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა იმ ინსტიტუციონალურ გარემოზე, რომელშიც მას უწევს ფუნქციონირება. ამ მიზნის მისაღწევად, ერთი მხრივ, დაგვჭირდება ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ კვლევებისა და განვითარების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას, მეორე მხრივ კი ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ ქვეყნის ინსტიტუციონალურ გარემოს. ქვემოთ მოკლედ დავახასიათებთ ამ ინდიკატორებს.

ამ თავში R&D სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას შევაფასებთ საპატენტო აქტივობით, რისთვისაც გამოვიყენებთ ფარდობით მაჩვენებლებს ResPatPop, USPatPop, EUPatPop, რომლებიც გამოხატავენ ქვეყნის საპატენტო აქტივობის შესაბამის მაჩვენებელს, ერთ მილიონ მცხოვრებზე: ResPatPop=10<sup>6</sup> ResPat/Pop, USPatPop=10<sup>6</sup> USPat/Pop, EUPatPop=10<sup>6</sup> EUPat/Pop.

კორელაციურმა ანალიზმა (ი. ქვემოთ მოტანილი ცხრილი) გვიჩვენა, რომ USPatPop და EUPatPop მაჩვენებლები არსებითად კორელირებენ. შევნიშნავთ ამასთანავე, რომ ამ ცვლადების კორელაციის კოეფიციენტის შედარებით დაბალი მნიშვნელობა ECA რეგიონის ნაკლებადშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფისთვის, როგორც ჩანს, უნდა აისხებოდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ სპეციფიური ფაზით, რომელშიც ეს ქვეყნები იმყოფებოდნენ საანალიზო პერიოდში. მიუხედავად SPatPop და EUPatPop მაჩვენებლებს შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებისა, მათი არსებითი კორელირებულობა მიზანშეწონილს ხდის ამ მაჩვენებელთა გაერთიანებას საერთაშორისო საპატენტო

აქტივობის ინტეგრირებულ მაჩვენებლად: IntPatPop=USPat/Pop+ EUPat/Pop.

ამ ინტეგრირებული მაჩვენებლის გამოყენების მიზანშეწონილობას გარკვეულწილად ამართლებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ECA რეგიონის ნაკლებადშემოსავლიანი ქვეყნებისთვის, როგორც ამას მონაცემთა წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, საანალიზო პერიოდში დამახასიათებელია არამკაფიო ორიენტირებულობა საერთაშორისო დაპატენტების მიზნებისთვის საპატენტო ოფისის არჩევაში. ამდენად, ერთ რომელიმე საპატენტო ოფისში რეგისტრირებული პატენტების მიხედვით განხორციელებული ანალიზი, ჩვენი აზრით, დაკინიხდა ნაკლებადშემოსავლიანი ქვეყნების რეალური შესაძლებლობების შეფასებას.

#### ცხრილი 1. ქორელაცია საპატენტო აქტივობის მაჩვენებლებს შორის 1991-2005 წწ.

ქვეყნების ტიპი	USPatPop/ EUPatPop	ResPatPop/ USPatPop	ResPatPop/ EUPatPop
მეტადშემოსავლიანი	0.91	0.62	0.57
ნაკლებადშემოსავლიანი	0.50	0.41	0.31
სულ	0.93	0.61	0.57

იმ ინსტიტუციონალური გარემოს დასახასიათებლად, რომელშიც კალევებისა და განვითარების სისტემას უწევს ფუნქციონირება, ჩვენ გამოვიყენებთ სახელმწიფო მმართველობის ხარისხის ექს ინდიკატორს, რომლებსაც WB აქვეყნებს 1996 წლიდან, იხ. (Kaufmann, D. at al., 2006). ეს ინდიკატორები ასახავენ ამა თუ იმ ქვეყნის ფარდობით მდგომარეობას მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიმართ სახელმწიფო მმართველობის ხარისხის განმსაზღვრელი შემდეგი ექვსი ატრიბუტის მიხედვით:

- ხმის უფლება და ანგარიშვალდებულება (VA) – მოქალაქეთა მიერ საკუთარი მთავრობის არჩევისუნარიანობის, სიტყვის, შეკრებების და პრესის თავისუფლების ხარისხი;
- პოლიტიკური სტაბილურობა (PS) – შესაძლებლობა იმისა, რომ მთავრობა დესტაბილიზირებული იქნება არაკონსტიტუციური ან ძალადობრივ-ტერორისტული ქმედებებით;
- მთავრობის ეფექტუანობა (GE) – სახელმწიფო/სამოქალაქო სამსახურების ხარისხი, მათი უნარი შეეწინააღმდეგონ პოლიტიკურ ზეწოლას და მათ მიერ შემუშავებული პოლიტიკის ხარისხი;
- რეგულირების ხარისხი (RQ) – მთავრობის უნარი შეიმუშაოს და განახორციელოს კერძო სექტორის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებანი;
- კანონის ძალა (RL) – სუბიექტების უნარი ენდონ საზოგადოებრივ კანონს და დაიცვან იგი (სახელშეკრულებო, საკუთრების, საპოლიციო და სასამართლო კანონმდებლობის ჩათვლით), აგრეთვე დანაშაულებრივი და კორუფციული ქმედებების ალბათობა;
- კორუფციის კონტროლი (CC) – კერძო ინტერესებისთვის სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენების ხარისხი (როგორც მცირე, ასევე მსხვილი მასშტაბით, აგრეთვე ელიტისა თუ კერძო ინტერესის მატარებელთა მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ჩათვლით).


აღნიშნული ინდიკატორები აფასებენ სახელმწიფო მმართველობის ატრიბუტების ხარისხს შეალაში მნიშვნელობებით -2.5-დან 2.5-მდე. უკეთეს ხარისხს შეესაბამება ინდიკატორის მეტი მნიშვნელობა, ნული შეესაბამება ქვეყნების მიხედვით გასაშუალოებულ მნიშვნელობას. ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორები ძლიერკორელირებულნი არიან,

შემდგომი ანალიზისთვის ჩვენ გამოვიყენებოთ სახელმწიფო მმართველობის ხარისხის ინტეგრირებულ მაჩვენებელს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების გასაშუალოებით მიიღება:  $G=(VA+PS+GE+RQ+RL+CC)/6$ .

წინამდებარე თავში აგრეთვე განვიხილავთ სხვა ინდიკატორებსაც, რომელთა განმარტებები საჭიროებისამებრ იქნება მოტანილი.

## 1.2. რესურსული უზრუნველყოფა

1996-2005 წლები საქართველოს R&D სისტემის საკადრო და ფინანსური უზრუნველყოფის მგებელი გაუარესებით ხასიათდება. ეს ვითარება, ერთი მხრივ, გარდამავალი ეკონომიკურისთვის დამახასიათებელი ზოგადი ფაქტორების მოქმედებით, მეორე მხრივ კი საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიური გარემოებების არსებობით იყო განპირობებული.




ნახ. 1. მკვლევარები 1 მლნ მცხოვრებზე – ECA, 1996-2005

H – ECA მაღალშემოსავლიანი ქვეყნები;

L – ECA დაბალშემოსავლიანი ქვეყნები;


Geo – საქართველო.

საანალიზო პერიოდში საქართველოს კვლევებისა და განვითარების სისტემაში მნიშვნელოვნად იკლო მკვლევართა რიცხვმა – დაახლოებით 3500 კაციდან 1 მლნ მცხოვრებზე 1996 წელს, 1800 კაცამდე 1 მლნ მცხოვრებზე 2005 წელს. თუ 1996 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისობაში იყო ECA რეგიონის მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლთა საშუალო მნიშვნელობასთან, 2005 წელს იგი პრაქტიკულად მიუახლოვდა ECA რეგიონის დაბალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მნიშვნელობას (იხ. ნახ. 1). ვინაიდან საქართველოც მიეკუთვნება ECA რეგიონის ნაკლებადშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფს, აღნიშნული გარემოება შესაძლოა არ გამოიყურებოდეს შემაშფოთებლად. მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეცნიერო პერსონალი ძნელად აღწარმოებადი აქტივია – შეშფოთების საფუძველი აუცილებლად გვექნება.



ნახ. 2. მკვლევარები 1 მლნ მცხოვრებზე – ყოფილი სსრკ ქვეყნები, 2005 წ.

შედარება ყოფილ სსრკ შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებთან (იხ. ნახ. 2) გვიჩვენებს, რომ დემოგრაფიული პოტენციალით საქართველოს მსგავსი ბალტიისპირეთის ქვეყნები, არსებითად უკეთ გაუფრთხილდნენ თავიანთ სამეცნიერო კადრებს. კერძოდ, 2005 წლის მდგომარეობით ესტონეთი 1 მლნ მცხოვრებზე მკვლევართა რიცხვით პრაქტიკულად მიუახლოვდა ECA რეგიონის მეტად შემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება უშუალოდ განაპირობებს ესტონეთის წარმატებებს ცოდნაზე ორიენტირებული მაღალეფებიანი ეკონომიკის განვითარებაში.



ნახ. 3. R&D-ფონდები (%GDP) – ECA, 1996-2005


H – ECA მაღალშემოსავლიანი ქვეყნები;

L – ECA დაბადშემოსავლიანი ქვეყნები;

Geo – საქართველო.

არსებითად შეიცვალა საქართველოს R&D სისტემაში დასაქმებულთა სტრუქტურაც. კერძოდ, 1996-2005 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მკვლევართა წილი R&D სფეროს მოლიან პერსონალში. კერძოდ, 1996-98 წლებში იგი შეადგენდა 85%, ხოლო 2005 წელს უკვე 60%

იყო. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ XXI საუკუნის დასაწყისისში ECA რეგიონის ეკონომიკურის (EU) წევრი ქვეყნებისთვის ამ მაჩვენებელის საშუალო მნიშვნელობა შეადგენდა 59%, ხოლო არა EU-წევრი ქვეყნებისთვის – 65%. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მაჩვენებლით მივუახლოვდით „ეკონომიკულ დონეს“. მეორე მხრივ, საქართველოსთვის სპეციფიკური ვითარება 1996-2005 წლებში მდგომარეობდა იმაში, რომ R&D სისტემაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის საშუალო წლიური 3.3%-იანი კლების და მკვლევართა რაოდენობის საშუალო წლიური 6.8%-იანი კლების პირობებში დამსმარე პერსონალის რაოდენობა იზრდებოდა და საშუალო წლიური 10.3%-ით.




**ნახ. 4. R&D-ფონდები (%GDP. 2001-2005 წწ. საშუალო) –  
ყოფილი სსრკ ქვეყნები**

საქართველოს R&D სისტემის მშპ-თან მიმართებაში დაფინანსების დონემ 2000 წელს მიაღწია თავის მინიმუმს 0.2%-ის მახლობლობაში და 2005 წლის ჩათვლით

სტაბილურად ინარჩუნებდა ამ დონეს (იხ. ნახ. 3), რაც ორჯერ ნაკლებია ვიდრე ECA რეგიონის ნაკლებადშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო დონე. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ 2001-2005 წლებში იგივე ესტონეთში კვლევების და განვითარების სისტემის დაფინანსება შეადგენდა მშპ-ს 0.8%-ს, რუსეთში – 1.19%-ს (იხ. ნახ. 4), ხოლო ECA რეგიონის მეტადშემოსავლიან ქვეყნებში ამავე პერიოდში მერყეობდა მშპ-ს 1.5%-ის მიღამოებში.

კიდევ უფრო დრამატულ სურათს წარმოაჩენს შედარება ერთ მკვლევარზე მოსული R&D-ფონდების მოხედვით (იხ. ნახ. 5). კერძოდ, 2005 წელს საქართველოში R&D-ფონდები ერთ მკვლევარზე შეადგენდა 2972 \$PPP-2000, რაც თითქმის ერთი რიგით ნაკლებია ვიდრე, აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა ბალტიისპირა ქვეყნებისთვის (იხ. ნახ. 6).



ნახ. 5. R&D-ფონდები (\$PPP-2000 ერთ მკვლევარზე) – ECA, 1996-2005


H – ECA მაღალშემოსავლიანი ქვეყნები,  
L – ECA დაბალშემოსავლიანი ქვეყნები,  
Geo – საქართველო

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს R&D სისტემის დაფინანსების მკვეთრი შემცირება ემთხვევა 1991 წელს, როცა სრულად შეწყდა სსრკ R&D სისტემის ფუნქციონირება და საქართველომ, ისევე როგორც სხვა ახალმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა, თავად იტვირთა საკუთარი R&D განვითარებაზე ზრუნვა. სამწუხარო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენით – ძირითადში კი სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობის გამო – საქართველომ ვერ შეძლო თავისი R&D სისტემის რამდენადმე ეფექტური მართვა. კერძოდ, ვერ გამოძებნა სათანადო ფონდები R&D სისტემის მკვეთრი დესტრუქტურიზაციისგან დასაცავად, მატერიალური და საკადრო პოტენციალის შესანარჩუნებლად.<sup>2</sup>

R&D სისტემის ფუნქციონირების ხარისხზე ზოგადი ინსტიტუციონალური გარემოს ზეგავლენის არსებობას ადასტურებს აგრეთვე შემდეგი დაკვირვება: თუ ქვეწის კვლევებისა და განვითარების სისტემის ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებლად მივიჩნევთ IntPatPop და ResPatPop ინდიკატორებს, ხოლო ინსტიტუციონალური გარემოს დასახასიათებლად – G ინდიკატორს, სათანადო გაანგარიშებების ჩატარების შედეგად დავინახავთ, რომ ln(IntPatPop) ძლიერ კორელირებს G ინდიკატორთან დადგ-

<sup>2</sup> საფურადღებოა ის გარემოება, რომ UNESCO-ს მონაცემთა ბაზაში არ მოიპოვება მონაცემები 1995-2005 წლებში საქართველოს კვლევებისა და განვითარების სისტემის ფონდების ფორმირების წყაროებსა და ამ ფონდების ხარჯვის მიმართულებებზე. ეს ფაქტი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ან აღნიშნული მონაცემები UNESCO-ს არ მიეწოდებოდა, ან ამ მონაცემთა ხარისხი არადამაკაყოფილებელი იყო. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტი თავისთავად უკვე ასახავს 1995-2005 წლებში საქართველოში კვლევებისა და განვითარების სისტემისადმი დამოკიდებულებას ზოგადი ინსტიტუციონალური თვალსაზრისით და სახელმწიფო მენეჯმენტის საერთო დონეს ამ სფეროში.

ბითი მიმართულებით (კორელაციის კოეფიციენტი  $k=0.89$ ), რაც კვლევებისა და განვითარების სისტემის ფუნქციონირებაზე ზოგადი ინსტიტუციური გარემოს მნიშვნელოვან ზეგავლენაზე მეტყველებს.



ნახ. 6. R&D-ფონდები (\$PPP-2000 ერთ მეცნიერზე, 2001-2005 წ. საშუალო) – ყოფილი სსრკ ქვეყნები

აქვე უნდა აღვნიშნოთ ჩატარებული ანალიზის ერთი თანმდევი შედეგი. საინტერესო ფაქტს ვაკვირდებით შიდა საპატენტო აქტივობისა და G ინდიკატორის ურთიერთკავშირის ანალიზისას. თუ შერჩევაში არ გავითვალისწინებთ სომხეთის, საქართველოს, მოლდოვის, რუსეთის, უკრაინისა და უზბეკეთის მონაცემებს, მაშინ  $\ln(\text{ResPatPop})$  და G ინდიკატორი მნიშვნელოვნად კორელირებენ დადგენითი მიმართულებით (კორელაციის კოეფიციენტი  $k=0.68$ ). ამავე დროს, აღნიშნული ქვეყნების მაჩვენებელთა გათვალისწინებით კორელაციის კოეფიციენტი არსებითად კლებულობს ( $k=0.35$ ).

სავარაუდოა, რომ ხსენებული ქვეყნების<sup>3</sup> საპატენტო უწყებები რამდენადმე გადაჭარბებულად აფასებენ რეზიდენტი გამომგონებლების ნაშრომთა ინოვაციურობის ხარისხს, რაც გარკვეულწილად ასევე მეტყველებს იმ ინსტიტუციონალურ გარემოზე, რომელშიც უწევს ფუნქციონირება საქართველოს R&D სისტემას. სავარაუდოა აგრეთვე, რომ აღნიშნული ფაქტი „პოსტსაბჭოურ სინდრომს“ წარმოადგენს და მარტო საქართველოსთვის არაა დამახასიათებელი.

### 1.3. საპატენტო აქტივობის ანალიზი

თანამედროვე ემპირიული ეკონომიკური კვლევების პრაქტიკაში R&D სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობის საზომად ფართო გამოყენება ჰპოვა (Griliches, Z., 1990) საპატენტო აქტივობის სხვადასხვა სახის მაჩვენებლებმა. ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად აისხება როგორც საკმაოდ დეტალური საპატენტო მონაცემების ხელმისაწვდომობით, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების წევალობით გახდა შესაძლებელი, ასევე ამ მონაცემთა არსებითი ობიექტურობითა და ინფორმატიულობით. ამდენად, საპატენტო აქტივობის სხვადასხვა მაჩვენებლები, როგორც საინოვაციო პროცესების (შესაძლოა არასრულყოფილი, მაგრამ მნიშვნელოვანი) ინდიკატორები, დამოუკიდებელი ინტერესის საგანსაც

---

<sup>3</sup> კვლევის ამ ნაწილში შერჩევაში არ შედის აზერბაიჯანი, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქეთი, ვინაიდან 2005 წლის მდგომარეობით მათი შიდა საპატენტო აქტივობის მონაცემები ვერ მოვიპოვეთ.

წარმოადგენენ ინოვაციური პროცესების მონიტორინგისა და ანალიზის მიზნებისთვის. წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ განვიხილავთ ძირითად მოკლე და გრძელვადიან ტენდენციებს, რომლითაც 1996-2005 წლებში ხასიათდებოდა საგამომგონებლო საქმიანობა ECA რეგიონში მთლიანად და მათ შორის საქართველოში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ შიდა საპატენტო აქტივობა განაახლა მხოლოდ 1993 წელს, როცა თავის რეზიდენტებზე გასცა პირველი 19 პატენტი, ხოლო პირველი საერთაშორისო პატენტი (რეგისტრირებული USPTO-ში) საქართველოს რეზიდენტმა შიდო 1995 წელს. მთლიანობაში, 1991-2005 წლებში საქართველომ რეზიდენტებზე გასცა 2053 პატენტი, ხოლო საქართველოს რეზიდენტებმა მიიღეს (USPTO-ში და EPO-ში რეგისტრირებული) 38 საერთაშორისო პატენტი, რომელთაგან 20 უცხოელ კოლეგებთან თანაავტორობითაა (ამათგან: 1 პატენტი ჩეხეთის, 1 – ფინეთის, 2 – გერმანიის, 4 – გაერთიანებული სამეფოს, 6 – ამერიკის შეერთებული შტატების და 11 – რუსეთის რეზიდენტების თანაავტორობით).

ამავე პერიოდში ECA რეგიონში საპატენტო აქტივობის ძირითად გრძელვადიან ტენდენციებზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 2, რომელშიც თავმოყრილია 1991-2005 წლების ინტერვალში საპატენტო აქტივობის მაჩვენებლების ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები.

**ცხრილი 2. საპატენტო აქტივობის ამსახველი მირითადი  
სტატისტიკური მახასიათებლები, 1991-2005**

	ResPatPop	IntPatPop
<b>ECA მეტადშემოსავლიანი ქვეყნები</b>		
საშუალო	63.5	76.4
მედიანა	39.1	47.7
სტანდარტული გადახრა	64.5	90.3
მინიმუმი	0.0	0.0
მაქსიმუმი	277.0	429.2
დაკვირვებათა რაოდენობა	394	394
<b>ECA ნაკლებადშემოსავლიანი ქვეყნები</b>		
საშუალო	29.1	0.3
მედიანა	14.6	0.1
სტანდარტული გადახრა	38.2	0.4
მინიმუმი	0.0	0.0
მაქსიმუმი	214.4	2.2
დაკვირვებათა რაოდენობა	266	266
<b>ECA ქვეყნები სულ</b>		
საშუალო	49.7	45.7
მედიანა	28.3	1.8
სტანდარტული გადახრა	57.9	79.1
მინიმუმი	0.0	0.0
მაქსიმუმი	277.0	429.2
დაკვირვებათა რაოდენობა	660	660
<b>საქართველო</b>		
პერიოდის საშუალო	28.6	0.4

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, საანალიზო პერიოდში საქართველოს შიდა საპატენტო აქტივობის საშუალო მაჩვენებელი ResPatPop=28.6-ის, ხოლო საერთაშორისო საპატენტო აქტივობის საშუალო მაჩვენებელი IntPatPop=0.4-ის ტოლია, რაც არსებითად ნაკლებია ECA რეგიონის საშუალო მიზანითადი სტატისტიკური მახასიათებლები.

აღო მაჩვენებლებზე. ამასთანავე, საანალიზო პერიოდში საქართველოს საპატენტო აქტივობის საშუალო მაჩვენებლები პრაქტიკულად ემთხვევა ECA რეგიონის ნაკლებად-შემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ საანალიზო პერიოდში საპატენტო აქტივობის მაჩვენებლების მიხედვით საქართველო რანგით საშუალებო პოზიციაში იმყოფება ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებთან მიმართებაში, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ ჯგუფის ლიდერებს (ესტონეთი, რუსეთი, ლატვია).

საპატენტო აქტივობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გამოგონებათა დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი. აღსანიშნავია, რომ 1991-2005 წლებში ევროპისა და აშშ საპატენტო ოფისებში რეგისტრირებული პატენტების ნაკადის სტრუქტურა საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის (IPC)<sup>4</sup> ძირითადი განყოფილებების მიხედვით შემდგნაირად გამოიყერება: A – 14.6%; B – 19.2%; C – 13.2%; D – 1.3%; E – 2.8%; F – 8.3%; G – 21.7%; H – 18.8%. ამასთანავე, 1991-2005 წლებში EPO-სა და USPTO-ში რეგისტრირებული საქართველოსთვის მიკუთვნებული პატენტების IPC განყოფილებების მიხედვით განაწილება ასეთია: A – 46.0%; C – 4.0%; F – 9.7%; G – 11.0%; H – 29.3%.

უმნიშვნელოვანესი პროცესი, რომელსაც XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე აღამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ვაკვირდებით – საერთაშორისო ონაბირომლობის

<sup>4</sup> IPC ქართულ რედაქციაში (იხ. „საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია“, მე-7 რედაქცია (1999), ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქართვენტი“, თბილისი, 2007) საპატენტო კლასიფიკაცის განყოფილებების დასახელებებია: **A** – ადამიანის პირველადი მოხმარების საგნები; **B** – ტექნოლოგიური პროცესები, ტრანსპორტირება; **C** – ქმნა, მეტალურგია; **D** – მშენებლობა, სამთო საქმე, სტაციონარული ნაგებობები; **F** – მექანიკა, განათება, გათბობა, იარაღი, ასაფეთქებელი სამუშაოები; **G** – ფიზიკა; **H** – ელექტრონიკა.

გააქტიურება. მზარდ საერთაშორისო კოოპერაციას აქვს ადგილი აგრეთვე საგამომგონებლო სფეროშიც. ასე მაგალითად, თუ 1991 წელს EPO-სა და USPTO-ში რეგისტრირებულ პატენტებში არარეზიდენტი თანაავტორების მონაწილეობით პატენტების წილი შეადგენდა: იაპონიისთვის – 1.3%-ს, აშშ-თვის – 3.4%-ს, EU15 ქვეყნებისთვის – 4.1%-ს, მოელი მსოფლიოსთვის კი – 2.3%-ს, 2005 წელს ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა შეადგენდა იაპონიისთვის – 2.7%-ს, აშშ-სთვის – 9.1%-ს, EU15 ქვეყნებისთვის – 10.5%-ს, მოელი მსოფლიოსთვის – 5.7%-ს. საინტერესოა, რომ ამ საერთო ფონზე, ყოფილი „სოციალისტური ბლოკის“ ქვეყნებისთვის არარეზიდენტებთან თანაავტორობის ფარდობით მაჩვენებელს (ICOA)<sup>5</sup> საგრძნობლად დიდი მნიშვნელობები აქვს.

ჩვენი აზრით, ეს ფაქტი გარკვეულწილად აიხსნება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ შემადგენლობაში შემავალი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ვითარებით, რომელიც ისტორიული გარემოებების გავლენით ჩამოყალიბდა და საქმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დასაგლეთ ევროპული ენობრივი სივრცისგან მეტ-ნაკლებად იზოლირებულად ამჟოებდა ამ ქვეყნებს (საპროცედურო ენები EPO-ში – ინგლისური, გერმანული და ფრანგულია, USPTO-ში კი ინგლისური). ამ მოსაზრების არგუმენტირებისთვის შევნიშნავთ, რომ (იმ ქვეყნების ერთობლიობისთვის, რომლებისთვისაც მოხერხდა გაანგარიშებებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება) არარეზიდენტებთან საპატენტო თანაავტორობის ინდექსი (ICOA) და დასავლეთ-

<sup>5</sup> საპატენტო თანაავტორობის ინდექსი (ICOA) მოცემული ქვეყნისთვის გამოითვლებოდა როგორც EPO-სა და USPTO-ში რეგისტრირებულ პატენტებში არარეზიდენტი თანაავტორების მონაწილეობით პატენტების წილების (იხ. <http://stats.oecd.org/wbos/Index>.) 1991-2005 წლების საშუალო.

ევროპული ენების ცოდნის ინდექსი (WELS)<sup>6</sup> უარყოფითად კორელირებენ ერთმანეთთან აბსოლუტური მნიშვნელობით საკმაოდ დიდი კორელაციის ქოეფიციენტით ( $k \approx 0.6$ ). რასაკ-ვირგელია, მონაცემთა სიმცირის გამო ზემოთ აღნიშვნული მოსაზრება – საგამომგონებლო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე დასავლეთევროპული ენების ცოდნის ზეგავლენის შესახებ – მხოლოდ ვარაუდად შეგვიძლია მი-ვიჩნიოთ, მაგრამ ეტყობა ამ ვარაუდს არსებობის უფლება აქვს და მისი უარყოფა ან დასაბუთება დამოუკიდებელი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

საინტერესო სურათს გვაძლევს აგრეთვე, მიღებული საერთაშორისო პატენტების არარეზიდენტი თანაავტორების წარმომავლობის მიხედვით განაწილების ანალიზი. 1991-2005 წლებში ევროპისა და აშშ საპატენტო ოფისებში არარეზიდენტი თანაავტორების მონაწილეობით რეგისტრირებული საქართველოზე მიკუთვნებული პატენტების განაწილება თანაავტორების რეზიდენტობის მიხედვით ასეთია: EU15 ქვეყნების რეზიდენტების მონაწილეობით – 35.0%, აშშ-ს – 30.0%, იაპონიის – 0.0%, რუსეთის – 55.0% (საერთაშორისო პატენტებში საქართველოს გამომგონებლებს თანაავტორები ყოფილი სხვ სხვა ქვეყნებიდან გარდა რუსეთისა არ ჰყავთ). ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საანალიზო პერიოდში საქართველოს რეზიდენტ გამომგონებლებისათვის საერთაშორისო საპატენტო აქტივობის მნიშვნელოვან არსეს რუსეთის

<sup>6</sup> დასავლეთევროპული ენების ცოდნის ინდექსი (WELS) გამოითვლებოდა 1990-1997 წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული ევრობარომეტრის სახელით ცნობილი გამოკლევის მონაცემებზე დაყრდნობით (იხ. <http://www.gesis.org/en/services/data/survey-data/eurobarometer/>). ამა თუ იმ ქვეყნისთვის WELS ინდექსის მნიშვნელობა წარმადგენს შეფარდებას იმ რესპონდენტთა მოლაპანი რაოდენობისა, რომლებმაც კითხვაში „სხვა ენები“ მოუთითეს ინგლისური, ფრანგული, გერმანული და იტალიური ენები, იმ რესპონდენტთა რაოდენობასთან, რომლებმაც უპასუხეს კითხვას „მშობლიური ენა“.

რეზიდენტ კოლეგებთან თანამშრომლობა წარმოადგენდა. შევნიშნავთ, რომ ესტონელ და ლატვიელ გამოგონებელთა ყოფილი სსრპ ქვეყნებიდან თანავტორების კონტინენტი გადანაწილებულია მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის რეზიდენტებს შორის, ხოლო საერთაშორისო კოოპერირებაში, ისევე როგორც რუსეთის შემთხვევაში, ძირითადი აქცენტი კეთდება EU15 და აშშ-ს კოლეგებთან თანამშრომლობაზე.

ზოგადი ტენდენციებიდან, რომლებსაც ვაკვირდებით საანალიზო პერიოდის განმავლობაში, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. როგორც არსებული მონაცემები მიგვითოთებენ, საანალიზო პერიოდის განმავლობაში ECA რეგიონი ხასიათდებოდა საერთაშორისო საპატენტო აქტივობის ზრდით როგორც მეტად, ასევე ნაკლებად შემოსავლიან ქვეყნებში. ამასთანავე, დაწყებული 1996-1997 წლებიდან ECA რეგიონის როგორც მეტად, ასევე ნაკლებად შემოსავლიან ქვეყნებისთვის იკვეთება შიდა საპატენტო აქტივობის კლების ტენდენცია. ჩვენი აზრით, აღნიშნული გარემოება უკავშირდება გლობალიზაციის ზოგად პროცესს და მას ეტყობა შეუქცევადი ხასიათი ექნება მომავალში.

ჩამორჩენის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, 2001-2005 წლებში საქართველოს საერთაშორისო საპატენტო აქტივობის ინდექსმა საგრძნობლად გადააჭარბა ECA რეგიონის ნაკლებად შემოსავლიანი ქვეყნების საერთაშორისო საპატენტო აქტივობის ინდექსის საშუალო მნიშვნელობას, მაგრამ ორი რიგით ნაკლები იყო ECA რეგიონის მეტად შემოსავლიანი ქვეყნების საერთაშორისო საპატენტო აქტივობის ინდექსის საშუალო მნიშვნელობაზე. მეორე მხრივ, შიდა საპატენტო აქტივობის თვალსაზრისით საქართველო საანალიზო პერიოდში ძირითადში ინარჩუნებდა პოზიციას რეგიონის ნაკლებად შემოსავლიანი ქვეყნების შიდა საპატენტო აქტივობის საშუალო მნიშვნელობის მახლობლობაში, ხოლო 1997 წელს გადააჭარბა კიდევ ECA რეგიონის მეტად შემოსავლიანი ქვეყნების შიდა საპატენტო აქტივობის საშუალო მნიშვნელობას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საქართ-

ველოს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო საპატენტო აქტივობას 1991-2005 წლებში არ გააჩნდა რამდენადმე მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციები, რაც ქვეყნის საინოვაციო სისტემის არსებით არამდგრადობაზე მეტყველებს.

## 14. მიმღებელი მდგრადი მოვალეობის შეზარდების ინიციატივის კრონიკა მიერ

რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით განხორციელებული ანალიზი, რომელიც წინა პარაგრაფებში იქნა მოტანილი, საქართველოში კვლევებისა და განვითარების სისტემის ფუნქციონირებას ასახავდა. ვინაიდან კვლევებისა და განვითარების სისტემა მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ნაწილია ეროვნული საინოვაციო სისტემისა, არსებით ინტერესს წარმოადგენს საკითხის განხილვა ეროვნული საინოვაციო სისტემის უფრო ზოგად კონტექსტში.

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს საინოვაციო სისტემის ფუნქციონირებაში ჩართულ პირთა საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა. ამ მიზნით 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში, რუსთავესა და ლანჩხუთში განხორციელდა მცირემასშტაბიანი სოციოლოგიური კვლევა, რომელმაც მოიცვა 20 რესპონძენტი – სახელმწიფო მოხელეები, მცხნიერები, საქმიანი წრეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (არანაკლებ დოქტორის ხარისხის მქონე 4-6 რესპონძენტი თითოეული აღნიშნული კატეგორიიდან). კვლევა ჩატარდა სიდრმისეული ინტერვიუირების მეთოდით. ქვემოთ მოტანილია კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა.

**ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა**  
რესპონძენტთა განცხადებით, მათთვის ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყაროა ინტერნეტი. რესპონძენტთა დაახლოებით ნახე-

ვარი აცხადებს, რომ მათთვის ახალი ტექნოლოგიების დამატებითი არხებია – უცხოელ პარტნიორებთან განხორციელებული ერთობლივი პროექტები, კონფერენციები და გამოფენები, კონკურენტთა საქმიანობის ანალიზი. ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მოპოვების სხვა არხები (კერძოდ, საპატენტო-სალიცენზიო ძიება, თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან და ა.შ.) დღევანდელ პირობებში რესპონდენტებს არაეფექტურად მიაჩნიათ.

### **ახალი ტექნოლოგიების შემოტანის ფორმები**

რესპონდენტთა აზრით, ამჟამად ახალი ტექნოლოგიების შემოტანის ყველაზე ეფექტური საშუალებაა – უშუალო მატერიალიზებული ფორმით ტექნოლოგიების შემოტანა ონლაინები ტრენინგით პერსონალისთვის. ამის მიზანად რესპონდენტებს მიაჩნიათ სათანადო ცოდნის, ადამიანური და მატერიალურ-ფინანსური რესურსების ნაკლებობა, რომელიც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს და საშუალებას არ იძლევა მარტო დოკუმენტაციის გამოყენებით იქნეს გადმოტანილი რაიმე ახალი ტექნოლოგია. ამასთანავე, რესპონდენტთათვის ზოგადად მისაღებია ახალი ტექნოლოგიების შემოტანის ნებისმიერი ფორმა და, მათი აზრით, ამა თუ იმ ფორმის არჩევანი კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული. დღევანდელ პირობებში ახალი ტექნოლოგიების შემოტანის ერთ-ერთ პერსპექტიულ ფორმად რესპონდენტები აგრეთვე მიიჩნევენ ერთობლივი საწარმოების შექმნას.

### **ახალი ტექნოლოგიების შემოტანის ხელშემშლელი ფაქტორები**

რესპონდენტები პრაქტიკულად ერთხმად აღნიშნავენ, რომ ძირითად ხელშემშლელ ფაქტორს ახალი ტექნოლოგიების შემოტანისთვის წარმოადგენს ცოდნის ნაკლებობა – ზოგადად საზოგადოებაში და კერძოდ გადაწყვეტილებების მიმღებთა შორის, რაც განაპირობებს ახალი ტექ-

ნოლოგიების შემოტანისთვის აუცილებელი პოლიტიკური და/ან ადმინისტრაციული ნების არარსებობას, ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო მხარდაჭერის არასაკმარისობას და მატერიალურ-ფინანსური რესურსების სიმწირეს. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს რესპონდენტები ხედავენ ქვეყნის ინოვაციური გზით განვითარების პრიორიტეტად აღიარებაში სახელმწიფო ებრივ დონეზე, ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, საინოვაციო პოლიტიკის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და საქართველოს პირობებისათვის მის აღაპტირებაში. რესპონდენტებმა აღნიშნეს რიგი ზოგადი საჭიროების კონკრეტული საკითხებისა, რომელთა გადაჭრის აუცილებლობის წინაშე ამჟამად ვიმყოფებით არაკომპეტენტურად განხორციელებული რეფორმების შედეგად. ასე მაგალითად: სტანდარტიზაციის პროცედურები, გარემოს კონტროლის საერთაშორისო ინდიკატორთა სისტემის აღაპტირება, ერთიანი გეოდეზიური ქსელის აღდგენა, საცდელ-სასელექციო სადგურების აღდგენა და სხვ.

### **ძვლევებისა და განვითარების (R&D) სისტემა**

რესპონდენტები პრაქტიკულად ერთხმად აცხადებენ, რომ ამჟამად საქართველოში კვლევებისა და განვითარების სისტემა არსებითად მოშლილია და ოუკი კვლევები სადმე წარიმართება – უაღრესად არაეფექტურად. R&D სისტემის ამგვარი მდგომარეობის მიზეზად სახელდება: დაფინანსების ანომალურად დაბალი დონე, საგრანტო სისტემის არაეფექტურანი მენეჯმენტი, მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განადგურება, ადამიანური რესურსების გაფანტვა, კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის სიძნელეები. რესპონდენტთა აზრით R&D სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროდ ამჟამად შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ სახელმწიფო, ვინაიდან საქართველოში ბიზნესს ჯერჯერობით არ შეუძლია R&D სისტემის დაფინანსებაში წვლილის შეგანა. რესპონდენტები აგრეთვე მიიჩნევენ, რომ საქართველოს R&D სისტემის ჩართულობა საერთაშორისო

კვლევით პროგრამებში დაფინანსების უფასობის არხად უნდა განიხილებოდეს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რესპონდენტები ჯერ კიდევ ხედავენ საქართველოს R&D სისტემის აღორძინების შესაძლებლობას.

### **თანამშრომლობა ინოვაციების სფეროში**

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად საქართველოში თანამშრომლობა ორგანიზაციებს შორის საინვაციო სფეროში ძირითადში ხორციელდება მოკლევადიანი კონტრაქტების საფუძველზე კონკრეტული პროექტების ფარგლებში და, როგორც წესი, სისტემურ ხასიათს არ ატარებს. ამასთანავე, რესპონდენტთა პასუხებიდან მკვეთრად იკვეთება ტენდენცია – ინოვაციებით დაინტერესებული ორგანიზაციები უნივერსიტეტებთან და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობას კი არ ანიჭებენ უპირატესობას, არამედ კონკრეტულ სპეციალისტებთან, რაც მათვის გაცილებით იაფია. რესპონდენტები დადგებითად აფასებენ უცხოელ სპეციალისტებთან თანამშრომლობას. ამგვარი თანამშრომლობა ძირითადში ხორციელდება საქართველოში მიმდინარე კონკრეტული პროექტების ფარგლებში (მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა მიუთითა თანამშრომლობა ევროკავშირის FP7 პროგრამის ფარგლებში). რესპონდენტები ერთხმად აცხადებენ, რომ მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, სპეციალისტთა გადამზადების სისტემა საქართველოში ამჟამად არ არსებობს. ხორციელდება მხოლოდ ცალკეული სასწავლო/გადამზადებითი ღონისძიებები ამა თუ იმ პროექტების ფარგლებში, თუმცა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამგვარი ღონისძიებებისთვის უფრო სისტემური ხასიათის მიცემა. რესპონდენტები პრაქტიკულად ერთხმად (იმ მცირე გამონაკლისის გარდა, რომელთა ორგანიზაციები იდებენ საბაზო საბიუჯეტო და/ან საგრანტო დაფინანსებას ან ასრულებენ მსხვილ სახელმწიფო დაკვეთებს) აცხადებენ, რომ არ გააჩნიათ სახელმწიფო მსარდაჭერა ინოვაციების სფეროში (R&D დაფინანსება, საგადასახადო მსარდაჭერა და ა.შ.).

## 1.5. დასპანა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს R&D სისტემის ფუნქციონირების მოკლე მიმოხილვა და განხორციელებულია რამდენიმე ძირითადი მაჩვენებლით მისი შედარება ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საანალიზო პერიოდში საქართველომ:

- R&D სისტემის საკადრო რესურსების მნიშვნელოვანი და მოკლე პერიოდში აღუდგენადი დანაკარგები განიცადა;
- სხვადასხვა ფაქტორების, კერძოდ კი სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, ვერ შეძლო კვლევებისა და განვითარების სისტემის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა და რამდენადმე უფასებიანი მართვა.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- საანალიზო პერიოდში საქართველოს საპატენტო აქტივობის მაჩვენებლები ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონის ნაკლებად შემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფის ანალოგიური მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობების მახლობლებაში იმყოფებოდა;
- როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო საპატენტო აქტივობის მაჩვენებლების მიხედვით საქართველო რანგით საშუალედო პოზიციაშია ყოფილი სერკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ჯგუფში და ამასთანავე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ ჯგუფის ლიდერებს შესაბამისი მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობების მიხედვით.

ამრიგად, საპატენტო აქტივობის სტატისტიკური მაჩვენებლების – როგორც R&D სექტორის ეფექტიანობის ძირითადი ინდიკატორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკვლევ პერიოდ-

ში საქართველოს R&D სისტემა არსებითად არამდგრად ფუნქციონირებდა და ძირითადში ადრინდელი მიღწევების ექსპლუატაციაზე იყო ორიენტირებული. ამასთანავე, R&D სისტემის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება პოსტ-სსრკ სივრცის ლიდერ ქვეყნებს და უაღრესად სუსტი პოზიციები აქვს ECA რეგიონში. ამგვარი ვითარება სისტემური ხასიათის მიზეზებითაა განაპირობებული და უკავშირდება მთელ რიგ ფაქტორებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინეს საქართველოს R&D სისტემის ფუნქციონირებაზე. ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ:

- სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ძველი კავშირ-ურთიერთობების რდგევისა და ახლის ჩამოყალიბების სინქლეუბი;
- უაღრესად მწირი რესურსების უზრუნველყოფა;
- საინვაციო საქმიანობისთვის არახელსაყრელი ინსტიტუციური გარემო;
- მკაფიო მიზნებისა და, შესაბამისად, პოლიტიკის არარსებობა R&D სფეროში.

ზემოთ ჩამოთვლილი, ისევე როგორც სხვა ფაქტორები, რომლებიც აქ განხილული არ იყო, საქართველოს R&D სისტემის არსებით არაეფექტიანობას განაპირობებდნენ საანალიზო პერიოდში.

ადსანიშნავია, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებული ზემოთ აღნიშნული დასკვნები დასტურდება ინოვაციური პროცესების მონაწილეობა საზოგადოებრივი აზრის კვლევითაც.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს R&D სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელი (როგორც შემაფერხებელი, ასევე მასტიმულირებელი) ფაქტორების გამოვლენა და მათი ზეგაფლენის ანალიზი შემდგომი დეტალური კვლევის საგანი უნდა გახდეს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის აუცილებელი პოლიტიკის შემუშავებას.

## თავი Ⅱ.

ინოვაციური პროცესების  
მართვის ინფორმაციული  
უზრუნველყოფა

## 2.1. შესაგალი

საქართველოსთვის ამჟამად უაღრესად აქტუალური ხდება ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდებისა და საშუალებების სათანადო მოდერნიზაცია, რათა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური მიახლოება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან და საფუძველი ჩაეყაროს ცოდნაზე ორიენტირებული მაღალ-ეფექტიანი ეკონომიკის განვითარებას.

ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა ემყარება საბაზო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე მიღგომებს მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში. ამ მიღგომების რეალიზაცია, რასაკვირველია, მნიშვნელოვან ძალისხმეულის მოითხოვს და ამდენად ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო?

მოკლე პასუხი ამ შეკითხვაზე მდგომარეობს იმაში, რომ დღეისთვის საყოველთაოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისით, მმართველობის ნებისმიერ სფეროში რეალობის ადეკვატური პოლიტიკის შემუშავება და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელია საკმარისად მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის არსებობის გარეშე. ამ ზოგად სენტენციას თავისი გამოხატულება აქვს მეცნიერებისა და ინოვაციების სახელმწიფო მართვის სფეროშიც. აღნიშნული კონცეფცია მკვეთრადაა გამოხატული კვლევებისა და განვითარების სფეროში სახელმწიფო მართვის საკითხებისადმი მიღგომებში, რომლებსაც OECD ავითარებს დაწყებული XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, იხ. (OECD, 1963), (Godin B., 2002). OECD-ის დოქტრინის მიხედვით, ქვეყნებმა თავიანთი შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად კვლევებისა და განვითარების მართვის სფეროში, უნდა ჩამოაყალიბონ ცენტრალური საკოორდინა-

ციო ერთეული (რომელსაც არ ექნება არც სამინისტროს, არც აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაში შემავალი სხვა სახის სააგენტოს ფუნქციები), რომელიც მთავრობის თანადგომით შეასრულებს მრჩევლისა და მონიტორის როლს და დაეხმარება მთავრობას სათანადო პრიორიტეტების დადგენაში. OECD-ის დოქტრინის მიხედვით ადნიშნული საკორდინაციო ერთეულის საქმიანობა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს – ინფორმაციის მოპოვება და საკოორდინაციო აქტივობა. კერძოდ, საკორდინაციო ერთეულის ფუნქციები უნდა იყოს:

### **ინფორმაციის მოპოვების ნაწილში**

- კვლევებისა და განვითარების სფეროში ინვესტიციების შესახებ მონაცემების მოპოვება, ანალიზი და შეფასებანი;
- მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეულ წამყვან დარგებში პერიოდული სპეციალური გამოკვლევების ჩატარება;
- სამეცნიერო-ტექნიკურ პერსონალში მომავალი საჭიროებების გამოვლენა;
- მონაცემთა მოპოვება კვლევების, განვითარებისა და განათლების სფეროში ფუნქციონირებადი დაწესებულებების შესახებ;
- მონაცემთა მოპოვება სხვა ქვეყნებში კვლევების, ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროში არსებული აქტივობისა და ძირითადი ტრენდების შესახებ;
- იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მეცნიერთა და ინჟინერთა მობილურობაზე, მოტივაციაზე, დასაქმებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- მონაცემთა მოპოვება კვლევებისა და ტექნოლოგიების წვლილის შესახებ ეკონომიკურ განვითარებაში, სოციალურ ცვლილებებში, ეროვნულ უსაფრთხოებაში, საერთაშორისო კოოპერაციაში და ა.შ.

### **საკოორდინაციო აქტივობის ნაწილში**

- რეკომენდაციების მომზადება კვლევებისა და განვითარების სფეროში ეროვნული პრიორიტეტების შესახებ;
- რეკომენდაციების მომზადება კვლევებისა და განვითარების სფეროში საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობების და მათი განაწილების (კერძოდ ფუნდამენტურ კვლევებზე) შესახებ;
- სახელმწიფო სააგენტოების სამეცნიერო გეგმებისა და პოლიტიკის კოორდინირება;
- სამთავრობო დაწესებულებების კონსულტირება სამეცნიერო შესაძლებლობების გამოყენების შესახებ პოლიტიკის შემუშავებისას;
- რეკომენდაციების მომზადება არასამთავრობო სექტორში კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობის გასაზრდელად;
- მოამზადოს ინფორმაცია, რჩევები და, შესაძლოა, განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება კვლევებისა და განვითარების სფეროში ფუნქციონირებადი ორგანიზაციებისათვის;
- კვლევებისა და განვითარების ეროვნული პროგრამების ინიცირება და მონიტორინგი;
- საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობაში თანამონაწილეობის კოორდინირება.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, საკოორდინაციო ერთეულის საქმიანობის უდიდესი ნაწილი მეორადი სტატისტიკური მონაცემების მოპოვების და შემდგომ მათი დამუშავების ან მათი ანალიზისა და გამოყენების სფეროს განეკუთვნება. მას შემდეგ რაც სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებულია, მისი გამოყენება ხორცილდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: თეორიულ-კვლევითი, პრაქტიკული, იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმართულებებით. ქვემოთ მოტანილი ჩამონათვალი წარმოდგენას გვაძლევს

თითოეული ამ მიმართულებით სტატისტიკის შესაძლო გამოყენებებზე (დეტალური ანალიზისთვის იხ. Godin B., 2002):

#### **თეორიულ-კვლევითი მიზნები:**

- მიმდინარე პროცესების შესწავლა-გაგება;
- ქვეყნების შედარება;
- პროგნოზირება.

#### **პრაქტიკული მიზნები:**

- დაგეგმვა და რესურსების განაწილება;
- მიზნების გამოვლენა;
- მონიტორინგი;
- აღრიცხვიანობა.

#### **იდეოლოგიური მიზნები:**

- შესაძლებლობათა წარმოჩენა;
- გადაწყვეტილებათა გამართლება;
- არჩევანის დასაბუთება.

#### **პოლიტიკური მიზნები:**

- ადამიანთა მობილიზება;
- ფონდების დობირება;
- პოლიტიკოსთა დარწმუნება.

აქედან ნათლად ჩანს, და თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისთვის მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში უფლებიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნებისთვის, სტატისტიკური ინფორმაციის აუცილებლობა ეჭვის ქვეშ არ დგას. ამ თავის შემდგომ პარაგრაფებში ჩვენ დაგინახავთ როგორ ხორციელდება თანამედროვე მიღ-გომების რეალიზაცია ინოვაციების სტატისტიკის სფეროში. გავეცნობით მონაცემთა მოგროვების, დამუშავების და გავრცელების ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეპროგავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ თავიანთ პრაქტიკაში. სპეციალური განხილვის საგანი იქნება სტატისტიკური

ინფორმაციის წარმოდგენის მეთოდები, სპეციალური კვლევები და ძირითადი ინდიკატორები, რომლებსაც ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგისთვის იყენებს ევროპავშირი.

## 2.2. თანხმდობე ეგროპული პრაგმიკა მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში

ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი ევროგაერთიანების ქვეყნებში ძირითადში დამყარებულია მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროს საბაზო პირველად სტატისტიკურ ინფორმაციაზე და ცალკეული სპეციალური გამოკვლევების მონაცემებზე. ვინაიდან მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროს საბაზო სტატისტიკა წარმოადგენს ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის ძირითად ბირთვს, ჩვენ პირველ რიგში შევჩერდებით საბაზო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების თანამედროვე პრაქტიკის მიმოხილვაზე.

სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითად მეთოდოლოგიურ მიმართულებებს ამ სფეროში განსაზღვრავენ ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა EUROSTAT-ი (ევროგაერთიანების სტატისტიკური ოფისი) და OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია). ამ ორგანიზაციების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკაში წარმოადგენენ საფუძველს EU (ევროპავშირი) და OECD წევრ ქვეყნებში შესაბამისი ეროვნული სისტემების ორგანიზებისათვის. ეს მიღვომა უზრუნველყოფს ეროვნული სისტემების პარმონიზებას ანუ,

სხვა სიტყვებით რომ კონკრეტული სტატისტიკური მონაცემთა შედარებითობას და, ამდენად, საშუალებას იძლევა ცალკეულ ქვეყანაში მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროს მდგრმარეობის ობიექტური შეფასებისა. უფრო მეტიც, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც ამჟამად არ არიან EU და OECD წევრები, მაგრამ პრეტენზია აქვთ მაღალტექნოლოგიური და ეფექტური ეკონომიკის განვითარებისა, ცდილობების თავიანთ პრაქტიკაში დანერგონ EUROSTAT-ისა და OECD-ის მეთოდოლოგიური მიდგომები, რათა უზრუნველყონ მეცნიერებისა და ინოვაციების საკუთარი სტატისტიკური სისტემების ობიექტურობა და, შესაბამისად, მათი ეფექტური გამოყენება სათანადო სფეროებში პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის. ამ პარაგრაფში ჩვენ მოკლედ მიმოვისილავთ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება EUROSTAT-ის და OECD-ის მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემა.

ადნიშნული სტატისტიკური სისტემა მოიცავს ექვს ძირითად ბლოკს, რომლებიც შემდეგნაირად არიან სტრუქტურირებული:

1. კვლევები და განვითარება;
2. ინოვაციების გამოკვლევა საწარმოებში;
3. მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნის ინტენსიური მომსახურების სექტორები;
4. საპატენტო სტატისტიკა;
5. ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში;
6. საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკის ინდიკატორები.

თითოეული ეს ბლოკი მოიცავს ქვებლოკებად გაერთიანებულ მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომლებსაც, უფრო დეტალურად, ქვემოთ განვიხილავთ.

**კვლევები და განვითარება.** ეს ბლოკი მოიცავს მონაცემებს სამეცნიერო კვლევების წარმოებაზე გაწეული დანა-

ხარჯების და პერსონალის შესახებ შემდეგ სექტორებში: წარმოების სექტორი, სამთავრობო დაწესებულებები, უმაღლესი განათლების სექტორი, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები. მეთოდოლოგია ეფუძნება Frascati Manual-ის სახელით ცნობილ დოკუმენტს (OECD, 2002). სამეცნიერო კვლევების დანახარჯები იყოფა დაფინანსების წყაროების, მეცნიერების დარგების, ხარჯების ტიპების, საქმიანობის ტიპების, მოცულობების, სამეცნიერო კვლევების ტიპების და სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიხედვით. სამეცნიერო კვლევების პერსონალის მონაცემები მოტანილია მთლიანი განაკვეთის ექვივალენტით. მონაცემები შემდგომ დაყოფილია საქმიანობის, კვალიფიკაციის, სქესის, ასაკის და მეცნიერების დარგების მიხედვით. ამავე ბლოკშია თავმოყრილი მონაცემები სამეცნიერო კვლევებზე გაწეული საზოგადოებრივი დაბანდებების შესახებ, ანუ მთავრობის მიერ სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის მოცულობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაბამის სტატისტიკურ მაჩვენებლებში ასახვას პოვებს ინფორმაცია, თუ რა პრიორიტეტებით გაიცემა საბიუჯეტო სახსრები სამეცნიერო კვლევებზე. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მონაცემები დაყოფილია NABS-ის (სამეცნიერო პროგრამებისა და ბიუჯეტის ნომენკლატურა) პოზიციების შესაბამისად:

- ნიადაგის შესწავლა და ექსპლუატაცია;
- ინფრასტრუქტურა და მიწათსარგებლობის ზოგადი დაგეგმვა;
- გარემოს კონტროლი;
- ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება;
- ენერგიის მიღება, დისტრიბუცია და რაციონალური გამოყენება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ტექნოლოგია;
- მრეწველობა და ტექნოლოგია;
- სოციალური სტრუქტურები და ურთიერთობები;
- კოსმოსის შესწავლა და ექსპლუატაცია;

- ზოგადი საუნივერსიტეტო ფონდებიდან დაფინანსებული კვლევები;
- არაორიენტირებული კვლევები;
- სხვა სამოქალაქო კვლევები;
- თავდაცვა.

**ინოვაციების გამოკვლევა საწარმოებში.** ინოვაციების გამოკვლევა გულისხმობს საწარმოების შესწავლას მათში განხორციელებული ინოვაციების თვალსაზრისით. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება სრული გამოკვლევა, ხოლო ორ წელიწადში – მცირე აღნიშვნული გამოკვლევა განკუთვნილია ინფორმაციის მოსაპოვებლად საწარმოებში განხორციელებულ ინოვაციურ საქმიანობაზე, ასევე ინოვაციური პროცესის სხვადასხვა ასპექტებზე, როგორიცაა ინოვაციის შედეგები, გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, ხარჯები და ა.შ. სხვადასხვა ქვეყნების მონაცემთა შედარებითობის უზრუნველსაყოფად EUROSTAT-ის მიერ შემუშავებულია სტანდარტული ძირითადი კოთხვარი, რომელსაც ერთვის დეფინიციები და მეთოდოლოგიური რეკომენდაციები. EC-ის წევრ ან კანდიდატ ქვეყნებში საწარმოთა ინოვაციების გამოკვლევას ახორციელებს სტატისტიკური სამსახურები ან მეცნიერებაზე პასუხისმგებელი სამინისტროები. გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს Oslo Manual-ის სახელით ცნობილი დოკუმენტი (OECD, 2005), რომელშიც განსაზღვრულია ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები.

**მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურება.** მაღალტექნოლოგიური და ცოდნის ინტენსიური გამოყენების სექტორების (დარგების) სტატისტიკა მოიცავს ეკონომიკურ, დასაქმების და სამეცნიერო კვლევების მონაცემებს, რომლებიც აღწერენ წარმოებას და მომსახურებას ტექნოლოგიური ინტენსივობის მიხედვით. მონაცემები ეყრდნობა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიზ-

ნეს-სტატისტიკა, ინოვაციების სტატისტიკა, დასაქმების სტატისტიკა და ა.შ. გამოყენებულია სამეწარმეო საქმიანობის კატეგორიები ტექნოლოგიის ინტენსივობის მიხედვით NACE-ს (ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური კლასიფიკაცირი) 3-ციფრულ დონეზე (ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემთა წყაროების შეზღუდულობის გამო, აგრეგირება კეთდება მხოლოდ NACE-ს 2-ციფრულ დონეზე): მაღალი ტექნოლოგია, საშუალო-მაღალი ტექნოლოგია, საშუალოდ-დაბალი ტექნოლოგია, დაბალი ტექნოლოგია. მომსახურების სფეროს დარგები დაჯგუფებულია ცოდნის გამოყენების სხვადასხვა კატეგორიებად – ცოდნის ინტენსიური გამოყენების, მაღალტექნოლოგიური ცოდნის ინტენსიური გამოყენების, საბაზო ცოდნის ინტენსიური გამოყენების, საბაზო ცოდნის ინტენსიური გამოყენების და ა.შ.

**საპატენტო სტატისტიკა.** პატენტები ასახავენ გამოგონებების სფეროში საქმიანობას ამა თუ იმ ქვეყანაში. პატენტები ასევე აჩვენებენ ქვეყნის შესაძლებლობას გამოიყენოს ცოდნა და გადაიყვანოს ის პოტენციურ ეკონომიკურ შემოსავლებში. ამ კონტექსტში პატენტების სტატისტიკის მონაცემები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში გამოგონებებთან დაკავშირებული საქმიანობის შესაფასებლად. საპატენტო სტატისტიკის მონაცემები წარმოდგენილია როგორც აბსოლუტურ გამოხატულებაში, ასევე მილიონ მცხოვრებზე ან მილიონ მუშახელზე გადაანგარიშებით. ამ ბლოკში თავმოყრილია მონაცემები საპატენტო განაცხადების შესახებ ევროპის საპატენტო ოფისში, აშშ პატენტების და სავაჭრო ნიშნების ოფისში და იაპონიის პატენტების ოფისში.

**ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში.** მონაცემთა ეს ბლოკი მოიცავს სამ ქვებლოკს. მონაცემთა პირველი ქვებლოკი მოიცავს მონაცემებს მეც-

ნიერებასა და ტექნოლოგიებში ადამიანური რესურსების ცალკეული ჯგუფების მიხედვით გარკვეული მომენტისათვის. კლასიფიკაცია ხდება სქესის, ასაკის, საქმიანობის სფეროს, პროფესიის, საგანმანათლებლო კვალიფიკაციის და განათლების სფეროების მიხედვით. პირველი ქვებლოკის მონაცემები შეეხება დასაქმების სტატუსს, ასევე ინდიკირების პროფესიულ და საგანმანათლებლო დონეს. ადამიანური რესურსების ჯგუფები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განმარტებულია როგორც ადამიანების როდენობა გარკვეულ მომენტში, რომლებიც აკმაყოფილებენ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში ადამიანური რესურსების დაფინიციას. პირველი ქვებლოკის მონაცემები მიიღება სამუშაო ძალის გამოკვლევიდან. მონაცემთა მეორე ქვებლოკი მოიცავს მონაცემებს კადრების რეალური და პოტენციური შემთხვევის შესახებ განათლების სისტემიდან მეცნიერებასა და ტექნოლოგიების სფეროში. კლასიფიკაცია ხორციელდება სქესის და განათლების მიხედვით. მონაცემები მოიპოვება განათლების სფეროს გამოკვლევიდან UNESCO /OECD/EUROSTAT-ის კითხვარით. კვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი არიან ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტები. ამავე ქვებლოკშია თავმოყრილი წლიური მონაცემები მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ერთი სამსახურიდან სხვა სამსახურში გადასვლის შესახებ. მონაცემთა ეს ჯგუფი ასახავს მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების მობილურობას. კლასიფიკაცია გაკეთებულია სქესის მიხედვით. ამ კონტექსტში მობილურობა განსაზღვრულია, როგორც ინდიკირების მოძრაობა ერთი სამსახურიდან მეორეში წლიდან წლამდე. ის არ მოიცავს შრომის ბაზარზე უმუშევართაგან და უმოქმედო პირებისაგან შემომავალ ნაკადებს. მონაცემები ეყრდნობა ინფორმაციას ორი მომენტისათვის – როცა პირმა დაიწყო მიმდინარე სამუშაო და პირის სამუშაო სტატუსი კვლევადე ერთი წლით ადრე. გამოკითხულები უნდა აკმაყოფილებდნენ მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში ადა-

მიანური რესურსებისადმი კუთვნილების პირობას თრივე მომენტისათვის. მონაცემთა ეს ჯგუფი მიიღება მუშახელის პერიოდული გამოკვლევიდან, რომელზეც პასუხისმგებელი არიან ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტები. მონაცემთა მესამე ქვებლოკს წარმოადგენს მონაცემები მობილურობაზე, მიღებული მოსახლეობის აღწერიდან. ამ მონაცემების შეგროვება ხდება მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემების დასაზუსტებლად. შედეგები წარმოდგენილია ხუთ ჯგუფად, რომელთაგან თითოეული შეეხება ადამიანური რესურსების, განათლების და მობილურობის სხვადასხვა ასპექტებს:

- ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში სქესის და ასაკის მიხედვით;
- ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში განათლების მიხედვით;
- მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში დასაქმებული ადამიანური რესურსები საქმიანობის სფეროს მიხედვით;
- მესამე დონის განათლების მქონე ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში განათლების სფეროს მიხედვით;
- საერთაშორისო მობილურობა.

მონაცემების მოგროვების დროს მხედველობაში მიიღება რეზიდენტი პირები 15 წლის ასაკიდან და ზემოთ. ამ ბლოკში გამოიყენება კლასიფიკაციის შემდეგი სისტემები: ISCO (საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია), NACE და ISCED (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია).

**საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკის ინდიკატორები.** ამ ბლოკში შემავალი მონაცემების მოპოვება ხდება ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტების მიერ და ეფუძნება ინფორმაციის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

სფეროში ყოველწლიურ გამოკვლევას. ამ გამოკვლევის მიზანია ჰარმონიზებული და შედარებადი ინფორმაციის შექრება და გავრცელება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ოჯახებში და საწარმოებში. მონაცემებში კერძოდ ასახულია:

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- ინტერნეტის და სხვა ელექტრონული ქსელების გამოყენება;
- ელ-კომერციის და ელ-ბიზნესის გამოყენება;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხარჯები და ინვესტიციები;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოება;
- საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგები.

### 2.3. სტატისტიკურ მონაცემთა მართვა

ისევე როგორც ეკონომიკური სტატისტიკის სხვა სფეროებში, მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროშიც პირველადი მონაცემების მოპოვება, რასაკვირველია, თვითმიზანი არაა. თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ სწრაფად ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში უაღრესად დიდ როლს თამაშობს დროული და მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის (კერძოდ, მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში) ხელმისაწვდომობა რეალობის ადეკვატური პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადების მიზნებისთვის. დროული და ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება გულისხმობს

პირველადი მონაცემების შემოწმების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანია მონაცემებში შეუსაბამობებისა და/ან წინააღმდეგობრიობის აღმოფხვრა, მონაცემთა პირველადი დამუშავება, სტატისტიკური პუბლიკაციების პერიოდულობის დაცვა და საგამომცემლო პერიოდის შემცირება. საუკეთესო თანამედროვე პრაქტიკა, რომელიც მნიშვნელოვანწილად წამყვანი გვროპული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მრავალწლიან გამოცდილებაზეა დაფუძნებული, გულისხმობს მონაცემთა მენეჯმენტის სფეროში მაღალტექნოლოგიური სტატისტიკური საინფორმაციო სისტემების გამოყენებას.

სტატისტიკური საინფორმაციო სისტემები საზოგადოდ სამი ბლოკისგან შედგება. პირველი ბლოკია – სტატისტიკური ინფორმაციის „წარმოების ბლოკი“, რომლის ფუნქციაა სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების მოგროვება, მათი ვალიდურობის შემოწმება და პირველადი დამუშავება. მეორე ბლოკი – სტატისტიკური ინფორმაციის „დასაწყობების ბლოკი“, უზრუნველყოფს გადამოწმებული მონაცემებისა და მეტამონაცემების შენახვასა და დაცვას. მესამე ბლოკია – სტატისტიკური ინფორმაციის „გავრცელების ბლოკი“, რომლის ფუნქციაა სტატისტიკური პუბლიკაციების მომზადება და მიწოდება (მათ შორის ინტერაქტიულ რეჟიმში) მომხმარებელთა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

ქვემოთ ჩვენ რამდენადმე უფრო დეტალურად განვიხილავთ თითოეული ამ ბლოკის ფუნქციონირების თავისებურებებს, აქ კი შევნიშნავთ, რომ ნებისმიერი თანამედროვე სტატისტიკური საინფორმაციო სისტემა ორიენტირებული უნდა იქნეს სტატისტიკის სფეროში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების (UN, IMF, World Bank, OECD) მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებთან ჰარმონიზებაზე. კერძოდ კი, უნდა უზრუნველყოფდეს სტატისტიკური მონაცემებისა

და მეტამონაცემების გაცვლის ინიციატივის (SDMX<sup>7</sup>) პრინ-ციპების დაცვას. ეფექტურ მაგალითს სტატისტიკური საინ-ფორმაციო სისტემების ფუნქციონირებისა იძლევა OECD-ის, EUROSTAT-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედი სტატისტიკური საინფორმაციო სისტემები (იხ. შესაბამისი ორგანიზაციების ინტერნეტ-საიტები).

სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ბლოკი ორიენტირებულია პირველადი მონაცემებისა და მეტამონაცემების წარმოდგენის სტანდარტიზაციაზე. სტანდარტიზაციის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პირველადი მონაცემები, მათი მოპოვების ხერხებისა და/ან მეთოდოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც წესი, წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმატში (კერძოდ სხვადასხვა პროგრამულ გარემოში). ამდენად, სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ბლოკი უზრუნველყოფს პირველადი მონაცემებისა და მეტამონაცემების წარმოდგენის გარკვეულ უნიფიცირებას, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების შემდგომ ეტაპებს. ამ ბლოკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის გამოიყენება თანამედროვე პროგრამული საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ: საწყისი მონაცემების დამუშავებასა და ვალიდაციას, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებას და დაცვას, დინამიურ კავშირებს მეტამონაცემებისა და სხვადასხვა კლასიფიკატორების ბაზებთან.

სტატისტიკური ინფორმაციის დასაწყობების ბლოკი წარმოადგენს საცავს, რომელშიც შემდგომი პუბლიკაციების მომზადებისა და მათი გავრცელების მიზნებისთვის ინახება უნიფიცირებულ ფორმატში წარმოდგენილი სრულად ვალიდირებული პირველადი მონაცემები და მეტამონაცემები. ამ ბლოკში თავმოყრილი მონაცემები მაქსიმალურად დაცულნი არიან გარეშე ჩარევისგან.

---

<sup>7</sup> [www.sdmx.org](http://www.sdmx.org).

სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების ბლოკის ფუნქციაა სტატისტიკური პუბლიკაციების მომზადებისა და გავრცელების პროცესების გამარტივება და დაჩქარება. პროგრამული საშუალებები, რომლებიც გამოყენებულია ამ ბლოკში უზრუნველყოფები: პუბლიკაციების დიზაინის მენეჯმენტის, პუბლიკაციების მაკეტების შენახვასა და მოდიფიცირებას, დინამიურ კავშირს დასაწყობების ბლოკში დაცულ მონაცემებთან, ინტერაქტიულ კავშირს სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან.

სტატისტიკური საინფორმაციო სისტემების არქიტექტურის ზემოთ აღწერილი კონცეფცია, რასაკვირველია, ზოგადია და ორიენტირებულია ნებისმიერი სფეროს სტატისტიკურ მონაცემთა ორგანიზებასა და მართვაზე, მათ შორის მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროშიც. ეფექტურიად ორგანიზებული სტატისტიკური საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების შედეგია საშუალების და ოპერატიულობის სტატისტიკური პუბლიკაციები (და მონაცემთა ბაზებთან ინტერაქტიული ურთიერთობის საშუალებანი), რომლებსაც მაგალითად OECD-ი და EUROSTAT-ი გვაწვდიან.

## 2.4. 06ოვაციური პროცესების მონიტორინგის ინდიკატორები

### 2.4.1. ევროპის ინოვაციური ტაბლო

ტაბლოები (Scoreboard) სტატისტიკური ინფორმაციის საზოგადოებისათვის წარმოდგენის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია, რომელმაც ამ საუკუნის დასაწყისიდან ფართო გავრცელება პპოვა ევროპავშირის ქვეყნების პრაქტიკაში. ტაბლოების ამგვარი პოპულარობა განპირობებულია მათი კონცეპტუალური გამჭვირვალობით

და საზოგადოებისთვის (კერძოდ პოლიტიკოსებისთვის, სახელმწიფო მოხელეებისთვის და ქურნალისტებისთვის) შედარებით ადგილი აღქმადობით.

თავისი შინაარსით ევროპის ინოვაციური ტაბლოები წარმოადგენენ მეცნიერებისა და ინოვაციების საბაზო სტატისტიკური მონაცემებისა და სპეციალური კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ პირველად ინდიკატორთა ერთობლიობას, რომელიც შემდგომში აგრეგირდება გარკვეულ სუბინდიკატორებსა და კრებსით ინდიკატორში. გარკვეული კონცეპტუალური სქემის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორების, სუბინდიკატორებისა და კრებსითი ინდიკატორის მიმართ არის მოლოდინი, რომ მათი მეშვეობით ადგავინარად აისახება მეცნიერებისა და ინოვაციური პროცესების რთული ბუნება. შევნიშნავთ აგრეთვე, რომ კრებსითი ინდიკატორი წარმოადგენს კომპოზიტურ ინდიკატორს, აგებულს საწყისი ინდიკატორებისგან (კომპოზიტური სტატისტიკური ინდიკატორების კონსტრუქტების მეთოდოლოგიური ასკექტების გასაცნობად (იხ. მაგ. (Nardo M. at al., 2005)). კრებსითი ინდიკატორი იძლევა ერთ რიცხვში გამოხატულ აგრეგირებულ მაჩვენებელს ინოვაციური პროცესების დასახასიათებლად ამა თუ იმ კონტექსტში, რომელიც ინდიკატორთა საწყისი ერთობლიობით განისაზღვრება. ჩაღრმავებული ანალიზის მიზნებისთვის გამოიყენება აგრეთვე შესაბამისი სუბინდიკატორები და თვით პირველადი ინდიკატორებიც.

შევნიშნავთ აგრეთვე, რომ ინოვაციების სფეროში მიმდინარე პროცესების ამა თუ იმ ასპექტის ინოვაციური ტაბლოების სახით წარმოდგენის მეთოდიკები მოკლებულნი არ არიან მუდმივ კონსტრუქციულ კრიტიკას, რაც განაპირობებს გამოყენებულ საწყის ინდიკატორთა შემადგენლობის მოდიფიცირებისა და დახვეწის აუცილებლობას ახალი რეალიების პირობებში მიმდინარე პრო-

ცესების უკეთ ასახვის მიზნით (Hollanders H., van Cruyse A., 2008). რასაკვირველია, ყოველი ამგვარი მოდიფიკაციისას ძირითადი მოთხოვნაა შედარებითობისა და დროითი მწკრივების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ევროპის ინოვაციური ტაბლო (European Innovation Scoreboard-EIS) წარმოადგენს European Trend Chart on Innovation ინიციატივის ერთ-ერთ პროდუქტს და მიზნად ისახავს უზრუნველყოს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის და ინოვაციების სფეროში წამყვანი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის ინოვაციურობის შედარებადი მახასიათებლების წარმოება და მათი მონიტორინგი.

### ცხრილი 3. ევროპული ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორები (EIS-2008)

№	ინდიკატორის დასახელება	წყარო
1	2	3
1	საშუალებანი	
1.1.	ადამიანური რესურსები	
1.1.1.	განათლების მესამე დონის პირველი საფეხურის კურსდამთავრებულები 20-29 წლის 1000 მოსახლეზე	ევროსტატი
1.1.2.	დოქტორის ხარისხის მქონენი 25-34 წლის 1000 მოსახლეზე	ევროსტატი
1.1.3.	განათლების მესამე დონის პირველი საფეხურის მქონენი 25-64 წლის 100 მოსახლეზე	ევროსტატი
1.1.4.	უწყვეტ განათლებაში მონაწილენი 25-64 წლის 100 მოსახლეზე	ევროსტატი
1.1.5.	განათლების მიღწეული დონე	ევროსტატი

1	2	3
<b>1.2.</b>	<b>ფინანსირება და მსარდაჭერა</b>	
1.2.1.	საზოგადოებრივი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაში (მშპ %)	ევროსტატი
1.2.2.	სარისკო კაპიტალი (მშპ %)	ევროსტატი
1.2.3.	კერძო კრედიტები (მშპ %)	სავალუტო ფონდი
1.2.4.	მაღალსიხშირული გავშირის მისაწვდომობა (ფირმების %)	ევროსტატი
<b>2</b>	<b>უზრუნველყოფა</b>	
<b>2.1.</b>	<b>საწარმოთა ინვესტიციები</b>	
2.1.1.	საწარმოთა ხარჯები კვლევებსა და განვითარებაში (მშპ %)	ევროსტატი
2.1.2.	საწარმოთა ხარჯები სიანფორმაციო ტექნოლოგიებში (მშპ %)	ევროსტატი
2.1.3.	საწარმოთა სხვა ინვესტიციები (% ბრუნვიდან)	ევროსტატი
<b>2.2.</b>	<b>ურთიერთგავშირები და მეწარმეობა</b>	
2.2.1.	თვითინვაციური მც. და საშ. საწარმოები (% მც. და საშ. საწარმოებში)	ევროსტატი
2.2.2.	სხვებთან მოთანამშორმლე მც. და საშ. საწარმოები (% მც. და საშ. საწარმოებში)	ევროსტატი
2.2.3.	თანაავტორობით განხორციელებული პუბლიკაციები 1000000 მცხოვრებზე	Thomson/ ISI
<b>3</b>	<b>შედეგები</b>	
<b>3.1.</b>	<b>ინკუსტაციები</b>	
3.1.1.	ტექნოლოგიური ინკუსტაციები საწარმოები (% მც. და საშ. საწარმოებში)	ევროსტატი

1	2	3
3.1.2.	არატექნოლოგიური ინოვატორი საწარმოები (% მც. და საშ. საწარმოებში)	ევროსტატი
3.1.3.	რესურსების ეფექტური ინოვატორი საწარმოები (% მც. და საშ. საწარმოებში)	ევროსტატი
<b>3.2.</b>	<b>ეკონომიკური ეფექტები</b>	
3.2.1.	დასაქმებულები საშუალო და მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში (სამუშაო ძალის %)	ევროსტატი
3.2.2.	დასაქმებულები ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურებაში (სამუშაო ძალის %)	ევროსტატი
3.2.3.	საშუალო და მაღალტექნოლოგიური ექსპორტი (ექსპორტის %)	ევროსტატი
3.2.4.	ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების ექსპორტი (მომსახ. ექსპორტის %)	ევროსტატი
3.2.5.	ბაზრისთვის-ახალი გაყიდვები (% ბრუნვიდან)	ევროსტატი
3.2.6.	საწარმოსთვის – ახალი გაყიდვები (% ბრუნვიდან)	ევროსტატი

ევროპის ინოვაციური ტაბლოს ფარგლებში ინოვაციურობის მახასიათებლების შეფასება ხორციელდება ინდიკატორთა გარკვეული ერთობლიობით, რომლებიც ცალკეული წევრი ქვეყნების დონეზე ასახავენ, ერთი მხრივ, საინოვაციო რესურსებს – ეკონომიკურ გარემოს, ცოდნის წარმოებასა და საწარმოთა ინოვაციურობის დონეს, მეორე მხრივ კი ინოვაციური პროცესების შედეგებს – ახალი პროდუქციის/მომსახურებისა და ინტელექტუა-

ლური საკუთრების წარმოქმნას, აგრეთვე ინოვაციური პროცესის ცალკეულ კომპონენტებს შორის არსებულ კავშირებს. ევროპული ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორთა სტრუქტურა და შემადგენლობა (2008 წლის რედაქციის მიხედვით) წარმოდგენილია ცხრილში 3. აღვნიშნავთ მაგალითისთვის, რომ 2008 წლის ევროპის საინოვაციო ტაბლოს მიხედვით ქვეყნების დაჯგუფება მათი ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყერება:

*ინოვაციური ლიდერები:* დანია, ფინეთი, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო;

*ინოვაციური მიმდევრები:* ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები;

*ზომიერი ინოვატორები:* კვიპროსი, ესტონეთი, სლოვანია, ჩეხეთი, საბერძნეთი, იტალია, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი;

*ინოვაციების გადმომტანები:* ბულგარეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკია.

## 2.4.2. ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლო

2002 წლიდან დაიწყო ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს (Regional Innovation Scoreboard-RIS) პროექტის განხორციელება. რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს მიზანია, წარმოაჩინოს ევროპის რეგიონების ინოვაციური პოტენციალი და განახორციელოს მისი მონიტორინგი. 2006 წლის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორთა შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადახალისდა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების რეგიონების განხილვაც. შევნიშნავთ, რომ 2003 წლის ევროპის ინოვაციური ტაბლო იყენებდა 13

ინდიკატორს და წარმოაჩენდა 173 რეგიონის ინოვაციურ შესაძლებლობებს, მაშინ როცა 2006 წლის რეგიონალური ინოვაციური ტაბლო იყენებდა 7 ინდიკატორს და მოიცავდა 208 რეგიონს. ცხრილში 4 წარმოდგენილია 2006 წლის ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორთა შემადგენლობა (დეტალური განმარტებებისთვის იხ. (Hollander H., 2007)).

ცხრილი 4. ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს ინდიკატორები (RIS-2006)

№	ინდიკატორის დასახელება	მოძლე განმარტება	წყარო
1	2	3	4
1.	ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში	იმ პირთა წილი მთლიან მოსახლეობაში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მესამე საფეხურის განათლება და დასაქმებულნი არიან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში	ევროსტატი
2.	მონაწილეობა უწყვეტ განათლებაში	იმ პირთა წილი 25-64 წლის მოსახლეობაში, რომლებიც ჩართულნი არიან უწყვეტ განათლებაში	ევროსტატი
3.	საზოგადოებრივი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე	კვლევებსა და განვითარებაზე საზოგადოებრივი ხარჯების წილი მშპ-ში	ევროსტატი

1	2	3	4
4.	საწარმო- თა ხარჯები კვლევებსა და განვითარება- ზე (%)	კვლევებსა და განვითარე- ბაზე საწარმოთა ხარჯე- ბის წილი მშპ-ში	ევროსტატი
5.	დასაქმებულებ- ბი საშუალო და მაღალტე- ქნოლოგიურ მრეწველო- ბაში	საშუალო და მაღალ- ტექნოლოგიურ მრეწვე- ლობაში დასაქმებულთა წილი მრეწველობასა და მომსახურებაში დასაქმე- ბულებაში	ევროსტატი
6.	დასაქმებულებ- ბი მაღალტე- ქნოლოგიურ მომსახურე- ბაში	მაღალტექნოლოგიურ მომსახურებაში და- საქმებულთა წილი მრეწველობასა და მომ- სახურებაში დასაქმებუ- ლებაში	ევროსტატი
7.	პატენტები	EPO-ში წარდგენილი საპატენტო განაცხადები 1 მლნ მცხოვრებზე	ევროსტატი

#### 2.4.3. ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლო

ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლო (Sectoral Innovation Scoreboard-SIS) განეკუთვნება ინოვაციური ტაბ-  
ლოების თემატიკურ სერიას და მისი მიზანია წარმოაჩინოს  
ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ინოვაციური პოტენ-  
ციალი.

ცხრილი 5. ეფროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლოს  
ინდიკატორები (SIS-2006)

№	ინდიკატორის დასახელება	წყარო
1	უმაღლესი განათლების მქონეთა წილი დასაქმებულებში	ევროსტატი
2	ფირმების წილი, რომლებიც იყენებენ მა- დალისის მიზულ კავშირს	ევროსტატი
3	სარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (% დამატებულ ღირებულებაში)	OECD
4	ფირმების წილი, რომლებიც იღებენ საინო- ვაციო სუბსიდიებს	ევროსტატი
5	თვითინოვაციური ფირმების წილი	ევროსტატი
6	სხვებთან მოთანანაშორომლე მც. და საშ. საწარმოების წილი	ევროსტატი
7	საინოვაციო ხარჯები (% ბრუნვიდან)	ევროსტატი
8	ბაზრისთვის ახალი გაყიდვები (% ბრუნვიდან)	ევროსტატი
9	ფირმისთვის ახალი, მაგრამ არა ბაზრისთ- ვის ახალი გაყიდვები (% ბრუნვიდან)	ევროსტატი
10	ფირმების წილი, რომლებიც პატენტდებიან	ევროსტატი
11	ფირმების წილი, რომლებიც იყენებენ სა- ვაჭრო ნიშნებს	ევროსტატი
12	ფირმების წილი, რომლებიც იყენებენ დი- ზაინის რეგისტრაციას	ევროსტატი

დარგობრივი ინოვაციური ტაბლო იყენებს დარგების NACE 2-ნიშნა კლასიფიკაციას. მონაცემთა ხელმისაწვდო-მობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ეფროპის დარგობრი-

ვი ინოვაციური ტაბლო შემოიფარგლა შემდეგი ქვეყნების განხილვით: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესკანდინავია, საბერძენი, საფრანგეთი, ფინეთი, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია და შვედეთი. ცალკეული დარგების დასახასიათებლად იყენებს 12 საწყისი ინდიკატორისგან შემდგარ ერთობლიობას, ცხრილი 5 (დეტალური განმარტებებისთვის იხ. (Hollanders H., Arundel A., 2007)).

#### **2.4.4. ევროპული კლასტერების ობსერვატორიის ინდიკატორები**

უკანასკნელ წლებში დიდი უერადღება ეთმობა საწარმოო კლასტერებს, როგორც რეგიონებისა თუ დარგების ინოვაციური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ფაქტორს. ევროპული კლასტერების ობსერვატორია შეიქმნა ევროკომისიის ფინანსირებით Europe INNOVA პროგრამის ფარგლებში და მისი მიზანია ევროპულ საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოწოდება.

ევროპული კლასტერების ობსერვატორიის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი მისი მონაცემთა ბაზაა, რომელიც აგებულია ევროკავშირის ქვეყნებისა და 5 ასოცირებული ქვეყნის (ისრაელი, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, თურქეთი) ეკონომიკური აქტივობის რეგიონალური და დარგობრივი ჭრილების კომბინირების საფუძველზე. მონაცემთა ბაზის გეოგრაფიული განზომილება წარმოდგენილი 259 რეგიონით, ხოლო დარგობრივი განზომილება – 38 დარგით. ამგვარად განსაზღვრული 9842 დარგობრივ-რეგიონალური ერთეული განიხილება როგორც (სტატისტიკური) კლასტერი. თითოეული კლასტერისთვის მონაცემთა ბაზა მოიცავს შემდეგ სამ მახასიათებელს:

– დასაქმებულთა რაოდენობა:

პირველადი მონაცემები აიღება სამუშაო ძალის გამოკვლევებიდან (ევროსტატი და ნაციონალური სტატისტიკური სამსახურები);

– ინოვაციურობის დონე:

კლასტერს ენიჭება მისი განმსაზღვრელი რეგიონის კრებსითი ინოვაციური ინდექსი.

– ექსპორტუნარიანობის დონე:

სტატისტიკურ კლასტერს ენიჭება მისი განმსაზღვრელი დარგის მსოფლიო ექსპორტში იმ ქვეყნის წილი, რომელსაც ეკუთვნის ამ კლასტერის განმსაზღვრელი რეგიონი.

გარდა ამისა, თითოეული კლასტერისთვის, გამომდინარე დასაქმებულთა რაოდენობიდან, დამატებით გაიანგარიშება სამი მაჩვენებელი (იხ. დანართი B): ზომა, სპეციალიზაცია და ფოკუსირებულობა (კლასტერში დასაქმებულთა წილი მის განმსაზღვრელ რეგიონში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში). მონაცემთა მოხერხებული წარმოდგენისათვის გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემებში დამატებით ხორციელდება კლასტერის ზემოთ აღწერილ მახასიათებელთა გადაყვანა შესაბამის ნომინალურ შკალებში. 1000 დასაქმებულზე ნაკლების მომცველი კლასტერი განიხილება როგორც არაარსებითი.

#### 2.4.5. ინფორმაციული სისტემა ERAWATCH

ERAWATCH ევროკომისიის გენერალური დირექტორატის მიერ დისაბონის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული გრძელვადიანი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს კვლევების სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელთა მხარდაჭერას ევროპაში. ERAWATCH მოწოდებულია უზრუნველყოს ცოდნის გავრცელება ევროპული, ნაციონალური და რეგიონალური კვლევითი

სისტემების შესახებ და მათი უკეთესი გაგება. ამ ფუნქციის შესასრულებლად ERAWATCH აგროვებს ინფორმაციას კვლევების პოლიტიკის, აქტორების და პროგრამების შესახებ კვლევების სფეროში ევროპავშირის, ევროკავშირის წევრი და წევრობის კანდიდატი ქვეყნებისა და ევროკავშირის ძირითადი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით (სულ 49 ქვეყანა).

ERAWATCH-ში მოგროვებული ინფორმაცია სტრუქტურირებულია სამ ბლოკად (სერვისად, რომელსაც ERAWATCH უზრუნველყოფს): ნაციონალური პროფილები, ევროპული პერსპექტივა, ანგარიშები. ინფორმაციული ბლოკი „ნაციონალური პროფილები“, თავის მხრივ, სტრუქტურირებულია შემდეგ ქვებლოკებად:

- კვლევების პოლიტიკა;
- ევროკავშირის განვითარების ზემოქმედება;
- რეგიონალური კვლევითი პოლიტიკა;
- კვლევითი სისტემის სტრუქტურა;
- კვლევების პოლიტიკის შემსუშავებელი მექანიზმები;
- კვლევების ფონდირების სისტემა;
- კვლევების შემსრულებლები;
- ძირითადი ინდიკატორები.

ინფორმაციული ბლოკი „ევროპული პერსპექტივა“ ორგანიზებულია შემდეგ ქვებლოკებად:

- კვლევების პოლიტიკა;
- ევროპული კვლევითი პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები;
- კვლევების პოლიტიკის პორიზონტალური კოორდინაცია;
- კვლევების პოლიტიკა თემატურ არეებში;
- პოლიტიკის მნიშვნელოვანი დოკუმენტები;
- კვლევითი სისტემის სტრუქტურა;

- კვლევითი პოლიტიკის შემმუშავებელი ძირითადი პირები და მექანიზმები;
- კვლევების ფონდირების სტრუქტურა;
- მთავრობათაშორისი კოოპერაცია კვლევებისა და განვითარების სფეროში;
- ძირითადი ინდიკატორები.

ინფორმაციული ბლოკი „ანგარიშები“ სტრუქტურირებული არაა – იგი წარმოადგენს კვლევებისა და განვითარების სფეროსთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ ანგარიშთა ნაკრებს.

ERAWATC-ში მოგროვებული ინფორმაცია ძირითადში წარმოადგენს სხვადასხვა დოკუმენტების ერთობლიობას, რომლებიც კვლევებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს ეხება – როგორც ევროკავშირის, ასევე ცალკეული ქვეყნების დონეზე. გამონაკლისს წარმოადგენს ქვებლოკი „ძირითადი ინდიკატორები“, რომელსაც უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

ERAWATCH-ის ქვებლოკი „ძირითადი ინდიკატორები“ მთლიანად ევროკავშირისა და ცალკეული ქვეყნების დონეზე წარმოაჩენს ძირითად სტატისტიკურ ინდიკატორებს, რომლებიც კვლევებისა და განვითარების სფეროში არსებული ვითარების დასახასიათებლად გამოიყენება. ეს ქვებლოკი სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

- a) **სარჯები კვლევებსა და განვითარებაზე**  
(წყარო: ევროსტატი)
  - მთლიანი შიდა სარჯები კვლევებსა და განვითარებაზე ფონდებისა და გამოყენების მიხედვით;
  - საწარმოთა, სახელმწიფოს და უმაღლესი განათლების სექტორების სარჯები კვლევებსა და განვითარებაზე;

- სახელმწიფო ბიუჯეტის სპეციალური მიზნობრივი ან ორგენტირებული სპეციალური ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე.
  - ბ) აღამიანური რესურსები კვლევებსა და განვითარებაში (წყარო: ეკონომიკური)
  - მკვლევარები მთლიანი სამუშაო დროის ექვივალენტში;
  - დოქტორები (ISCED-1997 კლასიფიკაციის მე-6 დონე) სქესისა და განათლების სფეროს მიხედვით;
  - დოქტორობის კანდიდატები (ISCED-1997 კლასიფიკაციის მე-6 დონე);
  - მეცნიერები და ინჟინერები (OECD Canberra Manual-ის განმარტების მიხედვით) ასაკით 15-74 წელი პროცენტულად აქტიურ მოსახლეობასთან.
- გ) პუბლიკაციები  
(წყარო: Thomson Scientific, CWTs, Leiden University)
- პუბლიკაციათა მთლიანი რაოდენობა;
  - ციტირებათა (პუბლიკაციის წელსა და მომდევნო 2 წელს) რაოდენობა.
- დ) პატენტები  
(წყარო: EUROSTAT/ OECD)
- EPO-სა და USPTO-ში წარდგენილ საპატენტო განცხადთა რაოდენობა დარგების მიხედვით.

#### **2.4.6. სპეციალური გამოკვლევები ინფაციების სფეროში**

ინფაციური პროცესების ანალიზის მიზნით ევროკავშირის ფარგლებში სისტემატურად ტარდება, როგორც მთლიანად ევროკავშირის მომცველი, ასევე ცალკეული ქვეყნების დონეზე განხორციელებული, ინფაციური

პროცესების სხვადასხვა ასპექტების შემსწავლელი სპეციალური გამოკვლევები. აქ ჩვენ შემოვიფარგლებით ინოვაციური პროცესების შემსწავლელი, ალბათ ყველაზე უფრო ცნობილი, სპეციალური გამოკვლევის ინობარომეტრის განხილვით. ეს გამოკვლევა ტარდება რეგულარულად, დაწყებული 2001 წლიდან, ევროკომისიის ეგიდით Gallup Organization-ის მიერ.

გამოკვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ევროპელ მენეჯერთა შეხედულებები მათი კომპანიების საინოვაციო საჭიროებების, განხორციელებული ინოვაციური ინვესტიციების და მიღწეული შედეგების შესახებ. ინობარომეტრის თითოეული ტალღა მოიცავს ინოვაციურ პროცესებთან დაკავშირებულ საკითხთა როგორც გარკვეულ ინვარიანტულ ერთობლიობას – შედარებითობის უზრუნველსაყოფად, ასევე ორიენტირებულია ცალკეული სპეციფიური საკითხის შესწავლაზე. ასე მაგალითად: ინობარომეტრი 2001 ფოკუსირებული იყო ევროპელ მენეჯერთა გამოცდილების და მათი პრიორიტეტების გამოვლენაზე ინოვაციების სფეროში, აგრეთვე მათი შეხედულებების გამოვლენაზე ინოვაციურ საქმიანობაში ევროპის ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანობის შესახებ ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების, ცოდნისა და საინოვაციო ფონდების მობილიზებისა და ურთიერთგაზიარების თვალსაზრისით; მეორე მხრივ, ინობარომეტრი 2002 მიზნად ისახავდა ევროპელ მენეჯერთა პრიორიტეტების დადგენას და შეხედულებების შესწავლას მათი კომპანიების საინოვაციო საჭიროებებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე კომპერიორებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარების არსებული გამოცდილების შესახებ. აგრეთვე განიხილებოდა დამოკიდებულება განათლებისადმი ზოგადად და, კერძოდ, ტრეინინგების მიმართ და ა.შ.

ამ გამოკვლევების განხორციელების თავისებურებებზე წარმოდგენის შესაქმნელად, განვიხილოთ 2009 წლის ინობარომეტრის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტები. გამოკვლევა ინობარომეტრი 2009 ჩატარდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (EU27), აგრეთვე შვეიცარიასა და ნორვეგიაში. ქვეყნების მიხედვით დადგენილი კვოტის ფარგლებში გამოიკითხებოდნენ კომპანიები, რომლებსაც 20 და მეტი მუშაკი ჰყავდათ. შერჩევა ხორციელდებოდა რანდომიზებულად ორი სასტრატიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით: დასაქმებულთა რაოდენობა და საქმიანობის სფერო. დასაქმების მიხედვით კომპანიები ჯგუფდებოდნენ შემდეგ კლასებად: 20-49, 50-249, 250-499 და 499-ზე მეტი მუშაკი, ხოლო საქმიანობის მიხედვით OECD-ის კლასიფიკირით განმსაზღვრელ ჯგუფებად: მაღალ- და საშუალო მაღალ-ტექნოლოგიურ წარმოების დარგებად, დაბალ- და საშუალო დაბალ-ტექნოლოგიურ წარმოების დარგებად, ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების დარგებად, ცოდნის ნაკლებად ინტენსიური გამოყენების მომსახურების დარგებად. დამუშავების პროცესში ხორციელდებოდა მონაცემთა შეწონვის პროცედურა, რათა მიღწეულიყო შედეგების რეპრეზენტატულობა როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე EU27-ის დონეზე. მთლიანობაში 2009 წლის ინობარომეტრის გამოკვლევამ მოიცვა 5238 კომპანია. გამოკითხვა ტარდებოდა სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. რესპონდენტები იყვნენ კომპანიების განვითარების სტრატეგიაზე პასუხისმგებელი მაღალი დონის მენეჯერები.

## 2.5. საქართველოში მეცნიერებისა და 06082019 სტატისტიკის მოდერნიზაციის საპირისათვის

გეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში საქართველოში ამჟამად მოქმედი სისტემა სრულყოფილ და ვერ ასახავს თანამედროვების რეალიებს. არსებული ვითარება, პირველ რიგში, აიხსნება იმ გარემოებით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სირთულეებისა და რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებების გამო, საქართველოში სათანადო ყერადღება არ ეთმობოდა მეცნიერებისა და მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარებას. შესაბამისად, არ არსებობდა რამდენადმე გააზრებული პოლიტიკა ამ სფეროში. უფრო მეტიც, არ არსებობდა მოთხოვნა ამგვარი პოლიტიკის შემუშავებისა და, როგორც შედეგი, არ არსებობდა მოთხოვნა სათანადო სტატისტიკაზე. ამდენად, საქართველოსთვის ამჟამად უაღრესად აქტუალური ხდება მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემის სათანადო მოდერნიზაცია, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მის მაქსიმალურ მიახლოებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან. ამ პარაგრაფში ჩვენი მიზანია საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროს არსებული სტატისტიკური სისტემის დასავლეთის წამყვანი ქვეყნების გამოცდილებასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების შესაძლებლობების შეფასება.

საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემის მოდერნიზაციის შესაძლებლობების შეფასების მიზნით განვიხილოთ მისი მიმდინარე მდგომარეობა შესაბამისი საერთაშორისო სისტემების შემად-

გენლობაში შემავალი სტრუქტურული ბლოკების მიხედვით, რომლებიც ზემოთ იყო აღწერილი.

**გამოკვლევები და განვითარება.** როგორც უკვე აღნიშნული იყო, მონაცემთა ეს ბლოკი მოიცავს მონაცემებს სამეცნიერო კვლევების წარმოებაზე დანახარჯებისა და პერსონალის შესახებ ეკონომიკის ძირითადი სექტორების მიხედვით. საქართველოში ამ ბლოკის მონაცემები შესაძლებელია წარმოებულ იქნეს პირველადი სტატისტიკური მონაცემების მოკოვების არსებული სისტემების (დასაქმებისა და საწარმოების/ორგანიზაციების გამოკვლევების) ფარგლებში, მათი სათანადო მოდიფიცირების შედეგად კლასიფიკაციებისა და დამუშავების ნაწილში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მონაცემები საბიუჯეტო ასიგნებათა შესახებ გამოკვლევებსა და განვითარებაზე შესაძლებელია უშუალოდ იქნეს წარმოებული საბიუჯეტო სტატისტიკის არსებული სისტემის ფარგლებში.

**ინოვაციების გამოკვლევა საწარმოებში.** ამ ტიპის გამოკვლევა საქართველოში ამჟამად არ წარმოებს. საქართველოს პირობებში უპრიანი იქნებოდა, რომ ეს გამოკვლევა განხორციელდეს, როგორც დამატებითი კომპონენტი საწარმოთა გამოკვლევის არსებული სისტემის ფარგლებში, რომელსაც საქსტატი აწარმოებს.

**მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურება.** ამ ბლოკის მონაცემები ეყრდნობა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიზნეს-სტატისტიკა და დასაქმების სტატისტიკა. ამდენად, საქართველოს პირობებში ბუნებრივი იქნებოდა ამ მონაცემების წარმოება განესაზღვროს საქსტატის, რაც მისგან მოიხოვს შესაბამისი სტატისტიკური სისტემების შედარებით უმნიშვნელო მოდიფიკაციას.

**საპატიენტო სტატისტიკა.** როგორც უპვე აღნიშნული იყო, საერთაშორისო საპატიენტო ორგანიზაციებიდან ამ ბლოკის მონაცემთა მოპოვება არ ხებული ინფორმაციული ტექნილოგიების ფარგლებში სიძნელეს არ წარმოადგენს. ამასთანავე, სასურველია საქატენტისათვის პერმანენტული მიზნობრივი მხარდაჭერა საპატენტო სტატისტიკის შემდგომი განვითარებისთვის.

**ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში.** ამ ბლოკის მონაცემთა მოპოვება ხორციელდება განათლების სისტემის და სამუშაო ძალის პერიოდული გამოკვლევებით და მოსახლეობის აღწერებიდან. საქართველოში ამჟამად მოქმედი გამოკვლევები აღნიშნულ სფეროებში სრულ შესაბამისობაში არ არის საერთაშორისო მოთხოვნებთან (მაგალითად, განათლების გამოკვლევები არ წარმოებს OECD/EUROSTAT-ის კითხვარებში ასახულ საკითხებთან სრულ შესაბამისობაში, არ ხორციელდება შრომის სტატისტიკის მონაცემების წარმოება სრული დროით დასაქმების ექვივალენტში და ა.შ.). ამასთანავე, როგორც დადგებითი მოვლენა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებში უკვე გვხვდება საკითხები სამეცნიერო კადრების საერთაშორისო მობილურობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პირობებში ამ ბლოკის მონაცემთა წარმოება უნდა განესაზღვროს საქსტატს, რაც მისგან ასევე მოითხოვს შესაბამისი სტატისტიკური სისტემების სათანადო მოდიფიკაციას.

**საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკის ინდიკატორები.** ამ ბლოკში შემავალი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება საქართველოში ამჟამად არ წარმოებს. საქართველოს პირობებში უპრიანი იქნებოდა, რომ ამ ტიპის გამოკვლევების წარმოება განესაზღვროს საქსტატს,

როგორც დამატებითი კომპონენტი საწარმოთა გამოკვლევის და შინამეურნეობათა საერთო გამოკვლევის არსებული სისტემების ფარგლებში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოში ამჟამად მოქმედი სახელმწიფო სტატისტიკური სისტემის პოტენციალი საშუალებას იძლევა, არც თუ დიდი დანახარჯებით და საკმაოდ მოკლე დროში, დანერგიილ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მყოფი მეცნიერებისა და ინოვაციების თანამედროვე სტატისტიკური სისტემა. ანგარიშგასაწევი გარემოებაა აგრეთვე, რომ სახელმწიფო სტატისტიკის საკანონმდებლო ბაზა და საქსტატის მიერ დეკლარირებული აღიარება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მეთოდოლოგიური პრინციპებისა, დადგებითი როლის მატარებელია არსებული სტატისტიკური სისტემების მოდერნიზაციის გეგმების რეალიზაციისათვის.

საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის მოდერნიზაციის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტები, განზოგადოებული სახით, წარმოდგენილია ცხრილში 6, რომელშიც ასახულია ფუნქციათა განაწილება მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის ცალკეული კომპონენტების მწარმოებელ უწყებათა შორის, რაც სრულ შესაბამისობაშია დღევანდელ რეალობასთან და მოდერნიზაციის ღონისძიებათა ეფექტურად განხორციელების საშუალებას იძლევა.

რასაკვირველია, აღნიშნული ღონისძიებები უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის ნორმატიულ ბაზას, რომლის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს კანონი „სტატისტიკის შესახებ“. სსენებული ნორმატიული ბაზა მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში უნდა უზრუნველყოფდეს:

ცხრილი 6. საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების  
სტატისტიკის მოდერნიზაციის ორგანიზაციული  
ასპექტები

№	ინფორმაციული ბლოკი	მეთოდოლოგიური საფუძველი	პასუხისმგებელი უწყება	პერიოდულობა
1	2	3	4	5
1.	კვლევებისა და განვითარების სტატისტიკა	Frascati Manual, OECD, 2002	საქსტატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	კვარტალური, წლიური
2	საბიუჯეტო ასიგნებანი და დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე	Frascati Manual, (OECD, 2002)	ფინანსთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	კვარტალური, წლიური
3	ინვაციების გამოკვლევა საწარმოებში	Oslo Manual (OECD, 2002)	საქსტატი	ოთხ წელიწადში ერთხელ სრული გამოკვლევა, ორ წელიწადში ერთხელ მცირე გამოკვლევა
4	მაღალტექნილოგიური და ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების სექტორების სტატისტიკა	ბიზნეს-სტატისტის არსებული სისტემების ფარგლებში, ჰარმონიზებული კლასიფიკატორების საფუძველზე	საქსტატი	კვარტალური წლიური

1	2	3	4	5
5	საპატენტო სტატისტიკა	WIPO ფორმატის მიხედვით	საქართველო	წლიური
6.	ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლო- გიკები	დასაქმების სტატისტიკის არსებული სისტემების და მოსახ- ლეობის აღწერის ფარგლებში, პარმონიზე- ბული კლასიფი- კატორების საფუძველზე	საქსტატი	კვარტალური, წლიური და მოსახლეობის აღწერების პერიოდუ- ლობით
7.	საინფორმა- ციონ საზო- გადოების პოლიტიკის ინდიკატორები	საწარმოთა გამოკვლევის და შინამეურ- ნებათა საერთო გამოკვლე- ვის არსებუ- ლი სისტემის ფარგლებში	საქსტატი	კვარტალური, წლიური

- ფუნქციათა და უფლება-მოვალეობათა გამიჯვნას უწევებათა შორის მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში, აგრეთვე მათი საქმიანობის კოორდინაციისა და რესურსული უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებას;

- სათანადო მეთოდოლოგიების, ინსტრუმენტისა და ინსტრუქციების სავალდებულო შემოღებას;
- მონაცემთა გავრცელების ფორმატისა და პერიოდულობის დადგენას და მონაცემთა გავრცელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის განსაზღვრას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამჟამად მოქმედ დადგებით ფაქტორად გვევლინება აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის მოდერნიზაცია არ მოითხოვს მნიშვნელოვანი ოდენობით დამატებით ადამიანურ რესურსებს. თუმცა, საწყის ეტაპზე სასურველი იქნებოდა კონსულტანტების მოწვევა უცხოეთიდან საერთაშორისო გამოცდილების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტების გასაზიარებლად.

სათანადო ადმინისტრაციული ნების არსებობის პირობებში, საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სისტემის მოდერნიზაციის ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას სახელმწიფო სტატისტიკის დაფინანსების არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო დახმარების ფარგლებში. საქართველოში მოქმედი სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკური სისტემების პოტენციალი საშუალებას იძლევა, სათანადო ნების არსებობისა და საერთაშორისო დონორების დახმარების პირობებში, არც თუ დიდი დანახარჯებით და საკმაოდ მოკლე ვადებში საქართველოში დანერგილ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მყოფი მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემა.

## 2.6. დასპგნა

წინამდებარე თავში ჩვენ მიმოვიხილეთ მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემები და ის ძირითადი ინდიკატორები, რომლებსაც ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგისთვის იყენებს ევროპავშირი. აღწერილი გამოცდილების ათვისება, მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში თანამდეროვე პრინციპებისა და მიღომების, აგრეთვე ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნებისთვის აპრობირებული ინდიკატორების დანერგვა – საქართველოში ცოდნაზე და ინოვაციებზე ორიენტირებული მაღალეფექტიანი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტი იქნებოდა.

ამჟამად საქართველოში მოქმედი სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკური სისტემების პოტენციალი საშუალებას იძლევა, სათანადო პოლიტიკური ნების არსებობისა და საერთაშორისო დონორების დახმარების პირობებში, არც თუ დიდი დანახარჯებით და საკმაოდ მოკლე ვადებში, საქართველოში დანერგილ იქნეს საუკათხესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მყოფი მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემა, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირების ცოდნის ინტენსიური გამოყენებისა და ინოვაციებისკენ მიმართვას.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში განხორციელდა და მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებით საზოგადოების დაინტერესების მანიშნებელია. ამ ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება – მეცნიერთა და სპეციალისტთა სხვადა-

სხვა წრეებში ლისაბონის სტრატეგიასთან დაკავშირებული განხილვები და დისკუსიები, ასოციაციის „ეგროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის“ და კოალიციის „ინოვაციური საქართველო“ აქტივობა, საქართველოში ევროკომისიის დალეგაციის ანგარიში (Saluveer M., Khlebovitch D., 2007), პროექტი SCRIPTS და სხვ. მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში საქართველოს წინაშე ამჟამად მდგარი გამოწვევების დასაძლევად აღნიშნული დონისძიებები რასაკვირველია არასაკმარისია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია რთული გზის დასაწყისში.

თავი III.

ინდიკატორი ECAICI

### 3.1. შესაგალი

ინოვაციები ეკონომიკური აღმავლობისა და კონკურენტურიანობის ზრდის მართვავებელ ფაქტორადაა აღიარებული თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში (იხ. მაგ. (Klenow & Rodriguez-Clare, 1997)). მიმდინარე სამუშაო განმარტების მიხედვით: „An innovation is the implementation of a new or significantly improved product (good or service), or process, a new marketing method, or a new organisational method in business practices, workplace organisation or external relations” ((OECD, EUROSTAT, 2005), გვ. 46). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ინოვაციური შესაძლებლობები დამოკიდებული უნდა იყოს მრავალ ფაქტორზე: ადამიანური კაპიტალი, კპლევითი აქტივობა, ინფრასტრუქტურა, ბიზნესგარემო, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და ა. შ. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის ინოვაციური შესაძლებლობების გაზომვა მოითხოვს სპეციალური ინსტრუმენტების შემუშავებას, რომლებიც გაითვალისწინებენ და ადეკვატურად ასახავენ ინოვაციური პროცესების როცელ და მრავალგანზომილებიან ბუნებას. ამჟამად, ამგვარ სპეციალურ ინსტრუმენტებად კომპოზიტური ინდიკატორები გვევლინება.

უკანასკნელ წლებში მრავალი ორგანიზაციისა და მკვლევარის ძალისხმევით კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავების დიდი გამოცდილება იქნა დაგროვილი, ხოლო მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია – ევროკავშირის მიერ ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული პროგრესის მონიტორინგის მიზნით შემუშავებული კომპოზიტური ინდიკატორები (იხ. მაგ. (European Commission, 2008), (European Commission, 2007)), რომელთა შესახებ წინა თავში გაქონდა საუბარი.

კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავების გამოცდილების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არ-

სებული თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში, კონკრეტული კომპოზიტური ინდიკატორის შემუშავების ძირითადი სიძნელე ხარისხიანი პირველადი სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობაა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოქმნის აგრეთვე მეთოდოლოგიურ პრობლემებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა შესადარებელია განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნები (იხ. (Archibugi & Coco, 2005)).

სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ იჩენს თავს განვითარებადი ქვეყნებისთვის (იხ. (Tijssen & Hollanders, 2006), (Bhutto, Rashdi, & Abro, 2012)). ამასთანავე ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ სწორედ განვითარებადი ქვეყნებისთვის ჩანს განსაკუთრებით სასარგებლო ინოვაციური შესაძლებლობების ამსახავი ისეთი კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავება, რომლებიც შესაძლებელს გახდიდნენ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შედარებას. ამგვარი ინდიკატორების მეშვეობით განვითარებად ქვეყნებს ეძლევათ საშუალება განახორციელონ თავიანთი ინოვაციური შესაძლებლობების პოზიციონირება, დასახონ განვითარებად ქვეყნებთან განსხვავებების აღმოფხვრის ზომები და უზრუნველყონ მიღწეული შედეგების მონიტორინგი.

ამ საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა ყურადღების მნიშვნელოვანი ზრდა განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვის ინოვაციური შესაძლებლობების ამსახავი ინდიკატორების შემუშავების საკითხისადმი. კერძოდ, პუბლიკაციებში (Archibugi & Coco, 2004), (Chen & Dahlman, 2005), (UNIDO, 2005), (UNCTAD, 2005), (WEF, 2009), (INSEAD, 2011) წარმოდგენილია, დღეისთვის აღბათ ყველაზე უფრო ცნობილი და ფართოდ გამოყენებადი,

კომპოზიტური ინდიკატორები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ინოვაციურ შესაძლებლობებს ასახავენ (სხვადასხვა ინდიკატორების შედარებითი ანალიზისთვის იხ. (Archibugi & Coco, 2005), (Archibugi, Denni, & Filippetti, 2009)). აღნიშნული ინდიკატორები არსებითად „გლობალური“ ხასიათის მქონენი არიან და, სამწუხაროდ, წარმოდგენილი არიან მოკლე დროითი მწვრივებით. მეორე მხრივ, ამა თუ იმ განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს თავისი ინოვაციური შესაძლებლობების პოზიციონირება საკუთარ რეგიონალურ სივრცეში (ანუ ისტორიულ, პოლიტიკურ ან სხვა მოტივებით განსაზღვრულ „სამეზობლოში“) საკმაოდ ხანგრძლივ დროის ინტერვალზე.

ასე მაგალითად, საქართველოსთვის, გამომდინარე მისი პოსტ-სსრკ წარსულიდან და მკვეთრად გამოხატული ევროპული მისწრაფებებიდან, მნიშვნელოვანია გააანალიზოს თავისი განვითარების ტრაქტორია ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მიმართ. სასურველია აგრეთვე ანალიზი განხორციელდეს მაქსიმალურად დრმა რეტროსპექტივაში, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს შეუსაბამობანი გატარებულ პოლიტიკასა და დასახულ მიზნებს შორის და მომავალში აცილებულ იქნეს შეცდომების გამეორება.

აქ ჩვენ წარმოვადგენთ სპეციალურ კომპოზიტურ ინდიკატორს და მისი მეშვეობით მოკლედ გავაანალიზებთ საქართველოს ინოვაციურ შესაძლებლობებს. ECAICI ინდიკატორი ECA რეგიონის ქვეყნების ინოვაციური შესაძლებლობების დინამიკის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა და იგი შესაძლოა საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებისთვისაც პოსტ-სსრკ სივრციდან.

## 3.2. მთოლეობისა და მონაცემთა ძამუშავების პროცედურები

### 3.2.1. პირველადი ინდიკატორები

პირველადი ინდიკატორების შერჩევა ხორციელდებოდა ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის შინაარსობრივი მსარის და ანალოგიური კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავების გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთანავე, განხორციელდა არსებულ მონაცემთა მრავალმხრივი ტესტირება დროისა და ქვეყნების მიხედვით, რომლის მიზანი იყო პირველად მონაცემთა წარმომადგენლობითობისა და ურთიერთკორელაციის დონის კონტროლი, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ პროცედურის შედეგად გამოიყო 17 პირველადი ინდიკატორი, რომელებსაც მოკლედ მიმოვინდავთ ქვემოთ (დეტალური განმარტებებისთვის იხ. დანართი B).

განათლების სისტემის ფუნქციონირების ასახვის მიზნით ჩვენ გამოვიყენებთ შემდეგ ინდიკატორებს:

LFT – მესამე დონის განათლების მქონეთა წილი სამუშაო ძალაში (%);

GTA – მესამე დონის კურსდამთავრებულთა რაოდენობა 100 მოსახლეზე;

PSE – განათლებაზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯები (მშპ-ში წილი, %);

TST – მესამე დონის განათლების სისტემის პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე.

პვლევებისა და განვითარების სისტემის ფუნქციონირების ასახვის მიზნით ვიყენებთ შემდეგ ინდიკატორებს:

RRD – მპვლევართა რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე;

RDE – პვლევებისა და განვითარების ხარჯები (მშპ-ში წილი, %);

- STA – სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე;
- PAT – პატენტებზე განაცხადების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე;
- TRM – სავაჭრო ნიშნებზე განაცხადების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე;
- HTE – მაღალტექნოლოგიური ექსპორტის მოცულობა (მშპ-ში წილი, %).

ეკონომიკური გარემოს ასახვის მიზნით ვიყენებთ შემდეგ ინდიკატორებს:

- DCP – კერძო სექტორისთვის შიდა კრედიტების მოცულობა (მშპ-ში წილი, %);
- MCP – ბაზრის კაპიტალიზაცია (მშპ-ში წილი);
- EPC – ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე;
- IUS – ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 100 მოსახლეზე;
- DIO – პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მიმართ ლიობა (მშპ-ში წილი, %);
- SSO – სპეციალური მომსახურების მიმართ ლიობა (მშპ-ში წილი, %);
- FIO – ფაქტორული შემოსავლების მიმართ ლიობა (მშპ-ში წილი, %).

### **3.2.2. პირველადი მონაცემები და გამოტოვებულ მონაცემთა შევსების პროცედურა**

ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის აგებისთვის გამოყენებული პირველადი მონაცემების მოპოვება ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის საჯაროდ ხელმისაწვდომ

მონაცემთა ბაზებიდან. აღნიშნული პირველადი მონაცემები დაფუძნებულია საერთო დეფინიციებსა და მეთოდოლოგიაზე როგორც დროის, ასევე ქვეყნების მიხედვით, რის გამოც ზედმიწევნით მოსახერხებულია საერთაშორისო შედარებების განსახორციელებლად. მთელ რიგ შემთხვევებში პირველადი მონაცემები უშუალოდ პირველად ინდიკატორებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ცალკეულ შემთხვევებში პირველადი ინდიკატორების გამოთვლა ხორციელდებოდა ზემოთ აღნიშნულ პირველად მონაცემებზე დაყრდნობით.

მოსამზადებელ ეტაპზე განსახორციელებულმა მონაცემთა წინასწარმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ECA რეგიონის გარკვეული ქვეყნებისთვის (კერძოდ ყოფილი სსრკ შემადგენლობაში მყოფი ქვეყნებისთვის) მონაცემები 1995 წლამდე და მონაცემები 2010 წლის შემდეგ ვერ იქნებოდა მოპოვებადი კვლევის განსახორციელების მომენტისთვის. ამრიგად, ჩვენი შემდგომი განხილვის საგანი იქნება 2005-2010 წლების ინტერვალი. კვლევა განსახორციელდა ECA რეგიონის ქვეყნების საკვლევ ერთობლიობაზე (იხ. დანართი A). მოსამზადებელ ეტაპზე განსახორციელდა აგრეთვე მონაცემთა ტესტირება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1. გამოტოვებულ მონაცემთა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 40%-ზე მეტი; 2. პირველადი ინდიკატორების ურთიერთკორელაციის კოეფიციენტი აბსოლუტური მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო 0.9-ზე ნაკლები.

მონაცემთა შეზღუდვამ 1996-2010 წლების ინტერვალით და ECA ქვეყნების საკვლევი ერთობლიობით, საგრძნობლად შეამცირა გამოტოვებულ მონაცემთა პრობლემის სიმძაფრე. დარჩენილი გამოტოვებული მონაცემების აღსადგენად ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა სპეციალური სტატისტიკური პროცედურა, რომელიც Multiple Imputation მეთოდის სახელითაა ცნობილი (Honaker J., 2011).

### 3.2.3. ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის კონსტრუირება

ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის კონსტრუირებისთვის გამოყენებულ იქნა წრფივი აგრეგირების სქემა (იხ. დანართი C), რომელშიც წონების შესარჩევად ჩვენ გამოვიყენეთ ფაქტორული ანალიზის მეთოდი. ნორმირებული პირველადი ინდიკატორების მიმართ გამოყენებულმა პრინციპულ კომპონენტთა ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ განსახილველი ინდიკატორები იმართება ოთხი დაუკვირვებადი ძირითადი ფაქტორით (შესაბამისი საკუთრივი რიცხვები მეტია 1-ზე), რომელთა მეშვეობით აიხსნება მონაცემთა ვარიაციის დაახლოებით 72%.

ცხრილი 7. პირველადი ინდიკატორების და ქვეინდიკატორების წონები ECAICI ინდიკატორში

ქვე-ინდიკატორი	პირველადი ინდიკატორი	პირველადი ინდიკატორის წონა ქვეინდიკატორში	ქვეინდიკატორის წონა	პირველადი ინდიკატორის წონა ინდიკატორში
KNCR	<b>PAT</b>	0.27604871	0.3784369	0.10446702
	<b>RRD</b>	0.22850693		0.08647545
	<b>RDE</b>	0.20697372		0.07832649
	<b>EPC</b>	0.18781536		0.07107626
	<b>STA</b>	0.10065528		0.03809167
ESPH	<b>DCP</b>	0.30974646	0.2930011	0.09075604
	<b>TRM</b>	0.26376279		0.07728278
	<b>MCP</b>	0.24826056		0.07274060
	<b>IUS</b>	0.14256781		0.04177252
	<b>PSE</b>	0.03566238		0.01044912

<b>KNAD</b>	<b>SSO</b>	0.51601671	0.1851862	0.09555918
	<b>HTE</b>	0.24862114		0.04604121
	<b>FIO</b>	0.19162185		0.03548573
	<b>DIO</b>	0.04374000		0.00810000
<b>HCPR</b>	<b>TST</b>	0.36931500	0.1433758	0.05295084
	<b>GTA</b>	0.33977500		0.04871557
	<b>LFT</b>	0.29091000		0.04170942

ამ გარემოების გათვალისწინებით და ფაქტორების როტაციით გამოყოფილ იქნა აღნიშნული ოთხი ფაქტორი. ფაქტორების გამოვლენის შემდეგ ჩვენ განვახორციელეთ პირველადი ინდიკატორებისთვის სათანადო წონების მინიჭება და მათი აგრეგირება ქვეინდიკატორებში, რომლებიც გამოვლენილ ფაქტორებს შეესაბამებიან. ამ მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ ქვეინდიკატორების ფორმირების (Nicoletti, Scarpetta, & Boylaud, 2000)-ში შემოთავაზებული პროცედურა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 7.

გამოვლენილი ფაქტორების შესაბამისი ქვეინდიკატორები შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნან გამომდინარე მათი შემადგენლობიდან. კერძოდ, მათ აღსანიშნავად ჩვენ გამოვიყენებთ შემდეგ სახელებსა და აბრევიატურებს: ცოდნის გენერაცია (KNCR), ეკონომიკის დახვეწილობა (ESPH), ცოდნის აბსორბცია-დიფუზია (KNAD) და ადამიანური კაპიტალის წარმოება (HCPR). დანართში E მოგანილია ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების მნიშვნელობები 2010 წლის მდგომარეობით.

### 3.3. ECAICI ინდიკატორის ფასტირება


ECAICI კომპოზიტური ინდიკატორის ტესტირების შიზნით ჩვენ განვახორციელეთ მისი მნიშვნელობების შედარება სხვა ინდიკატორებთან სხვადასხვა წლების მიხედვით, სადაც შედარების შესაძლებლობა იყო. ეს ინდიკატორებია: ArCo (Archibugi & Coco, 2004), ევროკომისიის ინდიკატორი Summary Innovation Index - SII (INNO METRICS, 2011), UNCTAD-ის ინდიკატორი Innovation Capability Index – ICI (UNCTAD, 2005), UNIDO-ს ინდიკატორი TechAchv (UNIDO, 2005), მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინდიკატორი – TechRead (Technological Readiness Index) (WEF, 2009) და INSEAD-ის ინდიკატორი Global Innovation Index- GII (INSEAD, 2011).

მიუხედავად მისა, რომ აღნიშვნული ინდიკატორები სხვადასხვა ორგანიზაციების/ავტორების მიერაა შემუშავებული და იყენებენ პირველადი ინდიკატორების განსხვავებულ შემადგენლობას, ცხრილი 8 გვიჩვენებს, რომ **ECAICI** ინდიკატორი მჭიდრო კავშირშია მათთან (იხ. აგრეთვე ნახ. 7).

**ცხრილი 8.** ECAICI ინდიკატორის კავშირი სხვა ინოვაციური ინდექსებთან


ინდიკატორი	წელი	პორელაცია	რეგრესია $y=ax+b$ ; $y=ECAICI$		
			a	b	R2
WEF TechRead	2009	0.9130	0.5885	-2.3665	0.8336
UNIDO TechAchv	2002	0.7712	3.4221	-1.518	0.5947
UNCTAD ICI	2001	0.8579	3.5772	-2.5172	0.7359
EC SII	2006	0.8949	3.1811	-0.9672	0.8009
GII	2010	0.9444	0.0617	-2.3771	0.8920
ArCo	2000	0.9402	4.3214	-2.1437	0.8839

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ეკონომიკური შეხედულებების მიხედვით ინოვაციები ეკონომიკური აღმავლობის მამოძრავებელ ფაქტორადაა აღიარებული (იხ. მაგ. (Klenow & Rodriguez-Clare, 1997)), რაც გარკვეულწილად აუცილებელს ხდის, რომ კარგად კონსტრუირებული ინოვაციური ინდექსი მჭიდრო კავშირს ავლენდეს ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან. ამდენად, ECAICI ინდიკატორის ტესტირების ერთ-ერთი საშუალებაა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან მისი კავშირის გამოვლენა. აქ ჩვენ შემოვიფარგლებით ECAICI ინდიკატორისა და ერთ სულზე მშპ-ს მაჩვენებელთან კავშირის ემპირიული ანალიზით. როგორც ნახ. 8 გვიჩვენებს, ECAICI ინდიკატორი მართლაც ავლენს მჭიდრო კავშირს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელთან.



ნახ. 7. ECAICI და WEF TechRead ინდიკატორების შედარება 2009 წ.

შორიზონტალური ღერძი – ECAICI ინდიკატორი, გერტიკალური ღერძი – WEF TechRead ინდიკატორი. კვადრატი შეესაბამება საქართველოს.



ნახ. 8. კავშირი ერთ სულზე მშპ და ECAICI ინდიკატორებს  
შორის, 2009წ.

პორიზონტალური ღერძი – ECAICI ინდიკატორი,  
ვერტიკალური ღერძი – GDPpc \$PPP 2000 ინდიკატორი.  
კვადრატი შეესაბამება საქართველოს.

ტესტირების ზემოთ აღწერილი პროცედურების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ECAICI ინდიკატორი სასარგებლო ინსტრუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს ECA რეგიონის ქვეყნების ინოვაციური განვითარების ანალიზისთვის 1996-2010 წლების დროით ინტერვალზე.

### 3.4. საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების პოზიციონირება ECA რეგიონში

ქვეყნების საკვლევი ერთობლიობის რანჟირება ECAICI ინდიკატორის მეშვეობით 2010 წლის მდგომარეობით მოტანილია დანართში D. როგორც წარმოდგენილი მონაცემები.

ბიდან ჩანს, საქართველოს ECAICI ინდიკატორის მიხედვით 36-ე ადგილი უკავია 45 ქვეყანას შორის, რაც მის არსებითად მოკრძალებულ ინოვაციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

უფრო დეტალური ანალიზის მიზნით, განვახორციელოთ ECAICI ინდიკატორის ქვეინდიკატორების მეშვეობით ქვეყნების საკვლევი ერთობლიობის კლასტერული ანალიზი 2010 წლის მდგომარეობით. ამ პროცედურის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ ქვეყნების შემდეგი ჯგუფები (იხ. ნახ. 9):


CLS1= {FIN, NOR, DEU, SWE, DNK}

CLS2= {CHE, GRB, FRA, NDL, BEL, SVN, AUT, ESP, PRT, CYP, IRL}

CLS3= {HUN, ITA, CZE, SVK, GRC, HRV, BGR, RUS, UKR, BLR, POL, LTU, LVA, EST, KAZ, ARM}

CLS4= {TUR, MKD, BIH, SRB, ROM, MDA, GEO, AZE, TKM, KGZ, TJK, UZB, ALB}



როგორც ვხედავთ, საქართველო მოხვდა CLS4 კლასტერში. იმის გასაგებად თუ რას გამოხატავს ეს გარემოება, განვიხილოთ ნახ. 10. ამ ნახატზე წარმოდგენილი მონაცემებიდან უშუალოდ ჩანს, რომ პირველ რიგში ზემოთ აღნიშნული კლასტერები განსხვავდებიან ECAICI ინდიკატორის მნიშვნელობებით (იხ. ნახ. 10, პანელი A). ამ ფაქტისა და კლასტერების შემადგენლობის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი პირობითი სახელების გამოყენება: CLS1 კლასტერის წარმომადგენლებს ვუწოდოთ – ინოვაციური ლიდერები, CLS2 კლასტერის წარმომადგენლებს – ინოვაციური მიმდევრები, CLS3 კლასტერის წარმომადგენლებს – ზომიერი ინოვატორები, ხოლო CLS4 კლასტერის წარმომადგენლებს – ინოვაციების გადმომტანი.




ნახ. 9. ინოვაციური კლასტერები ECA რეგიონში

რასაკვირველია, მარტო ECAICI ინდიკატორის მნიშვნელობა არ განსაზღვრავს ზემოთ აღნიშნულ კლასიფიკაციას. საინტერესო დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა ნახ.10 პანელი B, რომელსაც შემდეგი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს: ქვეყნები გარკვეულ ევოლუციურ გზას გადიან თავიანთი ინოვაციური შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით და სავარაუდოა, რომ საწყის ეტაპზე ძირითადი ყურადღება ექცევა ადამიანური კაპიტალის დაგროვებას – CLS4; ადამიანური კაპიტალის „საკმარისი“ ოდენობის დაგროვების შემდეგ გრძელდება ინოვაციური შესაძლებლობების გაფართოვება ცოდნის გენერაციის, აბსორბციის/დიფუზიისა და ეკონომიკის დახვეწის მიმართულებებით – CLS3; მესამე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ მიიღწევა ცოდნის აბსორბცია/დიფუზიისა და ეკონომიკის დახვეწის გარკვეული ზღვრული მნიშვნელობა – CLS2;

ხოლო ბოლო ეტაპზე ხორციელდება ინტენსიური განვითარება ცოდნის გენერაციის მიმართულებით – CLS1. ამრიგად, ჩვენი შეფასებების მიხედვით 2010 წლის მდგომარეობით საქართველო თავის საინოვაციო შესაძლებლობების განვითარების მხოლოდ საწყის სტადიაში მყოფად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც ძირითადი ყურადღება ადამიანური კაპიტალის დაგროვებისკენ უნდა იყოს მიმართული.




ნახ. 10. ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების საშუალო მნიშვნელობები კლასტერების მიხედვით, 2010 წ.




ნახ. 11. ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების საშუალო მნიშვნელობების დინამიკა კლასტერების მიხედვით, 1996-2010 წწ.

C. CLS3




D. CLS4



◆ KNCR	▲ ESPH	● KNAD	■ HCPR	— ECAICI
--------	--------	--------	--------	----------

ნახ. 11. (გაგრძელება)

კლასტერების მიხედვით ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების საშუალო მნიშვნელობათა დინამიკა 1996-2010 წლებში წარმოდგენილია ნახ. 11-ზე. როგორც ამ ნახატიდან ჩანს, კლასტერი CLS4 ავლენს ტექნოლოგიური შესაძლებლობების გარკვეულ ზრდას მთლიანობაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ კლასტერში ზრდა ადამიანური კაპიტალის წარმოებისა და ეკონომიკის დახვეწის მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად – ცოდნის გენერაციის მიმართულებით.



ნახ. 12. ECAICI ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების მნიშვნელობების დინამიკა საქართველოსთვის, 1996-2010 წწ.


უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების დინამიკა ავლენს გარკვეულ შეუსაბა-

მობას CLS4 კლასტერის ზოგად ტენდენციებთან, იხ. ნახ. 12. კერძოდ, ზრდა შეინიშნება მხოლოდ ეკონომიკის დახვეწის მიმართულებით, დანარჩენი მიმართულებებით კი ან ნულოვანი ზრდაა (ცოდნის აბსორბცია/დიფუზიისა და ცოდნის გენერაციაში) ან კლება (ადამიანური კაპიტალის წარმოებაში).


ECAICI ინდიკატორის კომპონენტების მეშვეობით განხორციელებული ანალიზი გვიჩვენებს (იხ. ნახ. 13, 14) იმ მიმართულებებს, რომლებზეც ყურადღების გამახვილებაა აუცილებელი საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ნახ. 13 საშუალებას გვაძლევს თვალსაჩინოდ აღვიქვათ თუ რა ურთიერთმიმართებაშია საქართველოს და მისი უშუალო მეზობელი ქვეყნების ინოვაციური შესაძლებლობები 2010 წლის მდგომარეობით.

მეორე მხრივ (იხ. ნახ. 14), CLS3-ში გადასასვლელად და მასში პოზიციების გასამყარებლად, საქართველოს უახლოეს მომავალში დასჭირდება მნიშვნელოვანი ძალისხმეული ადამიანური კაპიტალის წარმოების, ეკონომიკის დახვეწილობის და ცოდნის გენერაციის მიმართულებებით. ნახ. 14 გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვნადაა გასაუმჯობესებელი პოზიციები პრაქტიკულად ყველა მაჩვენებლების მიხედვით:



**A. ARM vs GEO**




**B. AZE vs GEO**



ნახ. 13. საქართველოს შედარება მეზობელ ქვეყნებთან ECAICI ინდიკატორის პირველადი ქვეინდიკატორების მიხედვით

**C. RUS vs GEO****D. TUR vs GEO**

ნახ. 13. (გაგრძელება)



**ნახ. 14. ECAICI ინდიკატორის პირველადი ქვეინდიკატორების მიხედვით საქართველოს და CLS3-ის საშუალო მნიშვნელობების შედარება, 2010 წ.**

TST (მესამე დონის განათლების სისტემის პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე), GTA (მესამე დონის კურსდამთავრებულთა რაოდენობა 100 მოსახლეზე), LFT (მესამე დონის განათლების მქონეთა წილი სამუშაო ძალაში), DCP (კურძო სექტორისთვის შიდა კრედიტები), TRM (საგაჭრო ნიშნებზე განაცხადების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე), MCP (ბაზრის კაპიტალიზაცია), IUS (ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 100 მოსახლეზე), PSE (განათლებაზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯები, მშპ-ში წილი), PAT (პატენტებზე განაცხადების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე), RDE (კვლევებისა და განვითარების ხარჯები, მშპ-ში წილი), EPC (ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე), STA (სამეცნიერო-ტექნიკურ ურ-

ნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა 1 მლნ მოსახლეზე), SSO (სპეციალური მომსახურების მიმართ დობა, მშპ-ში წილი), HTE (მაღალტექნოლოგიური ექსპორტის მოცულობა, მშპ-ში წილი).

### 3.5. დასპანა

ამა თუ იმ ქვეფის ინოვაციური შესაძლებლობების გაზომვა მოითხოვს სპეციალური ინსტრუმენტების შემუშავებას, რომლებიც გაითვალისწინებენ და აღეკვატურად ასახავენ ინოვაციური პროცესების რთულ და მრავალგანზომილებიან ბუნებას. ამჟამად, ამგვარ სპეციალურ ინსტრუმენტებად კომპოზიტური ინდიკატორები გვევლინება. სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული განვითარებადი ქვეყნების სპეციფიკა, ინოვაციური შესაძლებლობების ამსახავი კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავებისას მნიშვნელოვან სიძნელეებს წარმოქმნის. ეს სიძნელეები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ კომპოზიტური ინდიკატორების კონსტრუირების მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ასპექტებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა შესადარებელია განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნები. ამასთანავე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის სპეციალური ინტერესის საგანს უნდა წარმოადგენდეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის ინტერვალზე საკუთარი ინოვაციური შესაძლებლობების დინამიკის სიდრმისეული ანალიზი იმ რეგიონალურ სივრცეში, რომელსაც ისინი საკუთარ თავს მიაკუთვნებენ ისტორიული, პოლიტიკური ან სხვა მოტივებით. სამწუხაროდ, ინოვაციური შესაძლებლობების ამსა-

ხავი დღეისთვის არსებული კომპოზიტური ინდიკატორები ამგვარი ანალიზის შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფენ მათი არსებითად „გლობალური“ ხასიათისა და შედარებით მოკლე დროით ინტერვალებზე განსაზღვრულობის გამო.

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ECAICI ინდიკატორი, რომელიც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ECA რეგიონის ქვეყნების ინოვაციური შესაძლებლობების ანალიზი 1996-2010 წლების ინტერვალზე. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინოვაციური პროცესები ECA რეგიონში იმართება ოთხი დაუკვირვებადი ფაქტორით, რომლებსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ცოდნის გენერაცია, ეკონომიკის დახვეწილობა, ცოდნის აბსორბცია-დიფუზია და ადამიანური კაპიტალის წარმოება. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ECAICI ინდიკატორი ავლენს მჭიდრო კავშირს სხვა კარგად ცნობილ ინოვაციურ ინდიკატორებთან და ისეთ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ინდიკატორთან, როგორიცაა ერთ სულ-ზე მშპ. ამდენად, იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინოვაციური შესაძლებლობების შეფასებისა და ანალიზის ინსტრუმენტად. გამომდინარე თავისი შესაძლებლობიდან, ECAICI ინდიკატორი შესაძლოა საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდეს ECA რეგიონის სხვა ქვეყნებისთვისაც პოსტ-სერკ სივრციდან.

საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების ანალიზმა აჩვენა, რომ თავისი ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად საქართველოს უახლოეს მომავალში დასჭირდება მნიშვნელოვანი ძალისხმეული ადამიანური კაპიტალის წარმოების, ეკონომიკის დახვეწილობის და ცოდნის გენერაციის მიმართულებებით.

თავი IV.

ინდიკატორი GRIS

## 4.1. შესაბაჭი

რეგიონული ინოვაციური სისტემები (RIS) ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) საფუძველს წარმოადგენენ და ქვეყნის საინოვაციო პოტენციალს განსაზღვრავენ. RIS როგორი მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომლის ეფექტიანი მართვისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგისთვის სპეციალური რაოდენობრივი ინსტრუმენტების შემუშავებაა აუცილებელი. ამჟამად ამგვარ ინსტრუმენტად კომპოზიტური ინდიკატორები გვევლინება, რომლებიც RIS-ების მრავალგანზომილებიანი ბუნების ერთიანი მაჩვენებლით წარმოდგენის, მათში მომხდარი ცვლილებების შეფასებისა და ერთმანეთის მიმართ მათი პოზიციონირების შესაძლებლობას იძლევიან.

ეფექტიანი პრაქტიკული გამოყენება პპოვეს კომპოზიტურმა ინდიკატორებმა ევროგაერთიანების დისაბონის სტრატეგიის პროგრესის შესაფასებლად EU წევრი ქვეყნების რეგიონების დონეზე. ამ გამოცდილების საფუძველზე შეიძლება დაგასკვნათ, რომ არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში, კონკრეტული კომპოზიტური ინდიკატორის შემუშავების ძირითადი სიძლე ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობაა. ასე მაგალითად, 2002-2005 წლების ეპროპული რეგიონალური ინოვაციური ტაბლოები (Regional Innovation Scoreboard), სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემიდან გამომდინარე, ასახავდნენ მხოლოდ EU15 ქვეყნების რეგიონების ინოვაციურ შესაძლებლობებს. მხოლოდ პირველად ინდიკატორთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი გადახალისების შემდეგ, 2006 წელს, შესაძლებელი გახდა ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების რეგიონების განხილვაც (Hollanders H. (2007)).

სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის პრობლემა არსებითად ზოგადი ხასიათისაა და იგი განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისთვის – როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების ღონებები.

მეორე მხრივ, საფიქრელია, რომ სწორედ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისთვისაა განსაკუთრებულად სასარგებლო ინოვაციური განვითარების სხვადასხვა ასპექტების ამსახავი კომპოზიტური ინდიკატორები (იხ. (Tijssen R., Hollanders (2006)) საკითხის ანალიზისთვის უფრო ზოგად კონტექსტში).

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, უკანასკნელ სანებში შეიმჩნევა ყურადღების ზრდა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვის ეროვნულ დონეზე სპეციფიური ინდიკატორების შემუშავების საკითხებისადმი. ამასთანავე, მიმდინარე ლიტერატურაში სათანადო ასახვა ჯერ ვერ პპოვა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისთვის ინოვაციური განვითარების რეგიონალური განზომილების ამსახავი კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავების საკითხებმა.

წინამდებარე თავის მიზანია საქართველოს მაგალითზე ვაჩვენოთ, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვის შესაძლებელია კომპოზიტური ინდიკატორის შემუშავება, რომელიც რეგიონულ დონეზე მიმდინარე ინოვაციური პროცესების შეფასების ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს. აქ წარმოდგენილი კომპოზიტური ინდიკატორი ადგილად ადაპტირებადად გამოიყურება სხვა ქვეყნებისთვისაც პოსტ-სსრკ სივრციდან, ვინაიდან იყენებს სპეციალურად შერჩეულ პირველად ინდიკატორთა საცმარისად ხელმისაწვდომ ერთობლიობას.

## 4.2. GRIS ინიციატორის ზორავირება

### 4.2.1. რეგიონის ინოვაციური სისტემა

RIS-ის კონცეფცია დაახლოებით მეოთხედი საუკუნის განმავლობაში წარმოებული ინტენსიური სამეცნიერო დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა, თუმცა ბოლომდე ჩამოყალიბებულად იგი დღესაც არ შეიძლება ჩაითვალოს. ასე მაგალითად, Doloreux D., Parto S. (2004) აღნიშნავენ: „The concept of RIS has no commonly accepted definitions but usually is understood as a set of interacting private and public interests, formal institutions and other organizations that function according to organizational and institutional arrangements and relationships conducive to the generation, use and dissemination of knowledge”.

მეტი სიცხადისთვის განვიხილოთ RIS-ის კონცეფციის ცალკეული კომპონენტები. რასაკვირველია, RIS-ის კონცეფცია პირველ რიგში მოითხოვს რეგიონისა და ინოვაციის განმარტებებს. Cooke, P., Uranga M. J., Etxebarria, G. (1997) -ის მიხედვით რეგიონი წარმოადგენს: „...a territory less than its sovereign state, possessing distinctive supralocal administrative, cultural, political, or economic power and cohesiveness, differentiating it from its state and other regions“, ხოლ OECD, EUROSTAT (2005)-ის გვაძლევს ინოვაციის შემდეგ განმარტებას: „An innovation is the implementation of a new or significantly improved product (good or service), or process, a new marketing method, or a new organisational method in business practices, workplace organisation or external relations“. თავის მხრივ, „ინოვაციური სისტემის“ ცნების არსი Gregersen B., Johnson, B. (1997)-ის მიერ განმარტებულია შემდეგი

სახით: „The main idea of the concept of innovation systems is that the overall innovation performance of an economy depends not only on how specific organizations like firms and research institutes perform, but also on how they interact with each other and with the government sector in knowledge production and distribution. Innovating firms operate within a common institutional set-up and they jointly depend on, contribute to and utilize a common knowledge infrastructure. It can be thought of as a system which creates and distributes knowledge, utilizes this knowledge by introducing it into the economy in the form of innovations, diffuses it and transforms it into something valuable, for example, international competitiveness and economic growth“.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

1. RIS სოციალური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს მის შემადგენლობაში მყოფი აქტორების (კომპანიები, კვლევითი და სასწავლო ორგანიზაციები, რეგიონალური მთავრობა, ტექნოლოგიური შუამავლები, სხვა ფორმალური ან არაფორმალური ინსტიტუტები) ურთიერთქმედების საფუძველზე;
2. თავისი ფუნქციონირების პროცესში RIS იყენებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს (ადამიანურს, ფინანსურს, ინფრასტრუქტურულს, ინსტიტუციონალურს და სხვ);
3. RIS უზრუნველყოფს ცოდნის გენერაციას, გამოყენება-გავრცელებასა და ინვაციებში უტილიზაციას;
4. RIS ფუნქციონირება იძლევა შედეგებს, რომლებიც რეგიონის ეკონომიკურ ზრდას განაპირობებენ.

## 4.2.2. რეგიონები და პირველადი ინდიკატორები

პრაქტიკული თვალსაზრისით რეგიონის დეფინიცია კრიტიკული მომენტია რეგიონალური დონის კომპოზიტური ინდიკატორების შემუშავებისას. რეგიონის დეფინიცია, გარდა ინდიკატორის შინაარსობრივი მხარისა, უნდა ითვალისწინებდეს პირველადი ინდიკატორების ერთობლიობის ფორმირებისთვის აუცილებელი სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას. სხვადასხვა ქვეყნებში რეგიონის დეფინიციის საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა შესაძლებლობები შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, საქართველოს RIS კომპოზიტური ინდიკატორის (GRIS) კონსტრუირებისთვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული რეგიონის განმარტება, როგორც ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის მეორე დონის ერთეულის (იხ. დანართი E.) ტერიტორიული კლასიფიკაციის უფრო დაბალ დონეზე მეორადი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობები მკვეთრად იზღუდება და ინფორმაციის წყაროს მხოლოდ სპეციალური გამოკვლევები შეიძლება წარმოადგენდეს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს და აძვირებს კომპოზიტური ინდიკატორის შემუშავებას.

ზემოთ აღწერილი კონცეპტუალური წარმოდგენების შესაბამისად და ხელმისაწვდომ მონაცემთა მრავალმხრივი ტესტირების საფუძველზე ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა პირველადი ინდიკატორების შემდეგი ერთობლიობა:

RIS რესურსული შესაძლებლობების ასახვის მიზნით შერჩეულ იქნა შემდეგი ინდიკატორები:

**EDL** – განათლების დონე. ამ ინდიკატორით ხორციელდება რეგიონის სამუშაო ძალის კვალიფიკაციის

შეფასება. ეს ინდიკატორი გამოხატავს მესამე დონის განათლების მქონეთა წილს სამუშაო ძალაში;

**INF** – ინფრასტრუქტურა. ამ ინდიკატორით ხორციელდება რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შეფასება ეს ინდიკატორი წარმოდგენილია რეგიონის IT ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგი მაჩვენებლით – პერსონალური კომპიუტერების მქონე შინამეურნეობების წილი რეგიონის შინამეურნეობებში;

**GSP** – სახელმწიფო მხარდაჭერა. ამ ინდიკატორით ხორციელდება რეგიონისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის დონის შეფასება. ეს ინდიკატორი წარმოდგენილია ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონისთვის მიწოდებული ტრანსფერტების ოდენობით ერთ სულ მოსახლეზე.

RIS-ში სოციალური კავშირების ასახვის მიზნით შერჩეულ იქნა ინდიკატორი:

**NET** – ქსელები. ამ ინდიკატორის მეშვეობით ხორციელდება რეგიონში არსებული საზოგადოებრივი ქსელების განვითარების დონის შეფასება. ეს ინდიკატორი გამოხატავს სხვადასხვა სახის ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მოსახლეობის ჩართულობის დონეს რეგიონში;

RIS-ში ცოდნის გენერაციისა და უტილიზაციის ასახვის მიზნით შერჩეულ იქნა ინდიკატორები:

**KNG** – ცოდნის გენერაცია. ამ ინდიკატორის მეშვეობით ხორციელდება ინტელექტუალური პროდუქციის წარმოების შეფასება რეგიონში. ეს ინდიკატორი გამოხატავს რეგიონიდან წარმოდგენილი საპატენ-

ტო განაცხადების რაოდენობას სამუშაო ძალის ერთეულზე.

**KIP** – ცოდნატექნიკის წარმოება. ეს ინდიკატორი გამოხატავს რეგიონის საშუალო-მაღალი და მაღალტექნილოგიურ წარმოებისა და ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების დარგებში დასაქმებას.

RIS-ის ფუნქციონირების შედეგების ასახვის მიზნით შერჩეულ იქნა ინდიკატორი

**CMP** – კონკურენტუნარიანობა. ეს ინდიკატორი გამოხატავს ერთ დასაქმებულზე შექმნილ დამატებულ ღირებულებას რეგიონში.

დანართში F მოტანილია ამ ინდიკატორების დეტალური განმარტებები და მითითებულია გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის წყაროები. პირველად ინდიკატორთა ეს ერთობლიობა რასაკვირველია მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას მათი ექსტრაგირებისთვის არსებული წყაროებიდან, მაგრამ იგი არსებითად ხელმისაწვდომად გამოიყერება მრავალი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორი NET ერთადერთია წარმოდგენილ პირველად ინდიკატორთა ერთობლიობაში, რომელიც ინფორმაციის გარე წყაროს იყენებს – იგი ეფუძნება World Values Survey (WVS)-ის მონაცემებს. ეს გარემოება არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მონაცემთა ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, ვინაიდან WVS-ის კითხვარის შესაბამისი ბლოკი ადვილად შეიძლება ჩართული იქნეს სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის მიერ რეგულარულად წარმოებად შინამუზურნეობათა საგროვამობაში.

ცხრილი 9. GRIS-2010 კომპოზიტური ინდიკატორის და მისი სუბინდიკატორების მნიშვნელობები

REGION		INRS	NISC	NETW	CMPT	GRIS-2010
TB	ქ. თბილისი	1.68	0.42	-0.05	0.05	2.11
AC	აჭარა	0.02	0.32	-0.18	0	0.16
GU	გურია	-0.15	-0.13	-0.25	-0.02	-0.56
IM	იმერეთი	-0.13	-0.07	-0.04	-0.01	-0.25
KA	ქახეთი	-0.21	-0.12	-0.13	-0.02	-0.49
MM	მცხეთა-მთიანეთი	-0.19	-0.14	0.15	-0.01	-0.20
RL	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	-0.21	-0.13	-0.04	-0.04	-0.41
SS	სამეგრელო-ზემო სვანეთი	-0.21	-0.14	-0.09	0.01	-0.42
SJ	სამცხე-ჯავახეთი	-0.31	-0.05	0.17	0.01	-0.18
QQ	ქვემო ქართლი	-0.14	0.19	0.43	0.05	0.53
SQ	შიდა ქართლი	-0.16	-0.15	0.03	-0.01	-0.29

#### 4.2.3. GRIS-2010 ინდიკატორის კონსტრუირება

ამ პუნქტში ჩვენ განვახორციელებთ 2010 წლის მდგომარეობით საქართველოს რეგიონების ინოვაციური სისტემების მიმდინარე მდგომარეობის ამსახავი კომპოზიტური ინდიკატორის GRIS-2010 კონსტრუირებას. ამ მიზნით ჩვენ ვიყენებთ პირველადი ინდიკატორების


ნორმალიზაციის და აგრეგირების სქემას, რომელიც აღწერილია დანართში C. ნორმალიზებული პირველადი ინდიკატორების ფაქტორული და კლასტერული ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ შესაძლებელია მათი დაჯგუფება საქმარისად კარგად ინტერპრეტირებად შემდეგ სუბ-ინდიკატორებში: შიდა რესურსები – INRS (EDL, KGN, INF), კავშირი ეროვნულ ინვაციურ სისტემასან – NISC (GSP, KIP), ქსელები – NETW (NET), კონკურენტუნარიანობა – CMPT (CMP). ცხრილში 9 მოტანილია ამ სუბინდიკატორებისა და GRIS-2010 კომპოზიტური ინდიკატორის მნიშვნელობები.

**ცხრილი 10. საქართველოს რეგიონების რანჟირება GRIS-2010 კომპოზიტური ინდიკატორის მიხედვით**

REGION		INRS	NISC	NETW	CMPT	GRIS-2010
TB	ქ. თბილისი	1	1	7	1	1
AC	აჭარა	2	2	10	5	3
GU	გურია	5	7	11	9	11
IM	იმერეთი	3	5	5	6	6
KA	ქახეთი	8	6	9	9	10
MM	მცხეთა-მთიანეთი	7	9	3	6	5
RL	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	8	7	5	11	8
SS	სამეგრელო-ზემო სვანეთი	8	9	8	3	9
SJ	სამცხე-ჯავახეთი	11	4	2	3	4
QQ	ქვემო ქართლი	4	3	1	1	2
SQ	შიდა ქართლი	6	11	4	6	7

### 4.3. საქართველოს რეგიონების ინდიკატორი შესაძლებლობების შეფასება

საქართველოს რეგიონების რანჟირება GRIS-2010 ინდიკატორისა და მისი ქვეინდიკატორების მიხედვით მოტანილია ცხრილში 10. GRIS-2010 ინდიკატორი საშუალებას გვაძლევს აგრეთვე განვახორციელოთ რეგიონების კლასიფიკაცია მათი ინოვაციური პოტენციალის მიხედვით. კერძოდ, კლასტერ-ანალიზის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ (იხ. ნახ. 15) საინვაციო პოტენციალით ერთგვაროვანი რეგიონების შემდეგი ხუთი კლასტერი: CL1=(TB), CL2=(QQ), CL3=(AC), CL4=(IM, SQ, MM, SJ), CL5=(GU, SS, RL, KA). რასაკვირველია, შესაძლებელია უფრო დეტალური კლასიფიკაციაც.




ნახ. 15. საქართველოს რეგიონების კლასიფიკაცია GRIS-2010 ინდიკატორის მიხედვით

GRIS-2010 ინდიკატორისა და მისი ქვეინდიკატორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს RIS-ები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი შესაძლებლობებით (იხ. ნახ. 16 პანელი A, B). ყურადღე-


ბას იპყრობს ის გარემოება, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს, თბილისის (TB) და აჭარის (AC) გარდა, შინაგანი რესურსები ქვეყნის საშუალო დონეზე ნაკლები აქვს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ კლასტერებში CL4= (IM, SQ, MM, SJ), CL5= (GU, SS, RL, KA) შემავალი რეგიონების კავშირები NIS-თან ქვეყნის საშუალო დონეზე ნაკლებია.

### A




ნახ. 16. საქართველოს RIS-ების არაერთგვაროვნება

**პანელი A – GRIS-2010** ინდიკატორის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით.




**ნახ. 16. (გაგრძელება)**

პანელი B – GRIS-2010 ქვეინდიკატორების საშუალო მნიშვნელობათა განაწილება რეგიონული კლასტერების მიხედვით.



**ნახ. 16. (გაგრძელება)**

პანელი C – GRIS-2010 პირველადი ინდიკატორების მიხედვით **TB, QQ, AC** რეგიონების შედარება.



**ნახ. 16. (გაგრძელება)**

**პანელი D – GRIS-2010** პირველადი ინდიკატორების  
მიხედვით **IM, KA, SS** რეგიონების შედარება.

პირველადი ინდიკატორების დონეზე განხორციელებული უფრო დეტალური ანალიზი გვიჩვენებს (მაგალითისთვის იხ. ნახ. 16, პანელი C, D), რომ განხხვავებას საქართველოს RIS-ებს შორის არსებითად ღრმა ფესვები აქვს და უკავშირდება რეგიონების უთანაბრობას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების მიხედვით როგორიცაა: განათლება, ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო მსარდაჭერა, ცოდნის გენერაციის შესაძლებლობები და სხვ. რეგიონებში არსებული ამ უთანაბრობების აღმოფხვრა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის წინაშეც საქართველო ამჟამად დგას.

#### 4.4. GRIS-2010 ინდიკატორის პავშირი რებილიტაციის ძირითად ეპონომიკურ მაჩვენებლების განვითარება

GRIS-2010 ინდიკატორის და რეგიონების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთკავშირის ანალიზისთვის შემოვიდოთ შემდეგი აღნიშვნები:  $Y$  – აღნიშნავდეს დამატებულ ღირებულებას ერთ სულზე,  $K$  – ფიქსირებულ კაპიტალს ერთ სულზე, ხოლო  $E$  – დასაქმებულობა რაოდნობას ერთ სულზე. აღვნიშნოთ აგრეთვე  $I$  სიმბოლოთი RIS კომპოზიტური ინდიკატორი (ანუ GRIS-2010 ჩვენ შემთხვევაში) და განვსაზღვროთ შრომის ეფექტიანობის ინდექსი ტოლობით

$$A(I) = A \exp(I)$$

დავუშვათ, რომ წარმოების პროცესი რეგიონებში აღინიშნება კობ-დუგლასის სახის საწარმოო ფუნქციით:

$$Y = K^\alpha (A(I)E)^{1-\alpha}$$


დავუშვათ, რომ

$$K = A_K \exp(\alpha_K I), \quad E = A_E \exp(\alpha_E I)$$

ამ დაშვებების პირობებში


$$Y = A_Y \exp(\alpha_Y I)$$

ეს გამოსახულებები პარამეტრების შეფასების საშუალებას იძლევა.




ნახ. 17. GRIS-2010 კაგშირი რეგიონების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებთან

პანელი A – აბსცისთა დერძი: GRIS-2010 მნიშვნელობები; ორდინატთა დერძი: დამატებული ღირებულება ერთ სულზე;




ნახ. 17. (გაგრძელება)  
პანელი B – ფიქსირებული აქტივები ერთ სულზე.



ნახ. 17. (გაგრძელება)

პარელი C – დასაქმებულები ერთ სულტე.



ნახ. 17. (გაგრძელება)

პარელი D – რეგიონების საწარმოო ფუნქციის შეფასება.  
(განმარტებები იხ. ტექსტში)

ზემოთ აღნიშნული დაშვებები და მათი შედეგები და-  
მაკმაყოფილებელ შესაბამისობაშია ემპირიულ მონაცემებ-  
თან (იხ. ნახ. 17). აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს,  
რომ GRIS-2010 ინდიკატორს დამაკმაყოფილებელი ამსსნე-  
ლი ძალა გააჩნია.

## 4.5. დასგვნა

რეგიონული ინოვაციური სისტემები (RIS), როგორც  
ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) შემადგენელი  
კომპონენტები, ქვეყნის საინოვაციო პოტენციალს განსაზ-  
ღვრავენ. ეს გარემოება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს  
ხდის განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყ-  
ნებისთვის RIS-ებში მიმდინარე პროცესების ანალიზია და  
მონიტორინგის მიზნებისთვის სპეციალური რაოდენობრივი  
ინსტრუმენტების შემუშავებას. ერთ-ერთ ამგვარ ინსტრუ-  
მენტად გვევლინება RIS-კომპოზიტური ინდიკატორები. სამ-  
წუხაროდ, მიმდინარე ლიტერატურაში სათანადო ასახვა  
ჯერ ვერ პკოვა ინოვაციური განვითარების რეგიონალური  
განზომილების ამსახვი კომპოზიტური ინდიკატორების  
შემუშავების პრობლემატიკამ, რომელიც განვითარება-  
დი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებზე იქნებოდა  
ორიენტირებული.

ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ემსახურება წი-  
ნამდებარე თავში აღწერილი ინდიკატორი. საქართველოს  
მაგალითზე ნაჩვენებია, რომ განვითარებადი და გარ-  
დამავალი ეკონომიკების ქვეყნებისთვის შესაძლებელია  
კომპოზიტური ინდიკატორის შემუშავება, რომელიც რე-  
გიონულ დონეზე მიმდინარე ინოვაციური პროცესების

შეფასების ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს. აქ წარმოდგენილი კომპოზიტური ინდიკატორის ფორმირებისთვის გამოყენებულია პირველად ინდიკატორთა საკმაოდ ხელმისაწვდომი ერთობლიობა და პრაქტიკაში კარგად აპრობირებული ფაქტორული ანალიზის ტექნიკა. საჭართველოს რეგიონების მონაცემებზე კომპოზიტური ინდიკატორის ტესტირებამ გამოავლინა მისი დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობები როგორც რეგიონების კლასიფიკაციის, ასევე რეგიონების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებთან კავშირის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი კომპოზიტური ინდიკატორი ადვილად ადაპტირებადად გამოიყერება სხვა პოსტ-სსრკ ქვეყნებისთვის. მიუხედავად ამისა, მივიჩნევთ, რომ შემდგომი დეტალური კვლევებია აუცილებელი ინოვაციური პროცესების რეგიონალური ასპექტების ამსახავი კომპოზიტური ინდიკატორების შესამუშავებლად განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვის.

## თავი V.

საქართველოში  
საწარმოთა  
კლასტერიზაციის  
პროცესის შეფასების  
ინსტრუმენტები

## 5.1. შესავალი

M. E. Porter-ის განმარტების თანახმად (Porter M.E. (1998)): კლასტერი არის ამა თუ იმ კონკრეტული დარგის წარმომადგენელ გეოგრაფიულად ახლომდებარე კომპანიათა ჯგუფი და მასთან ასოცირებული ინსტიტუტები, რომლებიც ურთიერთმსგავსებითა და ურთიერთშემაგრებლობით არიან შეკავშირებული. სხვანაირად შეიძლება ითქვას, რომ კლასტერი არის გარკვეული საქონლის/მომსახურების მწარმოებელთა, ფინანსურ ინსტიტუტთა, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებათა და სხვა (კერძო ან სახელმწიფო) ორგანიზაციათა საქმიან ურთიერთკავშირში მყოფი ერთობლიობა, რომელიც საკმარისად მცირე ტერიტორიაზეა თავმოყრილი.

საწარმოო კლასტერები ამჟამად განიხილება როგორც რეგიონებისა თუ დარგების განვითარებისთვის უმნიშვნელესი მამოძრავებელი ფაქტორი. ამასთანავე, კლასტერების ჩამოყალიბება და განვითარება მიიჩნევა ინოვაციური პროცესების მხარდაჭერი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებად.

კლასტერიზაციის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგისთვის, რეგიონალურ-დარგობრივ ჭრილებში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების, მიღწეული შედეგების ანალიზის, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. ევროგაერთიანების ფარგლებში კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს კლასტერების ევროპული ობსერვატორია (ECO). კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სათანადოდ ორგანიზებული ინფორმაციული ბაზის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური აქ-

ტივობის რეგიონალური და დარგობრივი ჭრილების ამსახავ მაჩვენებლების ერთობლიობას. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიზანი იყო კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ევროპული გამოცდილების საქართველოს რეალობისთვის ადაპტირების შესაძლებლობის შესწავლა. განხორციელებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულია ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას იძლევა ხელი შეუწყოს კლასტერიზაციის პროცესის მართვის პოლიტიკის შემუშავებას და უზრუნველყოს ამგვარი პოლიტიკის გატარებით მიღწეული შედეგების მონიტორინგი და შეფასება.

## 5.2. მონაცემები

კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისათვის ჩვენ ვეურდნობით ტერიტორიულ-დარგობრივ მონაცემებს დასაქმების შესახებ. მიმდინარე მონაცემები დასაქმებულთა შესახებ ტერიტორიულ-დარგობრივ ჭრილში საზოგადოდ შესაძლებელია მოპოვებული იქნეს საქსტატის ბიზნეს-რეგისტრიდან. ფინანსირების პრობლემების გამო კვლევის ჩატარების მომენტში აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობა ჩვენთვის შეზღუდული იყო, რის გამოც იძულებული ვიყავით გვესარგებლა მონაცემებით 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ეს მონაცემები რამდენადმე მოდიფიცირებულ იქნა, რათა მიგვეახლოვებინა მიმდინარე ვითარებისთვის. კერძოდ, ამოდებულ იქნა ახალგორის რ-ნის და გალის რ-ნის საწარმოები, რომელიც მონაცემთა ბაზაში ფიგურირებდნენ. გარდა ამისა, ვინაიდან მონაცემთა ჩვენ

ხელთ არსებულ ვერსიაში, დასაქმებულთა რაოდენობა მოცემული იყო დასაქმების ინტერვალებში – ჩვენ მოვახდინეთ საწარმოებში დასაქმებულთა ფაქტობრივი მაჩვენებლების მოდელირება. მოდელირება ხორციელდებოდა დასაქმების შკალის თითოეულ ინტერვალში მოხვედრილი საწარმოსთვის დასაქმებულთა რაოდენობის გენერირებით შემთხვევითი წესით თანაბარი განაწილებით შესაბამის დასაქმების ინტერვალში. ჩვენი კვლევის პილოტური ხასიათის გამო, ამგვარი მოდიფიკაციები სავსებით მისაღებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მიღებული პირველად მონაცემთა ბაზა მოიცავს 31217 საწარმოს, რომლებშიც დასაქმებული იყო 428180 მუშავი.

პირველად მონაცემთა ბაზაში საწარმოები კლასიფირებული იყვნენ საქართველოს ტერიტორიების კლასიფიკაციის 4 ნიშის დონეზე (64 ტერიტორიული ერთეული ქ. თბილისის ჩათვლით, რომელიც მიიჩნევა ერთ ტერიტორიულ ერთეულად) და ეკონომიკური საქმიანობის სტანდარტული კლასიფიკაციის 3 ნიშის დონეზე (219 დარგი). აღნიშნული კლასიფიკაციით განსაზღვრული 14016 დარგობრივ-რეგიონალური ერთეული განიხილება როგორც (სტატისტიკური) კლასტერი. პირველად მონაცემთა ბაზის მეშვეობით ხორციელდება თითოეული სტატისტიკური კლასტერისთვის დასაქმებულთა რაოდენობის გაანგარიშება. სტატისტიკურ კლასტერთა ერთობლიობაში – 11395 (81.3%) ცარიელია (ანუ კლასტერში დასაქმებულთა რაოდენობა ნულის ტოლია), ხოლო 2621 (18.7%) – არაცარიელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი განხილვის საგნად მყოფი 219 დარგიდან (საქმიანობის სფეროდან) საქართველოში წარმოდგენილია 189 დარგი. იმ დარგებიდან, რომლებიც არ არიან წარმოდგენილნი – ნაწილი ისეთია, რომ ბუნებრივად არც უნდა იყოს საქართველოში

(მაგ. ურანის მადნის მოპოვება, სამდინარო ტრანსპორტი და სხვ), მეორე მხრივ კი არც თუ დიდი ნაწილი ისეთია, რომ შესაბამის პირობებში სავსებით შეიძლება განვითარებულიყო (მაგ. ტანსაცმლის წარმოება ტყავის მასალისგან, მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება და სხვ). საქართველოში დასაქმებულთა დაახლოებით 91% თავმოყრილია 56 დარგში, არაცარიელ სტატისტიკურ კლასტერთა დასაქმებულთა რაოდგნობის მიხედვით განაწილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არაცარიელ სტატისტიკურ კლასტერთა ერთობლიობის დაახლოებით 80% 100 დასაქმებულზე ნაკლებს მოიცავს.

დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლის გარდა, თოთოვეული სტატისტიკური კლასტერისთვის  $C = (R, S)$ , სადაც  $R$  და  $S$  ამ კლასტერის განმსაზღვრელი რეგიონი და დარგია შესაბამისად, გაანგარიშებულ იქნა აგრეთვე შემდეგი სამი ინდექსი (ქვემოთ მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:  $L_C$  – დასაქმებულებია კლასტერში,  $L_R$  – დასაქმებულები კლასტერის რეგიონში,  $L_s$  – დასაქმებულები კლასტერის დარგში,  $L$  – სულ დასაქმებულები):

– კლასტერის ზომა

კლასტერში დასაქმებულთა წილი მის განმსაზღვრელ დარგში დასაქმებულებში:  $L_C / L_s$

კლასტერის სპეციალიზაცია

განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით:  $(L_C / L_R) / (L_s / L)$

კლასტერის ფოკუსირებულობა

კლასტერში დასაქმებულთა წილი მის განმსაზღვრელ რეგიონში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში:  $L_C / L_R$ .

## 5.3. მიზანი

### 5.3.1. ზოგადი შენიშვნები

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს პირობებში კლასტერიზაციის პროცესის დამზერის ორ ინსტრუმენტს: მოდიფიცირებულ ECO-მეთოდიკას და კლასტერიზაციის ინდექსს, რომლებიც ქვემოთ დეტალურად იქნება აღწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ECO-მეთოდიკის მიხედვით თითოეული სტატისტიკური კლასტერი (გარდა მაჩვენებლებისა: ზომა, ფოკუსირებულობა, სპეციალიზაცია) დამატებით ხასიათდება კიდევ ორი მაჩვენებლით:

- ინოვაციურობის დონე (სტატისტიკური კლასტერის განმსაზღვრელი რეგიონის ინოვაციურობის ინდექსი);
- ექსპორტუნარიანობის დონე (სტატისტიკური კლასტერის განმსაზღვრელ დარგში ქვეყნის წილი მსოფლიო ექსპორტში).

აქ ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზემოთ აღწერილი სამი მაჩვენებლით: ზომა, ფოკუსირებულობა, სპეციალიზაცია. ამგვარი შეზღუდვის მიუხედავად მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებელ საწყის მიახლოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რასაკვირველია, სამომავლოდ სასურველი იქნებოდა შემდგომი კვლევების წარმართვა აქ წარმოდგენილი ინსტრუმენტების დასახვეწად.

### 5.3.2. მოდიფიცირებული ECO-მეთოდიკა

ჩვენ განვიხილავთ კლასტერების ევროპული ობსერვატორიის მეთოდოლოგიის რამდენადმე მოდიფიცირებულ ვარიანტს. აღნიშნული მოდიფიკაცია უკავშირდება მეთოდოლოგიის შემდეგ კომპონენტებს:

- ეკონომიკური საქმიანობის და ტერიტორიების დატაღიზაციის დონე.**

ჩვენ ვეყრდნობით ეკონომიკური საქმიანობის სტანდარტულ კლასიფიკაციას 3 ნიშის დონეზე და საქართველოს ტერიტორიების კლასიფიკაციას 4 ნიშის დონეზე, რაც არსებითად უფრო დეტალურს ხდის ჩვენ ანალიზს;

- სტატისტიკური კლასტერის არსებითობისა და სპეციალიზაციის ზღვრული დონეების „რელატივიზაცია“**

კლასტერების ევროპული ობსერვატორიის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით დადგენილია კლასტერის არსებითობის კრიტერიუმის ზღვრული მნიშვნელობა 1000 კაცის ოდენობით, ხოლო არსებითი სტატისტიკური კლასტერის სპეციალიზაციის კრიტერიუმის ზღვრული მნიშვნელობა 2-ის ტოლი სიდიდით. ორივე ეს მაჩვენებელი აბსოლუტურია და ევროგაერთიანების სპეციფიკისთვის (რეგიონების მასშტაბი, დარგობრივი კლასიფიკაციის დეტალიზაციის დონე, დარგობრივი სპეციალიზაცია და სხვ.) ადაპტირებას ემსახურება. ამდენად, საქართველოს პირობებისთვის მათი გამოყენების შესაძლებლობა სადაც შეიძლება იყოს.

ჩვენ მიგვაჩინია, რომ რამდენადმე უფრო მოსახერხებელია ამ ზღვრული სიდიდეების გარკვეული ფარდობითი მახასიათებლებით შეცვლა. კერძოდ:

- სტატისტიკური კლასტერის არსებითობის კრიტერიუმის ზღვრულ მნიშვნელობას ჩვენ განვსაზღვრავთ 0.975 ცენტილური ჯგუფის საზღვრით ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ მივიჩნევთ არაცარიელ სტატისტიკურ კლასტერს „მაღალდასაქმებულად“ (და ვუწოდებთ მას არსებით სტატისტიკურ კლასტერს), თუ იგი შედის დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით უმაღლესი მნიშვნელობების მქონე არაცარიელ სტატისტიკურ კლასტერთა 2.5%-ში.
- არსებითი სტატისტიკური კლასტერის სპეციალიზაციის კრიტერიუმის ზღვრულ მნიშვნელობას ჩვენ განვსაზღვრავთ უმაღლესი კვინტილური ჯგუფის საზღვრით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ მივიჩნევთ არსებით სტატისტიკურ კლასტერს „მაღალსპეციალიზირებულად“ (და ვანიჭებთ მას „ვარსკვლავს“ სპეციალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით), თუ იგი შედის სპეციალიზაციის მაჩვენებლის უმაღლესი მნიშვნელობების მქონე არსებითი სტატისტიკური კლასტერების 20%-ში.
- ზომისა და ფოკუსირებულობის მაჩვენებლების მიხედვით არსებითი კლასტერების ამორჩევის ზღვრული მნიშვნელობები ჩვენ შემთხვევაში განისაზღვრება ისევე, როგორც კლასტერების ევროპული ობსერვატორიის მეთოდოლოგიაში (ანუ უმაღლესი დეცილური ჯგუფის საზღვრით).

ამრიგად, მეთოდიკა მოიცავს 4 პარამეტრს სტატისტიკური კლასტერების ამორჩევის კრიტერიუმების (დასაქმების, ზომის, ფოკუსირებულობის და სპეციალიზაციის) ზღვრული მნიშვნელობების დასადგენად. რასაკვირველია, ამ პარამეტრების არჩევის საკითხი სუბიექტური რჩება, მაგრამ აღარად დამკიდებული კონკრეტული მაჩვენებლების

აბსოლუტურ მნიშვნელობებსა და სტატისტიკური კლას-ტერების წარმოდგენის დეტალიზაციაზე.

აღნიშნული ოთხი პარამეტრის შერჩევის საკითხი პრაქტიკული თვალსაზრისით უკავშირდება კლასტერების კატეგორიზაციას გარკვეულ შეალებში. მაგალითად, სპეციალიზაციის მიხედვით კატეგორიზაციის შემთხვევაში ჩვენ წარმოვადგენთ არსებით კლასტერთა ერთობლიობას დაახლოებით თანაბარი ზომის ხუთ ჯგუფად შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „დაბალი სპეციალიზაცია“, „საშუალოზე ნაკლები სპეციალიზაცია“, „საშუალო სპეციალიზაცია“, „საშუალოზე მეტი სპეციალიზაცია“, „მაღალი სპეციალიზაცია“. ანალოგიურად, ზომისა და ფოკუსირებულობის მახასიათებლების შემთხვევაში ჩვენ წარმოვადგენთ არსებით კლასტერთა ერთობლიობას დაახლოებით თანაბარი ზომის 10 ჯგუფად, შემდეგი 10-ბალიანი შკალის მიხედვით: 1 – უაღრესად დაბალი, ..., 10 – უაღრესად მაღალი (ზომა/ფოკუსირებულობა). ამგვარი წარმოდგენა, რასაკვირველია, ინარჩუნებს სუბიექტურ ხასიათს, მაგრამ მნიშვნელოვნად აადვილებს განსახილველი სიტუაციის აღქმას.

### 5.3.3. კლასტერიზაციის ინდექსი

ისევე როგორც მოდიფიცირებულ ECO-მეთოდიკაში, სტატისტიკურ კლასტერებს განვიხილავთ სამ „განზომილებაში“ – ზომა, ფოკუსირებულობა, სპეციალიზაცია. ჩვენ განვახორციელებთ ამ მაჩვენებლების აგრეგირებას „კლასტერიზაციის დონის“ განმსაზღვრელ ერთიან მაჩვენებელში, რომელსაც შემდგომში კლასტერიზაციის ინდექსს ვუწოდებთ. ჩვენ ვიყენებთ აგრეგირების უმარტივეს სქემას, რომელიც შემდეგი ეტაპებისგან შედგება.

## პირველად ინდიკატორთა ნორმირება

პირველად ინდიკატორთა ნორმირების წესი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ საკმაოდ ზოგადია და საშუალებას იძლევა ერთიანად განვიხილოთ სხვადასხვა შინაარსის მქონე ან სხვადასხვა ტიპის შეაღებში მოცემული ინდიკატორები. ამასთანავე, იგი აპრობირებულია კომპოზიტური ინდიკატორების კონსტრუირებისას (Chen, D., & Dahlman, C. (2005)). დავუშვათ  $J$  წარმოადგენს ერთ-ერთ პირველად ინდიკატორს ნომინალურ გამოსახულებაში (ჩვენ შემთხვევაში სტატისტიკური კლასტერის ზომა, ფოკუსირებულობა ან სპეციალიზაცია). დავუშვათ აგრეთვე, რომ  $J$  განსაზღვრულია მთელ  $A$  სიმრავლეზე და ინდიკატორის მნიშვნელობათა არეს გააჩნია ბუნებრივი წრფივი დალაგების სტრუქტურა (მაგალითად ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეა). დავუშვათ აგრეთვე, რომ სიმრავლე  $A$  ბუნებრივი  $\mu$  ზომითაა აღჭურვილი (მაგალითად: თუ  $A$  სასრული  $n$  ელემენტიანი სიმრავლეა, მაშინ  $\mu$  შეიძლება იყოს ე.წ. „მთვლელი ზომა“, რომელიც  $A$  სიმრავლის თითოეულ წერტილს ანიჭებს წონას  $1/n$ ). შემოვიდოთ შემდეგი აღნიშვნები:

- ✓  $J(a)$  წარმოადგენს  $J$  ინდიკატორის მნიშვნელობას  $a \in A$  ელემენტზე;
- ✓  $A_c^J(a)$  წარმოადგენს  $A$  სიმრავლის ქვესიმრავლებს, რომლებისთვისაც  $J$  ინდიკატორის მნიშვნელობა მკაცრად ნაკლებია  $J(a)$ -ზე ( $J$  ინდიკატორის მნიშვნელობათა არის ბუნებრივი დალაგების აზრით).

ამ აღნიშვნებში  $J$  ინდიკატორის ნორმალიზებული მნიშვნელობა  $I$  განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$I(a) = \frac{\mu(A^J_<(a))}{\mu(A)}, \quad \forall a \in A.$$

ადგილი სანახავია, რომ  $0 \leq I(a) < 1$  და  $I(a) = 0$ , თუ  $J(a)$  ტოლია  $J$  ინდიკატორის მინიმალური მნიშვნელობისა და  $A$  სიმრავლეზე.

### **ნორმალიზებული ინდიკატორთა აგრეგირება**

დავუშვათ ახლა, რომ  $J_1, \dots, J_N$  პირველადი ინდიკატორების ერთობლიობაა (ჩვენ შემთხვევაში  $N=3$  და პირველადი ინდიკატორებია სტატისტიკური კლასტერის ზომა, ფოკუსირებულობა და სპეციალიზაცია), ხოლო  $I_1, \dots, I_N$  ზემოთ აღწერილი წესით ნორმირებული ინდიკატორების ერთობლიობაა. თუ უფრო დეტალურმა ანალიზმა სხვა სქემით აგრეგირების აუცილებლობა არ განაპირობა, მაშინ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პირველადი ინდიკატორების აგრეგირების თანაბარწონიანი სქემა:

$$I(a) = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N I_i(a), \quad a \in A,$$

კლასტერიზაციის ინდექსის კონსტრუირებისას ჩვენ შემოვიფარგლეთ თანაბარწონიანი აგრეგირების სქემით, რადგან სტატისტიკური კლასტერების მახასიათებლები – ზომა, ფოკუსირებულობა და სპეციალიზაცია – თანაბრად-მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კლასტერიზაციის პროცესის ანალიზის მიზნებისთვის. რასაკვირველია, ყოველთვის რჩება შესაძლებლობა უფრო დეტალური ანალიზისა კომპოზიტური ინდიკატორის ცალკეული კომპონენტების მიხედვით. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სიმრავლე

*A „ორგანზომილებიანია“ –  $A = \{C = (R, S) \mid R \in \mathfrak{R}, S \in \mathfrak{S}\}$ ,* სადაც  $\mathfrak{R}, \mathfrak{S}$  რეგიონებისა და დარგების სიმრავლეებია შესაბამისად, გარდა კლასტერიზაციის ზოგადი ინდექსისა

$$I(C) = \frac{1}{3} \left( I_{\text{ზომ}}(C) + I_{\text{ფოტო-ზა}}(C) + I_{\text{ბაზო-ია}}(C) \right), \quad C \in A$$

შეგვიძლია აგრეთვე განვიხილოთ კლასტერიზაციის დარგობრივი და ტერიტორიული ინდექსებიც:

$$I(S) = \frac{1}{3} \sum_{R \in \mathfrak{R}} \left( I_{\text{ზომ}}((R, S)) + I_{\text{ფოტო-ზა}}((R, S)) + I_{\text{ბაზო-ია}}((R, S)) \right), \quad S \in \mathfrak{S};$$

$$I(R) = \frac{1}{3} \sum_{S \in \mathfrak{S}} \left( I_{\text{ზომ}}((R, S)) + I_{\text{ფოტო-ზა}}((R, S)) + I_{\text{ბაზო-ია}}((R, S)) \right), \quad R \in \mathfrak{R};$$

რასაკვირველია, ცალკეულ შემთხვევებში ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს სხვა სახის აგრეგატებიც (ქვე-დარგებისა და ქვერეგიონების მიხედვით).

## 5.4. შედეგები

დადგენილი 0.975 ცენტილური საზღვრის პირობებში, არაცარიელი სტატისტიკური კლასტერი ითვლება არსებითად თუ მასში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 914 კაცს. ამ კრიტერიუმის მიხედვით გამოიყო 66 არსებითი კლასტერი (ანუ არაცარიელ კლასტერთა 0.6%).

ცხრილი 11. „გარსკვლავური“ კლასტერები საქართველოში,  
2008წ.

№	დარგი		რეგიონი		*
	კოდი	დასახელება	კოდი	დასახელება	
1	2	3	4	5	6
1	<b>63.3</b>	ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	<b>11 00</b>	ქ. თბილისი	<b>2</b>
2	<b>74.6</b>	გამოძიების ჩატარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა	<b>11 00</b>	ქ. თბილისი	<b>2</b>
3	<b>92.2</b>	საქმიანობა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სცეროში	<b>11 00</b>	ქ. თბილისი	<b>2</b>
4	<b>63.1</b>	ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	<b>38 14</b>	ქ. ფოთი	<b>2</b>
5	<b>15.9</b>	სასმელების წარმოება	<b>29 38</b>	ქვარელის რაიონი	<b>2</b>
6	<b>15.9</b>	სასმელების წარმოება	<b>29 30</b>	თელავის რაიონი	<b>2</b>
7	<b>52.1</b>	საცალო გაჭრობა არასპეციალისტულ მაღაზიებში	<b>29 30</b>	თელავის რაიონი	<b>2</b>
8	<b>15.9</b>	სასმელების წარმოება	<b>41 31</b>	ბორჯომის რაიონი	<b>2</b>
9	<b>74.1</b>	საქმიანობა სამართლის, საბუღალტრო აღრიცხვებისა და აუდიტის სფეროში; კონსულტაციები	<b>11 00</b>	ქ. თბილისი	<b>1</b>
10	<b>22.2</b>	პოლიგრაფიული საქმიანობა	<b>11 00</b>	ქ. თბილისი	<b>1</b>
11	<b>51.4</b>	საბიოუმო ვაჭრობა სამომხმარებლო დანიშნულების არასასურსათო საქონლით	<b>11 00</b>	ქ. თბილისი	<b>1</b>
12	<b>60.2</b>	საქალაქო და საგზაო ტრანსპორტი	<b>26 11</b>	ქ. ქუთაისი	<b>1</b>
13	<b>63.1</b>	ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	<b>15 11</b>	ქ. ბათუმი	<b>1</b>
14	<b>55.1</b>	სასტუმროები	<b>15 11</b>	ქ. ბათუმი	<b>1</b>

1	2	3	4	5	6
<b>15</b>	<b>45.2</b>	შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა	<b>15 11</b>	ქ. ბათუმი	<b>1</b>
<b>16</b>	<b>52.1</b>	საცალო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით, სასმელებით,	<b>44 32</b>	მარნეულის რაიონი	<b>1</b>

არსებით კლასტერთაგან მხოლოდ 16-მა (ანუ არ-სებით კლასტერთა 24.2%-მა) მიიღო ერთი მაინც „ვარ-სკვლავი“. ამ „ვარსკვლავური“ კლასტერებიდან 8 – „1-ვარსკვლავიანია“, ხოლო დანარჩენი 8 – „2-ვარსკვ-ლავიანი“. „ვარსკვლავური“ კლასტერების დახასიათე-ბა მოტანილია ცხრილში 11. შევნიშნავთ, რომ ამ 16 „ვარსკვლავურ“ კლასტერში არცერთი არაა მაღალტე-ქნოლოგიური დარგის წარმომადგენელი, და მხოლოდ ერთია ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების წარმომადგენელი (თბილისი-საქმიანობა სამართლის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში, კონ-სულტაციები).

კლასტერიზაციის ინდექსის მიხედვით წამყვანი ხუთი დარგია (დაღმავალი რიგით): საცალო ვაჭრობა არასპე-ციალიზირებულ მაღაზიებში, საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში, წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილე-ბა, საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა. ანალოგიურად შეიძლება გამოვლენილ იქნეს კლასტერიზაციის ინდექსის მიხედ-ვით წამყვანი ხუთი ტერიტორიული ერთეული (დაღმა-ვალი რიგით): ქ. თბილისი, ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, გორის რ-ნი. შევნიშნავ აგრეთვე, რომ კლასტე-რიზაციის ინდექსის 0.95-ზე მეტი მნიშვნელობის მქონე საქართველოში აღმოჩნდა მხოლოდ 20 სტატისტიკური კლასტერი (იხ. ცხრილი 12).

**ცხრილი 12. კლასტერიზაციის ინდექსის 0.95-ზე მეტი  
მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კლასტერები  
საქართველოში, 2008 წ.**

ტერიტორია		დარგი		C_IND
1	2	3	4	5
<b>23 23</b>	ლანჩხუთის რაიონი	<b>14.2</b>	ქვიშისა და თიხის მოპოვება	0.964
<b>26 14</b>	ტყიბულის რაიონი	<b>10.1</b>	ქვანახშირის მოპოვება, გამდიღება და აგლომერაცია	0.997
<b>26 18</b>	ჭიათურის რაიონი	<b>13.2</b>	ფერადი ლითონების მაღნების მოპოვება( ურანის/ თორიუმის გარდა)	0.974
<b>26 29</b>	ზესტაფონის რაიონი	<b>27.1</b>	თუჭის, ფოლადისა და ფერო-ჟენანობების წარმოება	0.966
<b>26 31</b>	თერჯოლის რაიონი	<b>20.1</b>	მერქნის ხერხება და რანდვა, მერქნის გაუდენთა	0.954
<b>29 26</b>	გურჯაანის რაიონი	<b>15.5</b>	რძის პროდუქტების წარმოება	0.957
<b>29 28</b>	დედოფლისწყაროს რ-ნი	<b>15.4</b>	მცენარეული და ცხოველური ზეოქისა და ცხიმების წარმოება	0.965
<b>29 38</b>	ყვარლის რაიონი	<b>1.1</b>	მემცენარეობა	0.963
<b>32 25</b>	დუშეთის რაიონი	<b>26.6</b>	ბეტონის, კირისა და თაბაშირის ნაკეთობების წარმოება	0.957
<b>32 29</b>	მცხეთის რაიონი	<b>26.1</b>	მინისა და მინის ნაწარმის წარმოება	0.967
<b>35 31</b>	ცაგერის რაიონი	<b>41.0</b>	წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება	0.958

1	2	3	4	5
38 14	ქ. ფოთი	63.1	ტეირთის სატრანსპორტო დამუშავება და შენახვა	0.982
38 25	ზუგდიდის რაიონი	15.3	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება	0.952
38 28	მარტვილის რაიონი	20.1	მერქნის ხერხვა და რანდვა, მერქნის გაუდენთა	0.960
38 38	ხობის რაიონი	1.1	მემცენარეობა	0.954
41 23	ადიგენის რაიონი	20.1	მერქნის ხერხვა და რანდვა, მერქნის გაუდენთა	0.957
44 24	ბოლნისის რაიონი	13.2	ფერადი ლითონების მადნების მოპოვება( ურანის / ოთრიუმის გარდა)	0.961
47 26	ქასპის რაიონი	26.4	აგურის, კრამიტისა და სამშენებლო ნაწარმი გამომწვარი თიხისაგან	0.974
47 26	ქასპის რაიონი	26.5	ცემენტის, კირისა და თაბაშირის წარმოება	0.964
47 28	ქარელის რაიონი	15.3	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება	0.955


გარკვეული ინტერესის საგანი (მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან) შეიძლება აგრეთვე იყოს მოცემულ ტერიტორიაზე არსებული სტატისტიკური კლასტერების ერთობლიობის განხილვაც.

კლასტერიზაციის ინდექსის ცალკეული კომპონენტები შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა სტატისტიკური


კლასტერების, ტერიტორიებისა და დარგების უფრო დეტალური შედარებისთვის. ასე მაგალითად:

- მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქ-ბი რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ზომის მაჩვენებლით ანუ დასაქმებულობით. ყველა დარგის მიხედვით საშუალოდ ბათუმი და ქუთაისი უკეთეს პოზიციაშია, ვიდრე რუსთავი;
- შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე, რომ დარგი 85.1 (საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) საგრძნობლად აღემატება დარგებს 45.2 (შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა) და 90.0 (მომსახურება კანალიზაციის, ნარჩენების მოცილებისა და სანიტარული დამუშავების სფეროში) ზომითა და სპეციალიზაციით, ამასთანავე დარგი 90.0 (მომსახურება კანალიზაციის, ნარჩენების მოცილებისა და სანიტარული დამუშავების სფეროში) მნიშვნელოვნად ჩამორჩება დარგებს 85.1 (საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) და 45.2 (შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა) ფოკუსირებულობის თვალსაზრისით;
- მონაცემთა ანალიზი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ კლასტერი თბილისი-55.1 (სასტუმროები) მნიშვნელოვნად ჩამორჩება კლასტერს ბათუმი-55.2 (სასტუმროები) სპეციალიზაციითა და ფოკუსირებულობით.

მოულოდნელი არაა, მაგრამ საინტერესოა, რომ კლასტერიზაციის დონე გარკვეულ კანონზომიერ დამოკიდებულებაშია აგრეთვე დასაქმებულთა რაოდენობასთან (იხ. ნახ. 18 და ნახ. 19).



ნახ. 18. დასაქმებულთა რაოდენობისა და კლასტერიზაციის ტერიტორიული ინდექსის ურთიერთკაგშირი



ნახ. 19. დასაქმებულთა რაოდენობისა და კლასტერიზაციის დარგობრივი ინდექსის ურთიერთკაგშირი

## 5.5. დასპანა

წინამდებარე თავში წარმოდგენილ იქნა ორი ინსტრუმენტი: მოდიფიცირებული ECO-მეთოდიკა და კლასტერიზაციის ინდექსი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოში საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესის მონიტორინგისთვის.

ნაჩვენებია, რომ მოდიფიცირებული ECO-მეთოდიკის მიხედვით არსებით კლასტერთაგან შეიძლება გამოიყოს მხოლოდ 16 (ანუ არსებით კლასტერთა 24.2%) „ვარსკვლავური“ კლასტერთაგან 8 – „1-ვარსკვლავიანი“, ხოლო დანარჩენი 8 – „2-ვარსკვლავიანი“. მეორე მხრივ, კლასტერიზაციის ინდექსის 0.95-ზე მეტი მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კლასტერი საქართველოში აღმოჩნდა მხოლოდ 20. კლასტერიზაციის ინდექსის მიხედვით გამოიყო წამყვანი ხუთი დარგი (დაღმავალი რიგით: საცალო ვაჭრობა არასპეციალიზირებულ მაღაზიებში; საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში; წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება; საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით; შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა) და ხუთი ტერიტორიული ერთეული (დაღმავალი რიგით: ქ. თბილისი, ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, გორის რ-ნი).

ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესი საქართველოში ამჟამად მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაშია. დამაფიქრებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ გამოვლენილი 16 „ვარსკვლავური“ კლასტერთაგან არც ერთი არაა მაღალტექნოლოგიური დარგის წარმომადგენელი, და მხოლოდ ერთია ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების წარმომადგენელი (თბილისი-საქმიანობა სამართლის, საბუდალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში, კონსულტაციები).

ვფიქრობთ, რომ ამ თავში წარმოდგენილი ინსტრუმენტები ეფექტიანად შეიძლება იქნეს გამოყენებული საქართველოში სათანადო დარგობრივ-ტერიტორიული პოლიტიკის შემუშავებისა და ანალიზისთვის.

## ბოლოსის მართვა

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე დამდგარმა მრავალმა საშინაო ოუ საგარეო პრობლემამ, მავანთა არაკომეტენტურობით განპირობებულმა ინსტიტუციონალურმა უნიათობამ და წამოწყებულ „რეფორმათა“ გაუაზრებლობამ საქართველოს ეროვნული საინვაციო სისტემის მთლიანად და მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – სამეცნიერო-ტექნოლოგიური სფეროს დეგრადაცია გამოიწვია.

წინამდებარე წიგნში ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს საინვაციო სისტემამ საკადრო და მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანი და მოკლე დროში აღუდებადი დანაკარგები განიცადა, ხოლო მისი ფინანსური უზრუნველყოფა და მართვა არსებითად მოშლილია.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისეთი მწირესურსიანი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, მხოლოდ ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებას შეიძლება ჰქონდეს პერსპექტივა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკის დღვანდელი სავალალო მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეკონომიკის განვითარების ინვაციური კომპონენტის სრული იგნორირებით, რასაც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირების ინვაციური განვითარებისკენ მიმართვაშია. გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ინვაციური განვითარების პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია. ამგვარი პროგრამის წარმატებულად განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობა კი, მიღწეული შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებაა.

წინამდებარე წიგნში შემოთავაზებულია, კომპოზიტური ინდიკატორების სახელით ცნობილი, სპეციალური სტატისტიკური ინსტრუმენტები, რომლებიც მიზანმიმართული არიან საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციის უზრუნველყოფაზე. წარმოდგენილი ინსტრუმენტებით ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თავისი ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად საქართველოს უახლოეს მომავალში დასჭირდება მნიშვნელოვანი ძალის-ხმევა ადამიანური კაპიტალის წარმოების, ეკონომიკის დახვეწილობის და ცოდნის გენერაციის მიმართულებებით. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ საქართველოს ინოვაციური სისტემის რეგიონალური კომპონენტი მნიშვნელოვანი უთანაბრობით ხასიათდება, რაც თავისოთავად არსებითი გამოწვევაა ცოდნასა და ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებისთვის საქართველოში. ამჟამად არსებული ვითარების შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესი, როგორც ინოვაციური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, დღვევანდელ საქართველოში მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაშია.

წარმოდგენილი სტატისტიკური ინსტრუმენტების ტესტირებამ აჩვენა, რომ მათ დამაკმაყოფილებელი ხარისხი აქვთ. ამდენად, მიმდინარე ეტაპზე მათი გამოყენება სავსებით შესაძლებელია საქართველოს ინოვაციური განვითარების პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და შედეგების შეფასებისათვის.

რასაკვირველია, საქართველოს ინოვაციური განვითარების პროგრამის შემუშავება და, მითუმეტეს, მისი რეალიზაცია თავისოთავადი და რთული ამოცანაა, რომლის მეტნაკლებად წარმატებული გადაწყვეტა არსებითადაა დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების მიმდინარე ფასეულობებსა და უნარებზე.

## ધોરણાત્મકાના

1. **Archibugi, D., & Coco, A. (2004);** New Indicator of Technological Capabilities for Developed and Developing Countries (ArCo). *World Development*, 32(4), 629-654.
2. **Archibugi, D., & Coco, A. (2005);** Measuring Technological Capabilities at the Country Level: A Survey and A Menu for Choice. *Research Policy* (34), 175-194.
3. **Archibugi,D., Denni,M., & Filippetti,A.(2009);** The Technological Capabilities of Nations: The State of the Art of Synthetic Indicators. *Technological Forecasting and Social Change*, 76, 917-931.
4. **Bhutto, A., Rashdi, P., & Abro, Q. (2012);** Indicators for science and technology policy in Pakistan: Entering the science, technology and innovation paradigm. *Science and Public Policy*, 39, 1-12.
5. **Chen, D., & Dahlman, C. (2005);** The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operations. Washington DC: The World Bank.
6. **Cooke, P., Uranga M. J., Etxebarria, G. (1997);** Regional Innovation Systems: Institutional and Organizational Dimensions. *Research Policy* 26: 475-491.
7. **Doloreux, D., Parto S. (2004);** Regional Innovation Systems: A critical synthesis. Institute for New Technologies, United Nations University.
8. **European Commission (2007a);** Innovation Clusters in Europe: A statistical analysis and overview of current policy support,Brussels: Directorate-general for enterprise and industry.
9. **European Commission (2007b);** Global Innovation Scoreboard 2006. Brussels: Directorate-general for enterprise and industry.
10. **European Commission (2008);** European Innovation Scoreboard Report 2007. Brussels: Directorate-general for enterprise and industry.

11. **Godin, B. (2002);** Are Statistics Really Useful? Myths and Politics of Science and Technology Indicators; Project on the History and Sociology of S&T Statistics, WP #20.
12. **Griliches, Z., (1990);** Patent Statistics as Economic Indicators: A Survey. *Journal of Economic Literature* 28(4).
13. **Hollanders, H., (2007);** 2006 EUROPEAN REGIONAL INNOVATION SCOREBOARD, European Trend Chart on Innovation.
14. **Hollanders, H., van Cruyse, A., (2008);** Rethinking the European Innovation Scoreboard: Recommendations for further improvements; The workshop on “Improving the European Innovation Scoreboard methodology”; Brussels, 16 June 2008.
15. **Hollanders, H. (2006);** European Regional Innovation Scoreboard (2006RIS). Maastricht: MERIT.
16. **Honaker, J., K. G. (2011);** Amelia II: A Program for Missing Data. *Journal of Statistical Software*, 45(7).
17. **INNOMETRICS (2011);** INNOVATION UNION SCOREBOARD 2010. Maastricht: UNU-MERIT.
18. **INSEAD (2011);** The Global Innovation Index 2011. Fontainebleau, France: INSEAD.
19. **Kaufmann, D., Kraay A., Mastruzzi, M. (2006);** Governance Matters V: Aggregate and Individual Governance Indicators for 1996-2005, The World Bank.
20. **Klenow, P., & Rodriguez-Clare, A. (1997);** The Neoclassical Revival in Growth Economics: Has It Gone Too Far? *NBER Macroeconomics Annual* 1997, 12, 73-103.
21. **Nardo, M., Saisana, M., Saltelli, A., Tarantola, S., Hoffman, A., Giovannini, E. (2005);** HANDBOOK ON CONSTRUCTING COMPOSITE INDICATORS: METHODOLOGY AND USER GUIDE; OECD Statistics Working Paper JT00188147.
22. **Nicoletti, G., Scarpetta, S., & Boylaud, O. (2000);** Summary in-

dicators of product market regulation with an extension to employment protection legislation. OECD, Economics department working papers 226, ECO/WKP(99)18.

23. **OECD (1963);** Science and the Polices of Government.
24. **OECD (2002);** Proposed standard practice for surveys of research and experimental development (Frascati Manual).
25. **OECD, EUROSTAT (2005);** The Measurement of Scientific and Technological Activities (Oslo Manual).
26. **OECD (1995);** Manual on the Measurement of Human Recources Devoted to (Canberra Manual).
27. **Porter, M.E. (1998);** ‘Location, Clusters and the “New Micro-Economics of Competition”, Business Economics, No. 33.
28. **Saluveer, M., Khlebovitch, D. (2007);** Georgian Research and Development Policy Recommendations Report, Tbilisi, Georgia.
29. **Tijssen, R., & Hollanders, H. (2006);** Using science and technology indicators to support knowledge based economies. United Nations University.
30. **UNCTAD (2005);** World Investment Report. Transnational Corporations and the Internationalization of R&D. Geneve: UNCTAD.
31. **UNIDO (2005);** Industrial Development Report. Capability Building for Catching-Up. Historical, Empirical and Policy Dimensions. Vienna: UNIDO.
32. **WEF (2009);** The Global Competitiveness Report 2009\_2010. Geneva, Switzerland: World Economic Forum.
33. გოგოძე ი., ჩუბინიშვილი თ. (2008); საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის მოდერნიზაციის საკითხისათვის; ქონიმიკა, 3-4, 2008; გვ. 119-128.
34. გოგოძე ი., ჩუბინიშვილი თ. (2009); საქართველოს საინოვაციო პოტენციალი: საპატენტო აქტივობის ანალიზი; ქონიმიკა, 5-6, 2009; გვ. 142-155.

35. **გოგოძე ი. (2010);** ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი ევროპაში; მრავალდონიანი საინკვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ასოციაცია გესიგ, ობილისი, 2010; გვ. 53-85.
36. **Gogodze, J., Uridia, M. (2011);** Georgian Research and Development System in 1996-2005 , Caucasus Journal of Social Sciences, 2011, Volume 2, Issue 5; The University of Georgia Press; pp 228-239.
37. **გოგოძე ი. (2012);** საქართველოში საწარმოთა კლასტერიზაციის პროცესის შეფასების ინსტრუმენტები; საქართველოს საინკინრო სიახლეები, No. 3(გ.63), 2012; გვ. 65-72.
38. **Gogodze, J. (2013a);** Composite indicator ECAICI and positioning of Georgia's innovative capacities in Europe-Central Asia Region. MPRA Paper No. 43921, <http://mpra.ub.uni-muenchen.de/43921/>.
39. **Gogodze, J. (2013b);** Composite indicator for regional innovative systems of the countries with developing and transitional economy. MPRA Paper No. 43911, <http://mpra.ub.uni-muenchen.de/43911/>.

## პირითადი შემოკლებები

<b>ECA</b>	ევროპა-ცენტრალური აზიის რეგიონი (მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით)
<b>ECAI</b>	ევროპა-ცენტრალური აზიის ქვეყნების ინოვაციური შესაძლებლობების კომპოზიტური ინდიკატორი
<b>ECO</b>	კლასტერების ევროპული ობსერვატორია
<b>EPO</b>	ევროპის საპატენტო ოფისი
<b>EU</b>	ევროპავშირი
<b>EUROSTAT</b>	ევროგაერთიანების სტატისტიკური ოფისი
<b>GDP</b>	მთლიანი შიდა პროდუქტი
<b>GRIS</b>	საქართველოს რეგიონული ინოვაციური სისტემების კომპოზიტური ინდიკატორი
<b>IMF</b>	საერთაშორისო საგალუტო ფონდი
<b>INSEAD</b>	ბიზნესის ადმინისტრირების ევროპული ინსტიტუტი
<b>IPC</b>	საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია
<b>ISCED</b>	განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია
<b>ISCO</b>	დასაქმების სტანდარტული საერთაშორისო კლასიფიკაცია
<b>NABS</b>	სამეცნიერო პროგრამებისა და ბიუჯეტის ნომენკლატურა
<b>NACE</b>	ეკონომიკური აქტივობის სტატისტიკური კლასიფიკაცია
<b>NIS</b>	ეროვნული საინოვაციო სისტემა
<b>OECD</b>	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
<b>R&amp;D</b>	კვლევები და განვითარება
<b>RIS</b>	რეგიონალური საინოვაციო სისტემა
<b>SDMX</b>	სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გაცვლის ინიციატივა
<b>UN</b>	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

<b>UNCTAD</b>	გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია
<b>UNESCO</b>	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
<b>UNIDO</b>	გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
<b>USPTO</b>	აშშ პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების ოფისი
<b>WB (The World bank)</b>	მსოფლიო ბანკი
<b>WEF</b>	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
<b>WIPO</b>	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

ლანართები

## დანართი A. ქვეყნების საკვლევი ერთობლიობა

ECA რეგიონის ქვეყნების ერთობლიობიდან გამოიყო 13 სპეციფიური ქვეყანა: Andorra, Channel Islands, Faeroe Islands, Gibraltar, Greenland, Iceland, Isle of Man, Liechtenstein, Luxembourg, Monaco, Montenegro, San Marino – მოსახლეობის სიმცირის გამო (2000 წლის მდგომარეობით მათი მოსახლეობა არ აღმატებოდა 750000 მცხოვრებს) და Kosovo (განსაკუთრებული სტატუსის გამო). ECA რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს ECA რეგიონის ქვეყნების საკვლევ ერთობლიობას გუშვიდებოთ. ეს ქვეყნებია:

ALB	Albania	EST	Estonia	LTU	Lithuania	ESP	Spain
ARM	Armenia	FIN	Finland	MKD	Macedonia, FYR	SWE	Sweden
AUT	Austria	FRA	France	MDA	Moldova	CHE	Switzerland
AZE	Azerbaijan	GEO	Georgia	NLD	Netherlands	TJK	Tajikistan
BLR	Belarus	DEU	Germany	NOR	Norway	TUR	Turkey
BEL	Belgium	GRC	Greece	POL	Poland	TKM	Turkmenistan
BIH	Bosnia and Herzegovina	HUN	Hungary	PRT	Portugal	UKR	Ukraine
BGR	Bulgaria	IRL	Ireland	ROM	Romania	GBR	United Kingdom
HRV	Croatia	ITA	Italy	RUS	Russian Federation	UZB	Uzbekistan
CYP	Cyprus	KAZ	Kazakhstan	SRB	Serbia		
CZE	Czech Republic	KGZ	Kyrgyz Republic	SVK	Slovak Republic		
DNK	Denmark	LVA	Latvia	SVN	Slovenia		

**დანართი B. ECAICI ინდიკატორის პირველად მონაცემთა დეფინიციები**

№	გოდი	მოკლე განმარტება
1	<b>LFT</b>	Labor force with tertiary education is the proportion of labor force that has a tertiary education, as a percentage of the total labor force.
2	<b>GTA</b>	Total graduates in all programmes tertiary, is the total number of graduates in all programmes in tertiary institutions.
3	<b>PSE</b>	Public expenditure on education consists of current and capital public expenditure on education includes government spending on educational institutions (both public and private), education administration as well as subsidies for private entities (students/households and other private entities).
4	<b>TST</b>	Teaching staff in total tertiary. Public and private. Full and part-time. All programmes. Total is the total number of teachers in public and private tertiary education institutions . Teachers are persons employed full time or part time in an official capacity to guide and direct the learning experience of pupils and students, irrespective of their qualifications or the delivery mechanism. This definition excludes educational personnel who have no active teaching duties and persons who work occasionally or in a voluntary capacity in educational institutions.
5	<b>RRD</b>	Researchers in R&D are professionals engaged in the conception or creation of new knowledge, products, processes, methods, or systems and in the management of the projects concerned. Postgraduate PhD students (ISCED97 level 6) engaged in R&D are included.

6	<b>DCP</b>	Domestic credit to private sector refers to financial resources provided to the private sector, such as through loans, purchases of nonequity securities, and trade credits and other accounts receivable, that establish a claim for repayment. For some countries these claims include credit to public enterprises.
7	<b>MCP</b>	Market capitalization (also known as market value) is the share price times the number of shares outstanding. Listed domestic companies are the domestically incorporated companies listed on the country's stock exchanges at the end of the year. Listed companies does not include investment companies, mutual funds, or other collective investment vehicles.
8	<b>EPC</b>	Electric power consumption measures the production of power plants and combined heat and power plants less transmission, distribution, and transformation losses and own use by heat and power plants.
9	<b>IUS</b>	Internet users are people with access to the worldwide network.
10	<b>DIO</b>	Direct investment openness is the sum of foreign direct investment net inflows and foreign direct investment net outflows . Foreign direct investment are the flows of investment to acquire a lasting management interest (10 percent or more of voting stock) in an enterprise operating in an economy other than that of the investor. It is the sum of equity capital, reinvestment of earnings, other long-term capital, and short-term capital as shown in the balance of payments.

11	<b>SSO</b>	Special services openness is the sum of exports and imports of special services. Special services are communications, computer, information, and other services cover international telecommunications and postal and courier services; computer data; news-related service transactions; construction services; royalties and license fees; miscellaneous business, professional, and technical services; personal, cultural, and recreational services; and government services not included elsewhere.
12	<b>FIO</b>	Factor income openness is the sum of factor income payments and receipts. Factor income is refer to employee compensation paid to nonresident workers and investment income (payments on direct investment, portfolio investment, other investments). Income derived from the use of intangible assets is excluded from income and recorded under business services.
13	<b>RDE</b>	Expenditures for research and development are current and capital expenditures (both public and private) on creative work undertaken systematically to increase knowledge, including knowledge of humanity, culture, and society, and the use of knowledge for new applications. R&D covers basic research, applied research, and experimental development.
14	<b>HTE</b>	High-technology exports are products with high R&D intensity, such as in aerospace, computers, pharmaceuticals, scientific instruments, and electrical machinery. Data are in current U.S. dollars.
15	<b>PAT</b>	Patent applications are worldwide patent applications filed through the Patent Cooperation Treaty procedure or with a national patent office.

16	<b>TRM</b>	Trademark applications filed are applications to register a trademark with a national or regional Intellectual Property (IP) office. Direct resident trademark applications are those filed by domestic applicants directly at a given national IP office.
17	<b>STA</b>	Scientific and technical journal articles refer to the number of scientific and engineering articles published in the following fields: physics, biology, chemistry, mathematics, clinical medicine, biomedical research, engineering and technology, and earth and space sciences.

### დანართი C. კომპოზიტური ინდიკატორის კონსტრუირების წრფივი აგრეგირების სქემა

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:  $C$  აღნიშნავდეს ქვეყნების (სასრულ) სიმრავლეს, რომლის სიმძლავრეა  $|C|=M$  და ფუნქციები  $x_{it}: C \rightarrow R, i=1,\dots,n, t=1,\dots,T$ , სადაც  $n$  პირველად ინდიკატორთა რაოდენობაა,  $T$  განსახილვები დროის ინტერვალის ხანგრძლივობა, ხოლო  $R$  ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეა. ამ აღნიშვნებში  $x_{it}(c)$  – წარმოადგენს დროის  $t$  მომენტში  $i$ -ური ინდიკატორის მნიშვნელობას  $c$  ქვეყნისთვის. შემდგომში ვგულისხმობთ, რომ განსახილვები პირველადი ინდიკატორები „ერთნაირი მიმართულებისაა“ ანუ მათი ნაკლები მნიშვნელობა შეესაბამება „უარესს“, ხოლო მეტი მნიშვნელობა „უკმთვესს“. სიმბოლოებით

$$\bar{x}_i = \frac{1}{MT} \sum_t \sum_{c \in C} x_{it}(c), \quad \sigma_i = \left( \frac{1}{MT-1} \sum_t \sum_{c \in C} (x_{it}(c) - \bar{x}_i)^2 \right)^{1/2}$$

აღვნიშნავთ  $i$ -ური ინდიკატორის საშუალო მნიშვნელობას და სტანდარტულ გადახრას შესაბამისად.

ვინაიდან პირველადი ინდიკატორები შეიძლება წარმოადგენდნენ სხვადასხვა შეალებში/ერთეულებში მოცემულ სიდიდეებს მიზანშეწონილია მათი ნორმირება. ჩვენ გამოვიყენებთ სტანდარტიზაციის პროცედურას (z-scores) და განვიხილავთ ფუნქციებს  $I_{it} : C \rightarrow \mathbb{R}$ , რომლებიც განისაზღვრებიან ტოლობით:

$$I_{it}(c) = \frac{x_{it}(c) - \bar{x}_i}{\sigma_i}, \quad c \in C, \quad 1 \leq i \leq N, \quad t = 1, \dots, T$$

ამ ფუნქციებს შემდგომში ნორმირებულ პირველად ინდიკატორებს ვუწოდებთ.

მნიშვნელოვანი მომენტი კომპოზიტური ინდიკატორის კონსტრუირებისას აგრეგირების პროცედურის შერჩევაა.


ვინაიდან ამ საკითხს ცალსახა გადაწყვეტა არ გააჩნია, ჩვენ გამოვიყენებთ უმარტივეს და პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებულ წრფივი აგრეგირების სქემას

$$I_t(c) = \sum_{1 \leq i \leq N} w_i I_{it}(c), \quad c \in C, \quad t = 1, \dots, T$$

სადაც  $w_i \left( w_i \geq 0, 1 \leq i \leq N; \sum_{1 \leq i \leq N} w_i = 1 \right)$  წარმოადგენს  $i$ -ური,

$i = 1, \dots, n$ , ნორმირებული პირველადი ინდიკატორის წონას კომპოზიტურ ინდიკატორში. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აგრეგირების პროცედურის შერჩევის საკითხი დადის წონების შერჩევის საკითხზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელოვანი გამარტივების მიუხედავად, წონების შერჩევის საკითხიც არსებითად არატრივიალურია და არ არის ცალსახად გადაწყვეტადი.

## დანართი D. ECAICI-2010 ინდიკატორის და მისი ქვეინდიკატორების მნიშვნელობები



ნახ. 20. ECA რეგიონის ქვეყნების რანჟირება ECAICI ინდიკატორის მიხედვით, 2010 წ.

Country	ECAICI 2010		Sub Indicators							
			KNCR		ESPH		KNAD		HCPR	
	Rank	Score	Rank	Score	Rank	Score	Rank	Score	Rank	Score
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
CHE	1	1.486	7	0.449	1	0.720	4	0.184	9	0.134
IRL	2	1.480	13	0.178	12	0.254	1	0.848	6	0.201
SWE	3	1.456	2	0.779	3	0.466	7	0.103	18	0.108
FIN	4	1.379	1	1.003	14	0.196	11	0.059	14	0.120
DNK	5	1.239	5	0.597	4	0.459	9	0.070	17	0.113
NOR	6	1.060	3	0.702	11	0.274	18	-0.048	11	0.132
BEL	7	0.997	12	0.212	2	0.483	3	0.184	15	0.118
GBR	8	0.945	9	0.358	5	0.450	14	0.019	16	0.118
DEU	9	0.921	4	0.661	13	0.219	15	-0.014	22	0.055

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
NLD	10	0.880	11	0.253	6	0.440	6	0.113	20	0.074
FRA	11	0.827	8	0.379	10	0.369	19	-0.049	12	0.128
AUT	12	0.707	6	0.486	15	0.179	13	0.024	29	0.017
ESP	13	0.519	15	0.070	7	0.434	29	-0.082	19	0.096
EST	14	0.416	18	0.022	16	0.146	10	0.066	7	0.183
PRT	15	0.412	20	-0.020	8	0.433	22	-0.063	21	0.062
CYP	16	0.375	36	-0.217	9	0.427	5	0.169	33	-0.003
SVN	17	0.370	10	0.253	18	0.141	23	-0.065	26	0.042
RUS	18	0.332	14	0.152	30	-0.012	40	-0.123	2	0.316
HUN	19	0.219	24	-0.085	25	0.027	2	0.244	28	0.033
CZE	20	0.151	16	0.043	20	0.069	12	0.043	34	-0.004
UKR	21	0.146	27	-0.100	29	-0.009	27	-0.074	1	0.328
LTU	22	0.102	25	-0.089	22	0.048	33	-0.091	3	0.234
LVA	23	0.050	28	-0.129	19	0.105	21	-0.059	10	0.133
POL	24	0.033	22	-0.063	26	0.023	31	-0.085	8	0.158
ITA	25	0.030	17	0.038	17	0.144	37	-0.106	38	-0.046
BLR	26	0.025	19	0.006	36	-0.085	41	-0.124	4	0.228
SVK	27	-0.033	21	-0.042	24	0.032	24	-0.066	25	0.043
BGR	28	-0.131	29	-0.133	27	0.020	25	-0.070	23	0.052
HRV	29	-0.133	26	-0.096	23	0.040	32	-0.091	30	0.015
GRC	30	-0.143	23	-0.064	21	0.056	44	-0.133	32	-0.002
ARM	31	-0.181	33	-0.197	38	-0.118	35	-0.093	5	0.227
KAZ	32	-0.207	30	-0.149	35	-0.082	36	-0.102	13	0.125
MDA	33	-0.263	32	-0.188	34	-0.072	16	-0.036	27	0.033
SRB	34	-0.344	31	-0.176	33	-0.069	26	-0.071	36	-0.028
ROM	35	-0.374	34	-0.202	32	-0.059	30	-0.084	37	-0.029
GEO	36	-0.444	35	-0.203	40	-0.175	38	-0.115	24	0.048
MKD	37	-0.468	39	-0.261	31	-0.033	28	-0.078	42	-0.096
TUR	38	-0.501	38	-0.251	28	-0.004	45	-0.163	40	-0.083
AZE	39	-0.521	37	-0.225	41	-0.175	42	-0.125	31	0.004
BIH	40	-0.526	42	-0.295	37	-0.092	39	-0.117	35	-0.021
TKM	41	-0.534	40	-0.280	45	-0.252	8	0.087	41	-0.090

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
KGZ	42	-0.603	44	-0.310	42	-0.189	17	-0.041	39	-0.063
ALB	43	-0.683	43	-0.301	39	-0.140	34	-0.092	45	-0.151
UZB	44	-0.685	41	-0.287	43	-0.195	20	-0.052	44	-0.150
TJK	45	-0.806	45	-0.334	44	-0.214	43	-0.127	43	-0.130
Average		0.200		0.043		0.104		-0.009		0.062
Median		0.050		-0.064		0.040		-0.065		0.052
Min		-0.806		-0.334		-0.252		-0.163		-0.151
Max		1.486		1.003		0.720		0.848		0.328

### დანართი E. საქართველოს რეგიონები

რეგიონის კოდი	აღნიშვნა	რეგიონი
11	TB	ქ. თბილისი
15	AC	აჭარა
23	GU	გურია
26	IM	იმერეთი
29	KA	ქახეთი
32	MM	მცხეთა-მთიანეთი
35	RL	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი
38	SS	სამეგრელო-ზემო სვანეთი
41	SJ	სამცხე-ჯავახეთი
44	QQ	ქვემო ქართლი
47	SQ	შიდა ქართლი

**შენიშვნა:** ეს ჩამონათვალი არ მოიცავს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს.

---

## დანართი F. GRIS ინდიკატორის პირველადი ინდიკატორები

---

### EDL – განათლების დონე

---

ინდიკატორი განისაზღვრება როგორც რეგიონის 25-64 წლის მოსახლეობაში განათლების მესამე დონის მქონეთა წილი.

განზომილება: პროცენტი

ინფორმაციის წყარო: შინამეურნეობათა საერთო გამოკვლევა (საქსტატი)

---

### INF – ინფრასტრუქტურა:

---

ინდიკატორი განისაზღვრება როგორც ფარდობა რეგიონში პერსონალური კომპიუტერის მქონე შინამეურნეობათა რაოდენობისა რეგიონის შინამეურნეობათა მთლიან რაოდენობასთან.

განზომილება: პროცენტი.

ინფორმაციის წყარო: შინამეურნეობათა საერთო გამოკვლევა (საქსტატი)

---

### GSP – სახელმწიფო მხარდაჭერა

---

ინდიკატორი განისაზღვრება ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონისთვის მიწოდებული ტრანსფერტების ოდენობით ერთ სულ მოსახლეზე

განზომილება: ლარი სულზე

ინფორმაციის წყარო: ეროვნული ბიუჯეტი (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) და დემოგრაფიული სტატისტიკა (საქსტატი)

## NET – ქსელები

---

ინდიკატორი წარმოადგენს რესპონდენტთა წილს რეგიონში, რომლებმაც 2008 წლის World Values Survey-ს ფარგლებში (კითხვები V24-V33) მიუთითეს, რომ არიან აქტიური წევრები ერთი მაინც ნებაყოფლობითი ორგანიზაციისა შემდეგი ჩამონათვალიდან: სპორტულ-რეკრეაციული, რელიგიური, სახელოვნებო-განათლებითი, პროფესიული, პოლიტიკური პარტიის, ბუნებადამცველი, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული, ნებისმიერი სხვა.

**განზომილება:** პროცენტი

**ინფორმაციის წყარო:** World Values Survey (<http://www.worldvaluessurvey.org>)

---

## KNG – ცოდნის გენერაცია:

---

ინდიკატორი განისაზღვრება როგორც საანგარიშო წლის განმავლობაში შემოტანილი საპატენტო განაცხადების რაოდენობა სამუშაო ძალის 1000 წარმომადგენელზე. თანაავტორების არსებობის შემთხვევაში, პატენტის გადანაწილება რეგიონზე ხორციელდება თანაავტორების წარმომადგენლობის პროპორციულად.

**განზომილება:** პატენტი სამუშაო ძალის 1000 სულზე.

**ინფორმაციის წყარო:** საპატენტო სტატისტიკა (საქართველო) და შრომის სტატისტიკა (საქართველო)

---

## KIP – ცოდნატევადი წარმოება და მომსახურება

---

ეს ინდიკატორი განისაზღვრება როგორც რეგიონის საშუალო-მაღალი და მაღალტექნოლოგიური წარმოების და ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების დარგების მიხედვით.

ში დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდება რეგიონის დასაქმებულთა მთლიან რაოდენობასთან.

**განზომილება:** პროცენტი

**ინფორმაციის წყარო:** ბიზნეს რეგისტრი (საქსტატი)

მაღალ და საშუალოდ-მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების დარგები

	ISIC Rev. 3
1	2
<b>High-technology industries</b>	
Aircraft and spacecraft	353
Pharmaceuticals	2423
Office, accounting and computing machinery	30
Radio, television and communication equipment	32
Medical, precision and optical instruments	33
<b>Medium-high-technology industries</b>	
Electrical machinery and apparatus, n.e.c.	31
Motor vehicles, trailers and semi-trailers	34
Chemicals excluding pharmaceuticals	24 excl. 2423
Railroad equipment and transport equipment, n.e.c.	352 + 359
Machinery and equipment, n.e.c.	29
<b>Knowledge-intensive services (KIS)</b>	
Water transport	61
Air transport	62
Post and telecommunications	64
Financial intermediation, except insurance and pension funding	65
Insurance and pension funding, except compulsory social security	66

1	2
Activities auxiliary to financial intermediation	67
Real estate activities	70
Renting of machinery and equipment without operator and of personal and household goods	71
Computer and related activities	72
Research and development	73
Other business activities	74
Education	80
Health and social work	85
Recreational, cultural and sporting activities	92
წყარო: OECD	

### CMP – კონკურენტუნარიანობა

ინდიკატორი წარმოადგენს რეგიონში წარმოებული დამატებული დირებულების შეფარდებას დასაქმებულთა რაოდენობასთან.

განზომილება: 1000 ლარი დასაქმებულზე

ინფორმაციის წყარო: წარმოების სტატისტიკა და შრომის სტატისტიკა (საქსტატი)